პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.

ტელეფ.
) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განხაედბა ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური
- გადადგა მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციის მდივანი ცნობილი რენეგატი ხოჯესი.
- ამერიკა-ინგლისის კონფერენცია საზღვაო განიარაღების შესახებ.
- ავსტრიის ფოსტის მუშაკები გაფიცვით იმუქრებიან.
- პროფინტერნის მოწოდება.
- პოლიციის თავდასხმა კომუნისტურ სტამბაზე ბერლინში.
- ნიუ-იორკში მოჰკლეს ორი იტალიელი ფაშისტი.

ხუთშაბათი, 2 ივნისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 123 (1868)

საკავშირო კომპარტიის ცეკას მოწოდება

საკავშირო კომპარტიის (ბ) ყველა ორგანიზაციებს, ყველა მუშებსა და გლეხებს

მოსკოვი, 1 ივნისი. გამოქვეყნებულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას შემდეგი მოწოდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ყველა ორგანიზაციებისადმი, ყველა მუშებისა და გლეხებისადმი:

„ამხანაგებო, უკანასკნელი დღეების უმთავრესი პოლიტიკური ფაქტია დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან ინგლისის მიერ. ეს ფაქტი შემთხვევითი არ არის. იგი არის ბუნებრივი გაგრძელება მტრული პოლიტიკისა, რომელსაც ინგლისის კონსერვატიული მთავრობა ხელისუფლების სათავეში ჩადგომის დღიდან აწარმოებს პირველი პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირი— უდიდესი დაბრკოლებაა ინგლისის კონსერვატორების ყაჩაღური ზრახვების განხორციელების გზაზე. სწორედ ამიტომ კონსერვატიული მთავრობა აჩქარებით შეუდგა მზადებას საბჭოთა კავშირზე ახალი თავდასხმისათვის.

ეს მზადება მჭიდრო, განუწყვეტელ კავშირში იმყოფება კაპიტალიზმის კრიზისის და პირველ რიგში ინგლისის კაპიტალიზმის კრიზისის გაღრმავებასთან. საბჭოების ქვეყანა, სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანა — საბჭოთა კავშირი თავისი 150 მილიონიანი მოსახლეობით, რომელმაც დიდი ხანია უკუაგდო მემამულეებისა და კაპიტალისტების მონობის უღელი და რომლის მაგალითი მხურვალე გამოხმაურებას იწვევს დასავლეთის და აღმოსავლეთის ხალხთა მშრომელ მასებში,—იმპერიალიზმის ყაჩაღური ზრახვების განხორციელებას ულობავს გზას. უდიდესი ქვეყანა, რომელიც 400 მილიონი მოსახლეობისაგან შესდგება,—ჩინეთი, ებრძვის იმპერიალიზმს და ქმნის მისთვის ახალ გადაულახავ დაბრკოლებებს. ყველაზე უფრო მწვავედ, ვიდრე ოდესმე, გამოაშკარავდა თანამედროვე საზოგადოების წინააღმდეგობანი. წინააღმდეგობანი მებრძოლ იმპერიალიზმს შორის ერთის მხრით და საბჭოთა კავშირის პროლეტარული დიქტატურისა და ჩინეთის ეროვნულ - განმანთავისუფლებელი მოძრაობის შორის — მეორეს მხრით. იმპერიალიზმის პოლიტიკა იწვევს მშვიდობიანობის ნიადაგის სულ უფრო და უფრო შერყევას.

საფრთხე ამ წინააღმდეგობათა ძალით გადაწყვეტისა, უდიდესია. ეს საფრთხე მით უფრო რეალური ხდება, რომ ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებში გამეფდა აღვირ - ახსნილი, აშკარა ავანტიურისტული რეაქცია. ჩემბერლენი, ხიკსი, ჩერჩილი, ჩან-ძო-ლინი—ასეთია დღევანდელი დღის გმირები. მსოფლიო რეაქციის სულისჩამდგმელად გამოდის კონსერვატიული იმპერიალისტური ინგლისი. მან გაანადგურა საყოველთაო გაფიცვა ინგლისში, მან ჩააქრო მემაღაროეთა გმირული ბრძოლა, იგი არბევს ეხლა ინგლისის პროლეტარიატს (კანონი პროფკავშირთა წინააღმდეგ), იგი ახრჩობს ჩინეთის რევოლიუციას, იგი გამოდის ინდოეთის, ეგვიპტის და სამხრეთ-აფრიკის ხალხთა დამმონებლად, იგი მთელ მსოფლიოს ახვევს საშინელი ჯაშუშობის და ინტრიგების ქსელში, რომელთაც სისხლის და თოფის წამლის სუნი ასდის.

ეხლანდელი ხანის უმთავრესი ფაქტი —დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან —მხოლოდ აგვირგვინებს ინგლისის კონსერვატიული დიპლომატიის ბინძურ და დანაშაულებრივ თამაშს და ააშკარავებს ინგლისის იმპერიალიზმს, როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტური გალაშქრების სულის ჩამდგმელს და ორგანიზატორის სახეს.

იმ დროს, როცა ინგლისის იმპერიალიზმი სისტემატიურად, დღითი-დღე ამზადებდა და ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩვენი პარტია და საბჭოთა კავშირი აწარმოებდნენ და აწარმოებენ მშვიდობიანობის პოლიტიკას. ყველა ხედავდა ჩვენი პარტიის და საბჭოთა კავშირის მშვიდობიან პოლიტკას. ყველამ იცის, რომ ჩვენ შეურყევლად ვიბრძოდით და ვიბრძვით მშვიდობიანობისათვის. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით და ვაკეთებთ, რაც კი შესაძლებელია, რომ დაცულ იქნას მშვიდობიანობა. ჩვენ მშვიდობიანობა გვინდა სოციალიზმის ძლევა-მოსილი აღმშენებლობისათვის, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დიდი გეგმების განხორციელებისათვის. ჩვენ მშვიდობიანობა გვინდა მუშათა და გლეხთა უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნისათვის. ჩვენი ვიბრძოდით და ვიბრძვით მშვიდობიანობისათვის ყოველგვარი საშუალებით, ჩვენ არ მივსდევთ კონსერვატიული მთავრობის ყაჩაღურ პროვოკაციას და უდიდეს თავდაჭერილობას ვიჩენთ.

ამას მოწმობენ ყველასათვის ცნობილი ფაქტები. „ინცინდენტი" აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე (ჩან-ძო-ლინის თავდასხმა შარშან), ამას წინად პეკინში მომხდარი თავდასხმა, ძარცვა და ხოცვა, პოლიციელების ალყა ჩვენს საკონსულოზე შანხაიში, გინება და ცილის წამება, რომელსაც მიმართავდა და მიმართავს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ინგლისის მთავრობის მოსყიდული პრესა, ლორდების და სიტის პრესა, აღშფოთებული პოლიტიკური და დიპლომატიური გალაშქრება, რომელსაც ინგლისის კონსერვატიული მთავრობის წევრები აწარმოებდნენ და აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სიყალბე და თავხედური ბანდიტური გაძარცვა და დარღვევა ჩვეული ულტიმატუმები და, დაბოლოს, არკოსისინი დელეგაციის უფლებათა, რომელსაც ხელს აწერს თვით ინგლისის მთავრობა —ყველა ამ პროვოკაციულ აქტებს ჩვენ უპასუხებთ მშვიდობიანობის პოლიტიკით.

ყოველივე აქედან ცხადია, თუ რას ნიშნავს ასეთ პირობებში ნორმალური ურთიერთობის დარღვევა, რომელსაც მიმართა ბოლდუინის და ჩემბერლენის მთავრობამ. აქედან ცხადია, თუ საითკენ იზრდება ინგლისის კონსერვატორების პოლიტიკა.

ურთიერთობის შეწყვეტის აქტი უეჭველად არის ნაბიჯი ომისაკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თუ ეს ცხადია, ინგლისის ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლის — ლოიდ-ჯორჯისათვის, („დარჩა მხოლოდ ომის ისარი"), მით უფრო ნათელი უნდა იყოს ყოველი პროლეტარიატისათვის და, უპირველეს ყოვლისა, საკავშირო კომპარტიის (ბ) ყოველი წევრისათვის.

ყოველი მუშისა და გლეხისათვის ნათელი უნდა იყოს, თუ რატომ ამზადებს ომს ინგლისი ჩვენს წინააღმდეგ, აიარაღებს მეზობელ სახელმწიფოებს, პროვოკაციას უწევს საბჭოთა კავშირს, სწყვეტს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და მახვილით იმუქრება.

ინგლისის კაპიტალიზმის სტაბილიზაცია სულ უფრო და უფრო ქარწყლდება იმ წინააღმდეგობებით, რომელნიც სულ უფრო და უფრო იზრდება როგორც თვით ინგლისში, ისე კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ინგლისის იმპერიალიზმს იარაღით სურს გამოასწოროს თავისი შერყეული მდგომარეობა. ინგლისის პროლეტარიატი გამემარცხენების და გარევოლიუციონერების პროცესს განიცდის, მიუხედავათ ხიკსების ჟანდარმერიისა, ბოლდუინების პირფერობისა და მაკდონალდების და პერსელების გამცემლობისა. ინგლისის პოლიტიკა ჩინეთში გაკოტრდა. თავისი „პრესტიჟი" ჩინეთში ინგლისს შეუძლია დაიცვას მხოლოდ ზარბაზნებით. და ამავე დროსვე იზრდება მხურვალე სიმპატიები საბჭოთა კავშირისადმი ინგლისის მიერ ყველა დამონებული და ჩაგრული ხალხების მხრივ. აი, რით აიხსნება კონსერვატიული ინგლისის ცხოველური მძულვარება საბჭოების რესპუბლიკებისადმი.

საკუთარი პოზიციების მერყეობა ინგლისს აყენებს ავანტიურის, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადების გზაზე.

ყოველი მუშისა და გლეხისათვის ნათელი უნდა იყოს, თუ როგორი ომს და როგორ მიზნებს ისახავს კონსერვატიული მთავრობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თუ რას უმზადებს იგი საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს. ურთიერთობის შეწყვეტის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თავხედური მუქარის უშუალო ამოცანა—საბჭოთა კავშირის განუწყვეტელი სამეურნეო ზრდის შეჩერება, ან ყოველ შემთხვევაში, სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებათა შეფერხება, რომელნიც ევროპის მუშებს და მათ შორის ინგლისის მუშებს აძლევენ მისაბაძ მაგალითს და შიშით აძრწოლებს საერთაშორისო ბურჟუაზიას.

ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯვაროსნული გალაშქრების საბოლოო მიზანია — პროლეტარული დიქტატურის ლიკვიდაცია, საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, სოციალისტური აღმშენებლობის ლიკვიდაცია, ძველი რეჟიმის დაბრუნება და საბჭოთა კავშირის გადაქცევა ინგლისის ბანკირების კოლონიად, საერთაშორისო ბურჟუაზიის აგრარულ დანართად.

საბჭოთა კავშირის მუშებისათვის ინგლისის შავრაზმელთა ასეთი გამარჯვება ნიშნავს მრეწველობის დენაციონალიზაციას, ფაბრიკებისა და ქარხნების დაბრუნებას რიაბუშინსკებისა და ურკვარტებისათვის, 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებას, სახელოსნოების გადაქცევას საკატორღო ყაზარმებად. თუ კონსერვატორები არ დაერიდენ „თავის სახლში" ინგლისის მუშათა კლასის განადგურებას ცნობილი კანონით პროფკავშირთა წინააღმდეგ, მით უფრო ნაკლები საფუძველია მათთვის, რომ დაერიდონ ამას „უცხო" დამარცხებულ ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირის გლეხებისათვის კონსერვატორების ასეთი გამარჯვება ნიშნავს მემამულეთა ბატონობას. „მეორეთ მოსვლას", დენიკინ - ვრანგელის ახალ დამსჯელ ექსპედიციებს, გლეხთა მიწა-წყალის ძარცვას (ამას ინგლისის იმპერიალისტები უკვე სჩადიან ჩინეთში), საშინელ ბარბაროსობას სოფელში.

საბჭოთა კავშირის ერთვნების თავისუფალ მშრომელთათვის ეს ნიშნავს დამცირებულ და დამონებულ „ინოროდცებად" გადაქცევას, ცარიზმის სახრჩობელების აღდგენას, ისეთივე რეჟიმის დამყარებას, როგორიც ინგლისის იმპერიალიზმმა შექმნა ინდოელი გლეხებისა და ეგვიპტის ფელახებისათვის.

ასეთია მტრების ზრახვები.

ფხიზლად ყოფნა და საფრთხისათვის პირდაპირ თვალებში ცქერა, მზად ყოფნა თავდაცვისათვის — ასეთია ჩვენი ქვეყნის მუშათა და გლეხთა უპირველესი მოვალეობა.

ომის საფრთხეს ჩვენ უნდა უპასუხოთ კიდევ უფრო ძლიერი, კიდევ უფრო მეტი ენერგიული საქმიანობით სამეურნეო ფრონტებზე. უნდა ვსწიოთ სოციალისტური მრეწველობა, ყოველი საშუალებით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, მთელის ენერგიით უნდა გავატაროთ წარმოების სოციალისტური რაციონალიზაცია, ყოველი საშუალებით უნდა გავაუმჯობესოთ სასოფლო მეურნეობა, უნდა გავაუმჯობესოთ და გავამაგროთ ტრანსპორტი, უნდა გავაძლიეროთ და განვავითაროთ სამხედრო მრეწველობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის. უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ბიუროკრატიზმთან. ჩვენ არ ვიცით და არ შეიძლება ვიცოდეთ, თუ როდის წამოვა მტერი ხიშტით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისის იმპერიალიზმი უფრო და უფრო გულმოდგინეთ ამზადებს ამ დროის მოახლოებას. ამ მზადებას კავშირის მშრომელმა მასებმა თავისი მზადებით უნდა უპასუხონ. ომის საფრთხის წინაშე არ უნდა იყოს „პატარა" და „არაარსებითი" საქმეები მაშინ, როცა ეს საქმეები ეხება ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, კულტურული და სამხედრო - პოლიტიკური ძლიერების აღდგენას.

პროლეტარიატისა და გლეხის ყოველი საწარმოო მუშაობა — უდიდესი საქმეა პროლეტარული რესპუბლიკის თავდაცვისათვის. აუარებელ ცალკე ღონისძიებათა გაერთიანება — ჩვენი წარმატების საწინდარი იქნება.

განსაკუთრებული ყურადღება ჩვენს არმიას, მუშურ-გლეხური თავდაცვის საკითხებს! ყველა მშრომელებმა და პირველ რიგში მათმა კომუნისტურმა ავანგარდმა უნდა გააძლიერონ მუშურ-გლეხური არმიისათვის დახმარება, ზრუნვა მისთვის. აუცილებელია საშეფო, ნებაყოფლობითი და საპორტო ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერება. აუცილებელია მთელი პარტიული მასების მომზადების გაძლიერება სამხედრო სწავლების საქმეში. პარტიის ყოველმა წევრმა. ყოველმა ახალგაზრდა მუშამ და გლეხმა უნდა გაიაროს ამ მომზადების კურსი.

მზადება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის, მზადება ნამდვილად, ბოლშევიკურად, მტკიცედ და შეურყევლად, ყოველგვარი პანიკის გარეშე, — ასეთია დღევანდელი დღის ამოცანა. დაუდევრობა, გულგრილობა უნდა იქნას განდევნილი საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებიდან.

ჩვენი პარტია თავისი დიადი ისტორიულ გზაზე ყოველთვის ააშკარავებდა, რომ იგი არის რევოლიუციონური პროლეტარული ენერგიის დაუშრეტელი წყარო. ჩვენი პარტია ყოველთვის და ყოველგან იჩენდა უდიდეს პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას. ჩვენი პარტიის წევრები ეხლა მაგალითი უნდა გახდენ ყველა პროლეტარებისა, ყველა გლეხებისათვის, ისინი უნდა იყვენ ენერგიის, ბეჯითი მუშაობის და შრომითი გმირობის მაგალითი

ჩვენ შეიძლება მოგვახვიონ ომი, მიუხედავად ჩვენი ყოველგვარი ცდისა მშვიდობიანობის დასაცავად. ამ უცუდესი შემთხვევისათვის უნდა ემზადონ ყველა მშრომელნი და უპირველეს ყოვლისა კომუნისტური პარტია. დროის დაუკარგავად მეურნეობის აღორძინება, ტრანსპორტის და თავდაცვის განმტკიცება, კიდევ უფრო მეტის ენერგიით წარმოება მუშაობისა მასებს შორის ფაბრიკებსა, სახელოსნოებსა და სოფლებში,— ეს უპირველესი მოვალეობაა საკავშირო კომპარტიის (ბ) ყველა წევრისათვის.

თუ ინგლისის იმპერიალისტები განაგრძობენ თავის პოლიტიკას. თუ ინგლისის იმპერიალისტები კიდევ ახალ ნაბიჯს გადასდგამენ, თუ ინგლისის იმპერიალისტები დაიწყებენ აშკარა თავდასხმას ჩვენს ქვეყანაზე, მაშინ ისინი ამით გააჩაღებენ მთელი ევროპის ომს, რომელნიც აუცილებლად გამოიწვევს უდიდეს კლასიურ ბრძოლას. ამ ბრძოლაში აუცილებლად დაიღუპება ევროპის კაპიტალიზმი და ფაშისტური ბურჟუაზიის დიქტატურას ბოლოს და ბოლოს შესცვლის პროლეტარული საბჭოების დიქტატურა.

მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენი პარტიის ყველა წევრებს. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი იყვენ, არიან და იქნებიან რევოლიუციისათვის მებრძოლნი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი".

ინგლის-ეგვიპტეს კონფლიქტი ღრმავდება

„ინგლისის მთავრობა სდგას თავისი საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთი კრიზისის წინ"

მემაღაროეთა საერთაშორისო კომიტეტი ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ

ინგლისთან ურთიერთობის განწყვეტის შემდეგ

ბოლდუინი საიდუმლოებას იცავს

ლონდონი, 31 მაისი. თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრმა **ტერტილმა** შეიტანა შეკითხვა, მსახურობენ თუ არა ინგლისის მზვერავ პოლიციაში მხოლოდ ინგლისის ქვეშევრდომები. ბოლდუინმა უპასუხა: „მე ვერაფერს ვერ დაუმატებ წინანდელ პასუხს ამ საკითხზე". გაცემულ პასუხებიდან პატივცემულ პალატის წევრებს შეუძლიათ გამოიტანონ დასკვნა, რომ ყველაზე არსებითი ამ შემთხვევაში არის საიდუმლოების დაცვა" (სიცილი).

მორალური ბლოკადის წინააღმდეგ

ვენა, 31 მაისი. „არბეიტერ ცეიტუნგ"-ის კვირის ნომერში მოწინავე წერილი აქვს დათმობილი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის ჩაშლას. მოწინავე წერილში ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობა ცდილობს შექმნას საბჭოთა კავშირის ახალი მორალური ბლოკადა და ამ ბლოკადაში ჩაითრიოს დანარჩენი დიდი სახელმწიფოები.

„ეს, ნათქვამია მოწინავე წერილში, ყველა ქვეყნის მუშათა პარტიებს ავალებს რაც შეიძლება აქტიურად ჩაერიონ ამბებში. მუშათა კლასი ყველგან მთელი თავისი ენერგიით უნდა გამოვიდეს საბჭოთა კავშირის ბლოკადის წინააღმდეგ. ამ გამოსვლით მუშათა კლასი დაეხმარება საბჭოებს კონტრ - რევოლიუციის და ჩინეთ - ინგლისელ მონათმფლობელების წინააღმდეგ ბრძოლაში. (ადს).

გერმანიის პოზიცია

ბერლინი, 31 მაისი. კომპენტენტური „ახტ ურ აბენდბლატ" აცხადებს, რომ ინგლისის პრესა ცდილობს რეინის ოლქის ევაკუაცია გამოიყენოს გერმანიის გადასაბირებლად და დაითანხმოს ის ვალდებულებათა დარღვევაზე საბჭოთა კავშირის მიმართ. „მაგრამ — სწერს გაზეთი— **გერმანიას არავითარი საბუთი არ აქვს ჯერ-ჯერობით ხელი აიღოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართ სასტიკი ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე.** გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებს ჟენევაში საშუალება ექნებათ ერთა ლიგის საბჭოს ივნისის სესიაზე განმარტონ გერმანიის დამოკიდებულება ინგლის - რუსეთის კონფლიქტისადმი". (ადს).

ვესტარპის სიტყვა

ბერლინი, 31 მაისი. ბრემერგავენში გერმანელ ნაციონალისტების ბელადმა ვესტარპმა წარმოსთქვა სიტყვა. თავის სიტყვაში ის შეეხო ინგლის - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლას და, სხვათა შორის, განაცხადა: **„რა კი თვით ინგლისსაც მომავალში შესაძლებლად მიაჩნია რეგულიარული სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ჩვენ მით უფრო ნაკლები საბუთი გვაქვს შევაფერხოთ გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ვაჭრობა".** (ადს).

ვენის მუშების ხმა

ვენა, 31 მაისი. 27 მაისს შესდგა ვენის მუშათა კამერის პლენარული სხდომა, რომელმაც განიხილა ინგლის - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლის საკითხი. სოციალ - დემოკრატმა **პალამ**, რომელმაც მოხსენება გააკეთა გამგეობის სახელით, განაცხადა, რომ თუმცა მუშათა კამერის განკარგულებაში ძალიან ცოტა საშუალებაა მსოფლიო პოლიტიკურ ამბებზე გავლენის მოსახდენად, მაგრამ მან უნდა განაცხადოს, რომ **აღშფოთებულია ინგლის - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლით. „მუშათა კამერა** — სთქვა პალამ,—**შიშობს, რომ ეს ამბავი საფრთხეში აგდებს ევროპის მშვიდობიანობას; ის ურთიერთობის ჩაშლაში ხედავს ნაწილს კაპიტალისტების ბრძოლისას მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის წინააღმდეგ".** (ადს).

„სპეკულიაციის ხანა"

რომი, 31 მაისი. გაზეთ „ტევერე"-ს აზრით, ლიტვინოვის ნოტით სრულდება დიპლომატიური პოლემიკა და იწყება ევროპის მასშტაბით სპეკულიაციის ხანა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შენარჩუნების საკითხის შესახებ. გაზეთი ფიქრობს, რომ **თუ ინგლისმა არ უზრუნველყო საფრანგეთის და გერმანიის მხრივ მხარის დაჭერა, მისი ჰეგემონია კონტინენტზე შეირყევა.** (ადს).

ინგლის - საბჭოთა კავშირის მუშები ძმები არიან

პარიზი, 1 ივნისი. „იუმანიტემ" გამოაქვეყნა საუბარი კუკთან ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის შესახებ. საუბარში კუკმა განაცხადა:

— **ინგლისის მუშებს ახსოვთ ის უდიდესი დახმარება, რომელსაც ისინი ღებულობდნენ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისაგან 8 თვის გაფიცვის განმავლობაში. ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მუშები დამეგობრებული არიან. მე იმედი მაქვს, რომ ინგლის - რუსეთის კომიტეტის უახლოეს სხდომაზე ჩაეყრება საძირკველი ამ ორი ქვეყნის პროლეტარიატის მთლიანობას. მემარჯვენე ლიდერები უკვე რწმუნდებიან, რომ მასების მიდრეკილება მთლიანობისაკენ დაუძლეველი ხდება** (ადს).

ნორვეგიის მუშათა პარტიის მოწოდება

ოსლო, 31 მაისი. ნორვეგიის პროფკავშირთა საბჭომ და ნორვეგიის მუშათა პარტიის ცეკამ ინგლის - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტის გამო გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაციაზე თავდასხმით და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტით ინგლისის მთავრობამ გამოამჟღავნა თავისი მტრული განწყობილება საერთაშორისო პროლეტარიატისა და საერთო მშვიდობიანობისადმი. ნორვეგიის მუშათა კლასი პროტესტს აცხადებს ამ ძალადობის წინააღმდეგ და გამოსთქვამს იმედს, რომ ნორვეგიის მთავრობა არ განიცდის ინგლისის მთავრობის გავლენას და არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერს მხარს საბჭოთა კავშირზე თავდასხმას. ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან საბჭოთა კავშირთან შეურყეველ მეგობრულ ურთიერთობის დაცვას. ეს ურთიერთობა უნდა იქნას გაფართოებული საბჭოთა კავშირისათვის ფართო კრედიტების მიცემით, რაც ხელს შეუწყობს სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას ჩვენი ქვეყნის მშრომელ მოსახლეობის საკეთილდღეოთ". (ადს).

„არბაიტერბლატის" წერილი

ოსლო, 31 მაისი. გაზ. „არბაიტერბლატი" სწერს:

„ჩვენ ერთგვარი შიშით შევხვდით ცნობას იმის შესახებ, რომ ნორვეგიამ იკისრა ინგლისის ინტერესების დაცვა საბჭოთა კავშირში. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს მოხდება ისე, რომ არ გამოიწვევს რაიმე ეჭვს მეორე ქვეყნის მხრივ". (ადს).

„საშიში გუგული"

ლონდონი, 31 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ლორდთა პალატაში რუსეთის საკითხის შესახებ გამართულ კამათში გამოსულმა ლორდმა პალმურმა განაცხადა:

„შინაგან საქმეთა მინისტრი წარმოადგენს გუგულს და მეტად საშიშ გუგულს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბუდეში. მთავრობის მიერ გამოქვეყნებულმა დოკუმენტებმა მე ოდნავათაც ვერ შემაცვლევინა ჩემი აზრი. ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა მოგვესმინა მეორე მხარეც. მე ვშიშობ, რომ არსებობს ეჭვები და რაღაც კიდევ ეჭვებზე მეტიც, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები გამომდინარეობენ ყველაზე უფრო ცუდ და საეჭვო წყაროდან, სახელდობრ, ჯაშუშური ორგანიზაციიდან. მთავრობის პოლიტიკას შეუძლია მიგვიყვანოს საგრძნობ კატასტროფიულ შედეგებამდე და ამავე დროს იგი ვერ დააბრკოლებს პროპაგანდის წარმოებას თუ, ღმერთმა გვაშოროს, არ მოვიშველიეთ ომის გამოცხადება. თუ, მთავრობის მიერ მიღებულ ნაბიჯს არ მოყვა სათანადო პრაქტიკული საქმე, მაშინ ეს ნაბიჯი იქნება უბრალო ჟესტი, რომელიც არ შეეფერება ჩვენს დიდ ქვეყანას".

მთავრობის სახელით პალმურს პასუხი გასცა ლორდმა ბალფურმა, რომელმაც სთქვა:

— **„არსებობენ საზღვრები, რომლის გადალახვის შემდეგ აღარ შეიძლება ჯიუტი და მოფიქრებული პოლიტიკის და დაკანონებული უდიერობის მოთმენა საერთაშორისო ურთიერთობაში. მე ვსწუხვარ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის გამო, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ დიპლომატიას, რომელიც მხოლოდ ცრუ დაპირებებს იძლევა არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია.**

რუსეთთან ვაჭრობა არ უნდა იქნეს შეწყვეტილი. თუ რუსები, წინააღმდეგ მათი საკუთარი ინტერესებისა უარს იტყვიან ჩვენთან ვაჭრობაზე — ეს მათი საქმეა. უდავოა, რომ აქედან ჩვენც ვიზარალებთ, მაგრამ ისინი იზარალებენ გაცილებით მეტს.

რუსებმა თუ დაიწყეს მათი საკუთარი ინტერესების შესაფერი პოლიტიკის გატარება, ამით ვაჭრობა მნიშვნელოვნად არ იზარალებს (ადს).

ინგლის-ეგვიპტეს კონფლიქტი

ინგლისის ნოტა

ლონდონი, 31 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ინგლისის ნოტა ეგვიპტისადმი წარმოადგენს გაფრთხილებას, რომ ინგლისს არ შეუძლია მიიღოს ეგვიპტეს პარლამენტის კომისიის წინადადება, რომელიც მოითხოვს ეგვიპტეს არმიის სარდლად ინგლისელის მაგიერ ეგვიპტელის დანიშვნას. (ადს).

ინგლისელების მუქარა

ლონდონი, 31 მაისი. „მორნინგ პოსტ" ეგვიპტეში შექმნილ მდგომარეობის გამო მოწინავე წერილში სწერს, რომ **ინგლისის სამი სამხედრო გემის გაგზავნამ „იქნებ ცოტა გონიერება და სიფრთხილე ჩაუნერგოს ადგილობრივ პოლიტიკურ მოღვაწეებს".**

„დეილი მეილ" აცხადებს, რომ **სამხედრო ესკადრის გაგზავნამ იქნებ დაარწმუნოს ეგვიპტეს მთავრობა, რომ ინგლისელები არავის მისცემენ ეგვიპტედან განდევნის უფლებას".**

ლიბერალების „მანჩესტერ გარდიენ" სწერს: **„ინგლისის მთავრობა წააწყდა კიდევ ერთ კრიზისს თავის საგარეო პოლიტიკაში".** (ადს).

ჩინეთის ამბები

ჩან-ძო-ლინი აგროვებს თეთრ-გვარდიელებს

შანხაი, 31 მაისი. ჩინური პრესა ამტკიცებს, რომ ჩან-ძუნ-ჩანი ტიან-ძინში აგროვებს თეთრგვარდიელებს. (ადს).

ჩენ-ჩჟოუ და კაიფინი დაცემის წინ

ხანკოუ, 31 მაისი. მიღებულ ცნობების თანახმად, **რევოლიუციონური ჯარები უახლოვდებიან ჩენ-ჩჟოუს და კაიფინს, რომელთა დაცემა დღე-დღეზეა მოსალოდნელი. მოსალოდნელია აგრეთვე დიდი შეტაკება ჩენ-ჩჟოუსთან. ხუბეის პროვინციის დასავლეთ ნაწილში რევოლიუციონური ჯარები შეტევას აწარმოებენ დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით. იან-სენს საჩქაროთ გაჰყავს თავის ჯარები მდ. ხანის ჩრდილოეთით.**

ნანკინის მთავრობის პროტესტი

ხანკოუ, 31 მაისი. შანხაიდან იტყობინებიან, რომ **ნანკინის მთავრობამ პროტესტი განუცხადა იაპონიის კონსულს იაპონიის ახალი ჯარების გაგზავნის გამო შანდუნში.** (ადს).

მიწათმოქმედების სამინისტროს გახსნა

ხანკოუ, 31 მაისი. 30 მაისს საზეიმოდ გაიხსნა მიწათმოქმედების სამინისტრო, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ტან-პინ-სიანმა, რომელმაც ფორმალურად დაიკავა მიწათმოქმედების მინისტრის თანამდებობა, განაცხადა, რომ სამინისტრო გაატარებს გომინდანის აგრარულ პოლიტიკას, წარმართავს გლეხთა მოძრაობას სწორი გზით და ხელს შეუწყობს გლეხობის ეკონომიურ განვითარებას. (ადს).

ამერიკის საზღვაო ძალების გაგზავნა

ნიუ-იორკი, 31 მაისი. ჩინურ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ამერიკის საზღვაო ძალები გაიგზავნა ტიან-ძინში. ამერიკის მმართველ წრეებში აცხადებენ, რომ მათ შესაძლებლად მიაჩნიათ ასეთი ექსპედიცია. (ადს).

რკინის გზის ხიდის აფეთქება

პეკინი, 31 მაისი. უცნობმა რუსმა, რომელსაც თან ჰქონდა ჩჟილი-შანდუნის არმიის შტაბის მიერ გაცემული სიგელი,—ააფეთქა პეკინ-მუკდენის რკ. გზის ხაზზე ნიან-ცზინის ახლომდებარე რკინის გზის ხიდი. (ადს).

ჩრდილოელების დახევა

ნიუ-იორკი, 31 მაისი. „ასოშიეტედ პრეს"-ის სააგენტოს პეკინელი კორესპონდენტის ცნობით, **ჩრდილოეთის არმიების სამხედრო სარდლობა ოფიციალურად აცხადებს თავისი არმიის ჩრდილოეთისაკენ დახევას ყვითელი მდინარიდან.**

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ, ამგვარად; **სამხრეთის ჯარების ხელში გადადის ხენანის პროვინციის მთელი ტერიტორია ყვითელი მდინარის სამხრეთით.** გარდა ამისა, მათ ხელში გადადის აგრეთვე ანხოის პროვინცია და ლუნხაის რკ. გზა. (ადს).

უ-პეი-ფუ სამხრეთელებს უერთდება?

ნიუ-იორკი, 31 მაისი. გაზ. „ნიუ-იორკ-ტაიმსის" კორესპონდენტი დიურანტი იტყობინება, რომ უ-პეი-ფუმ განაცხადა სურვილი სამხრეთელებთან შეერთებაზე.

სხვა წყაროებიდან ეს ცნობა ჯერ-ჯერობით არ დასტურდება. (ადს).

იაპონელები ცზინანფუში

პეკინი, 31 მაისი. გაზ. „მანჯურია დეილი ნიუს"-ის ცნობით, იაპონელთა მე-33 ქვეითა ბრიგადამ, რომელიც დაბანაკებული იყო დაირენის რაიონში, მიიღო სასწრაფო ბრძანება გაემგზავროს ცზინანფუში. (ადს).

თეთრგვარდიელებს მფარველობენ

პეკინი, 31 მაისი. გაზ. „ნორდ-ჩაინა სტანდარტი" იტყობინება, რომ ჩჟან-ცზუნ-ჩანმა მიმართა მანჯურიისა და ჩჟილის სამხედრო სარდლობებს თხოვნით ყოველმხრივი მფარველობა აღმოუჩინონ რუს თეთრგვარდიელ ოფიცრებს, რომელთაც თავს უყრიან მუკდენის არმიისათვის ტიან-ცზინში, ხარბინში და სხვა ადგილებში. (ადს).

პეკინში დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების დაცვა

პეკინი, 31 მაისი. **„სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად გოვენის სააგენტო იტყობინება, რომ ჩინეთის პროკურატურის უმაღლეს თანამდებობის პირთა გადაწყვეტილების თანახმად, პეკინში დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების დამცველებათ არ იქნებიან დაშვებულნი იმ ქვეყნების ვექილები, რომელთა მოქალაქეები სარგებლობენ ჩინეთში ექსტერიტორიალობით.**

„ამის გამო,—ნათქვამია ცნობაში,—დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების დამცველებათ მოწვეულ იქნებიან ალბათ, ჩინელი, რუსი და გერმანელი ვექილები".

ორმა ექიმმა, რომლებმაც გასინჯეს მოროზოვი და 15 დანარჩენი დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქე, განაცხადეს, რომ მოროზოვი ტუბერკულიოზითაა ავათ და საჭიროებს ჰოსპიტალურ მკურნალობას. მიუხედავათ ამისა, პროკურატურამ უარი განაცხადა მოროზოვის ციხიდან საავათმყოფოში გადაყვანაზე. (ადს).

არჩევნები ბულგარეთში

ვენა, 31 მაისი. ბულგარეთში შესდგა პარლამენტის არჩევნები. **წინასწარი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა სასტიკ ტერორის ქვეშ,** რომელიც უმთავრესად მიმართული იყო მშრომელთა ბლოკის წინააღმდეგ. საარჩევნო კანონი უპირატესობას აძლევს უძლიერეს პარტიას. არჩევნებში მიღებული ხმების შედარებით, მთავრობის მომხრეებს მიიღებენ მანდატების აბსოლიუტურ უმრავლესობას.

პირველი ცნობები არჩევნების შედეგების შესახებ მოწმობენ, რომ დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო მმართველ პარტიებთან ერთად 159 მანდატი. გლეხთა კავშირის, ხელოსანთა პარტიის და სოციალ-დემოკრატების ბლოკმა მიიღო 65 მანდატი. **დემოკრატიულმა პარტიამ, რომელსაც ხმების აბსოლიუტური უმრავლესობა არ მიუღია არჩევნებში, მიიღო მანდატების აბსოლიუტური უმრავლესობა, საარჩევნო კანონისა და ტერორის წყალობით. წინანდელ არჩევნებთან შედარებით გააძლიერონ: გლეხთა კავშირის ცენტრისტული და მემარცხენე ფრთა და მუშათა პარტია** (ადს).

წყნარ ოკეანეს სანაპიროების მუშათა კონფერენცია

კონფერენციის დახურვა

ხანკოუ, 31 მაისი. წყნარ ოკეანეს მუშათა კონფერენციის საბოლოო სხდომაზე არჩეულ იქნა მუდმივი სამდივნო 10 წევრისა და 6 კანდიდატისაგან. სამდივნოში შედიან: **საბჭოთა კავშირის და ჩინეთის პროფკავშირებისაგან— ორ-ორი წევრი და თითო კანდიდატი, ჩრდ.** ამერიკის შეერთებულ შტატების, იაპონიის, ინგლისის და საფრანგეთის პროფკავშირებისაგან —თითო წევრი და თითო კანდიდატი, იავისა და კორეის პროფკავშირებისაგან — თითო წევრი. მუდმივ სამდივნოს ძირითად ამოცანებს შეადგენენ ბრძოლა ახალი ომის წინააღმდეგ წყნარ ოკეანეს განაპირა ადგილებში, იმპერიალისტების ინტერვენციის წინააღმდეგ ჩინეთში და სხვ.

კონფერენციამ მიიღო მოწოდებები იავის, კორეის და ფორმოზის მუშებისადმი, აგრეთვე საპროტესტო მოწოდება თეთრი ტერორის წინააღმდეგ, მოწოდება, რომელიც მოითხოვს სკოსა და ვანცეტის საქმის გადასინჯვას.

კონფერენციაზე დამსწრე 8 სახელმწიფოს დელეგატები წარმოადგენენ 14.500.000 შეკავშირებულ მუშას.

26 მაისს, ამხ. ლოზოვსკის საბოლოო სიტყვის შემდეგ, კონფერენცია დაიხურა (ადს).

პროფკავშირების დასაცავად

კანონი პროფკავშირთა შესახებ თემთა პალატაში

ლონდონი, 31 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ თემთა პალატაში ირჩეოდა პროფესიონალურ კავშირების შესახებ შემუშავებულ კანონპროექტის მე-5-ე მუხლი; ეს მუხლი შტატში მყოფ სახელმწიფო მოსამსახურეებს უკრძალავს ისეთ ორგანიზაციების წევრობას, რომელთა მთავარი მიზანია გავლენის მოხდენა თავისი წევრების ხელფასის რაოდენობაზე და შრომის პირობებზე, თუ ამ ორგანიზაციების წევრების წრე არ ისაზღვრება სამეფო სამსახურში მყოფ პირებით და თუ ეს ორგანიზაციები დაკავშირებული არიან კერძო ორგანიზაციებთან.

მუშათა პარტიის დეპუტატმა **ამონმა** განაცხადა, რომ მთავრობას აშინებს მუშათა პარტიის გაძლიერება და ამიტომ ცდილობს, დაასუსტოს ის ორგანიზაციები, რომლებიც მხარს უჭერენ მუშათა პარტიას.

ფინანსთა მინისტრმა **ჩერჩილმა** განაცხადა: „სასურველია, რომ სახელმწიფო მოსამსახურეებში არ შეიჭრას პარტიული პოლიტიკის შხამი. კანონპროექტის ეს მუხლი შეაჩერებს ყოველგვარ არა საღ ტენდენციების ზრდას ამ მიმართულებით. დაუშვებელია ის აზრი, რომ სახელმწიფო მოსამსახურეების რომელიმე მსხვილ ორგანიზაციას შეუძლია ყოველ წუთში უეცრად შესწყვიტოს მუშაობა ან უარი სთქვას ფულის მიღებაზე. სახელმწიფო მოსამსახურეებს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღების უფლება არ უნდა ჰქონდეთ. ამასთან ერთად სახელმწიფო მოსამსახურეების ორგანიზაციებს არ უნდა ჰქონდეთ კერძო პოლიტიკურ ორგანიზაციებში შესვლის უფლება. მთავრობას უნდა დარწმუნებული იყოს, რომ ყოველი კრიზისის შემთხვევაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარ - გარეთ, მას შეეძლება ისეთ გადამჭრელ ზომების მიღება, რომელთაც ის საჭიროდ დაინახავს ქვეყნის უშიშროების ინტერესების გულისთვის.

შემდეგ მიღებულ იქნა დადგენილება კამათის შეწყვეტის შესახებ; მე-5-ე მუხლი მთავრობის ზოგიერთ სარედაქციო შესწორებით მიღებულ იქნა პალატის მიერ **270** ხმით **113**-ის წინააღმდეგ (ადს).

პროლეტარული სოლიდარობა

პარიზი, 31 მაისი. მემაღაროეთა საერთაშორისო კომიტეტმა, რომელსაც სხდომები აქვს პარიზში, გამოიტანა რეზოლიუცია პროფკავშირების შესახებ მთავრობის კანონპროექტის წინააღმდეგ. რეზოლიუციაში ნათქვამია:

„კომიტეტი ინგლისის მთავრობის მოქმედებას განიხილავს, როგორც მუშათა მოძრაობის დარბევის ცდას; ეს კანონი მიზნად ისახავს, რომ მუშებს წაართვას საშუალება წინააღმდეგობა გაუწიონ კაპიტალისტებს, რომელნიც სცდილობენ სამუშაო ხელფასის დაკლებას და შრომის პირობების გაუარესებას".

კომიტეტმა დაადგინა, მხარი დაუჭიროს ინგლისელ მემაღაროეებს კანონ - პროექტის წინააღმდეგ ბრძოლაში (ადს).

მთლიანი ფრონტისათვის

ვენა, 31 მაისი. ბულგარეთის დამოუკიდებელ პროფკავშირთა აღმასკომმა წინადადება მისცა პროფკავშირების რეფორმისტულ კავშირს და გონებრივი და ფიზიკური შრომის ყველა დანარჩენ პროფკავშირების გამგეობებს მიიღონ მონაწილეობა გაერთიანებულ კონფერენციაზე, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს ბრძოლის საშუალებები მთავრობის დიქტატურის წინააღმდეგ და მუშათა კლასისათვის წართმეულ უფლებების აღსადგენად. კონფერენციამ. დამოუკიდებელ პროფკავშირთა აღმასკომის წინადადებით, უნდა აირჩიოს კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ამ ბრძოლას და განახორციელებს პროფკავშირთა მთლიანობას (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ფოსტა-ტელეგრ. მუშაკთა ულტიმატუმი

ვენა, 31 მაისი. ფოსტის, ტელეგრაფის და ტელეფონის მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირებმა ადმინისტრაციას წარუდგინეს ულტიმატუმი, რომელშიაც ისინი აყენებენ მთელ რიგ ეკონომიურ მოთხოვნილებებს.

ულტიმატუმის ვადა გადის 4 ივნისს დილით. (ადს).

კამპანია პიონერთა წინააღმდეგ

ვენა, 31 მაისი. ავსტრიის პოლიციამ დახურა წითელ პიონერთა კომიტეტი. კომიტეტის აკრძალვა შედეგია იმ კამპანიისა, რომელიც პანგერმანელებმა დაიწყეს პარლამენტში წითელ პიონერთა ორგანიზაციის წინააღმდეგ. პოლიცია ამ აკრძალვას იმით ხსნის, რომ კომიტეტის მოქმედება ეწინააღმდეგება სახალხო სკოლების სამოსწავლო წესებს (ადს).

საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციის მონაწილენი საბჭოთა დელეგაციის შესახებ

ჰელსინგფორსი, 31 მაისი. ჟენევიდან ჩამოვიდა ფინეთის დელეგაციის წევრი საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე რამზეი, რომელიც შეეხო კონფერენციის შედეგებს და აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციის გამოსვლებს ჰქონდა საქმიანი ხასიათი, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა (ადს).

ორი ფაშისტის მოკვლა

ნიუ-იორკი, 31 მაისი. ნიუ-იორკში მოჰკლეს ორი იტალიელი ფაშისტი, რომლებიც აღლუმზე მიდიოდნენ. მკვლელების ვინაობა გამოურკვეველია.

დახმარებას მოითხოვენ

ნიუ-იორკი; 1 ივნისი. მოსალოდნელია მუკდენის არმიის სრული დაშლა; ამის გამო უცხოეთის ექსპერტების თათბირმა შანხაიში დაადგინა, რომ პეკინში და ტიან-ცზინში სადაც არის უცხოელთა 7.000 ჯარის-კაცი, საჭიროა გაიგზავნოს 16.000 ჯარისკაცი და აგრეთვე ჰაეროპლანები.

კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლების საკავშირო კონფერენცია

მოსკოვი, 1 ივნისი. პირველ ივნისს მუშაობა დაამთავრა კომუნისტური უმაღლეს სასწავლებლების საკავშირო კონფერენციამ, რომელმაც განიხილა მთელი რიგი საკითხები პროგრამებისა და საორგანიზაციო მუშაობის შესახებ.

გულგრილობისათვის

მოსკოვი, 1 ივნისი. მიმდინარე წლის 10 მაისს მოსკოვის გუბერნიაში დაიწვა ბრატცევის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც ეკუთვნოდა „მოსგუბვუილსტროისოიუზს". დაიწვა მთავარი კორპუსი ყველა მანქანებით და მასალებით. ხანძარი გამოწვეული იყო ქარხნის მმართველის კოლოკოლოვის და ქარხნის ცეცხლის მქრობელ რაზმის ბრანდმეისტერის დობროჟენეცკის გულგრილობით. გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს კოლეგიამ მთავარ დამნაშავეს—ქარხნის მმართველს კოლოკოლოვს მიუსაჯა კონცენტრაციულ ბანაკში მოთავსება 10 წლის ვადით, ქარხნის ცეცხლისმქრობელ რაზმის ბრანდმეისტერს კი—5 წლის ვადით.

ჩან-ძო-ლინი დაღუპვის წინ

ტოკიო, 1 ივნისი. იაპონიის პრესის ცნობები ჩან-ძო-ლინის მდგომარეობის შესახებ მოწმობენ, რომ ჩჟან-ძო-ლინი დაღუპვის წინ სდგას.

„ნიჩი ნიჩი" აცხადებს; რომ ჩჟან-ძო-ლინი არჩევანის წინაშე სდგას: მან ან უარი უნდა სთქვას ყოველგვარ მოღვაწეობაზე, ანდა უნდა გაიქცეს საზღვარ-გარეთ.

ვინ მოიგო 50.000 მანეთი

ოდესა, 1 ივნისი. 50.000 მანეთი 1927 წლის სესხის პირველ ტირაჟში მოიგო ოდესელმა ვაჭარმა ზაზარამ.

აბოს გაფიცულ მელითონეებს

მოსკოვი, 1 ივნისი. მელითონეების ცეკამ გადაუგზავნა ათასი მანეთი აბოს (ფინეთი) გაფიცულ მელითონეებს (ადს).

პროფინტერნის მოწოდება

მოსკოვი, 1 ივნისი. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ მიმართა მთელი ქვეყნის მუშებს და მუშა-ქალებს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„—ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან მოასწავებს ომს. ინგლისის ბურჟუაზია თვითონ არ ჩაებმება ომში, მაგრამ ძველი ტრადიციის გამო იგი ამჯობინებს, რომ მისი ინტერესებისათვის სხვებმა იომონ. იგი დაანთებს ომის საშინელ ცეცხლს საბჭოთა კავშირის საზღვრებზე და ამ ომში ჩააბამს მის მრავალრიცხოვან ვასალებს. ასეთი ომი საშიშია მით უმეტეს, რომ მას შეუძლია მიჰქმალოს ომის არსებითი მხარე და მიაძინოს პროლეტარიატის სიფხიზლე.

ინგლისის ბურჟუაზია ყველაზე უფრო რეაქციონურ ძალას წარმოადგენს მთელს მსოფლიოში. ამსტერდამის ინტერნაციონალმა, ყველა თავისი სექციებით და გენერალურმა საბჭომაც მათ შორის თითიც კი არ გაანძრიეს იმისთვის, რომ ომის საშიშროებასთან საბრძოლველათ თავი მოეყარათ მათ ორგანიზაციებში დარაზმული პროლეტარიატისათვის.

რეაქციამ ყველა ქვეყნებში წამოყო თავი. მას სურს დაახრჩოს მსოფლიოში პირველი პროლეტარული რესპუბლიკა, რომ შემდეგ უფრო ადვილათ გაასწოროს ანგარიშები სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან. შეამჭიდროვეთ თქვენი რიგები და გამოდით მშვიდობიანობის დასაცავად, გაილაშქრეთ ომის მომწყობთა წინააღმდეგ. გაატარეთ ემბარგო (აკრძალვა) საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გასაგზავნ სამხედრო მასალებზე. (ადს).

ახალგაზრდათა კომინტერნის მოწოდება

მოსკოვი, 1 ივნისი. ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომმა გამოაქვეყნა მოწოდება ყველა ქვეყნის მუშა და გლეხ-ახალგაზრდებისა, ახალგაზრდა ჯარისკაცებისა და მეზღვაურებისადმი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ შექმნილია ომის რეალური და უშუალო საშიშროება და მის წინააღმდეგ ბრძოლის დაყოვნება—სიკვდილს უდრის.

„—კომინტერნისა და ახალგაზრდათა ინტერნაციონალის დროშის ქვეშ,—ნათქვამია მოწოდებაში—რევოლიუციის წითელი ემბლემის გარშემო გააერთიანეთ თქვენი რიგები. ინგლისის ახალგაზრდა პროლეტარებო! თქვენ გეკისრებათ უდიდესი პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირის ბედისათვის. ყოველგვარი ზომებით შეუშალეთ ხელი კონსერვატორებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამომუშავებულ სამხედრო გეგმების შესრულებაში.

პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის და ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოების მშრომელო ახალგაზრდობავ! ბოლდუინს სურს თქვენი ხელებით დაახრჩოს საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები. გამოდით ამის წინააღმდეგ. შეატრიალეთ თქვენი იარაღი თქვენი სარდლებისაკენ. დაუძმობილდით წითელ-არმიას. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა მუშებო და გლეხებო! იყავით მზად გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ყველა ქვეყნის ახალგაზრდა მშრომელები თქვენს მხარეზე იქნებიან. მშრომელ ახალგაზრდობას გახსოვდეთ ლენინისა და ლიბკნეხტის ანდერძი: „ომი-ომს!" (ადს).

მოწოდება მეზღვაურთა და ტრანსპორტის მუშებისადმი

მოსკოვი, 1 ივნისი. ტრანსპორტზე მომუშავეთა პროპაგანდისა და მოქმედების საერთაშორისო კომიტეტმა, გამოუშვა მოწოდება მთელი ქვეყნის მეზღვაურთა და ტრანსპორტელთა მიმართ, რომელშიაც ნათქვამია:

— „ყველა ქვეყნის ნავთსადგურებში და მსხვილ სარკინიგზო ცენტრებში მოაწყვეთ ახალი ომის საშიშროებასთან მებრძოლი მოქმედების კომიტეტები. მოაწყვეთ ახალი ომის საწინააღმდეგო საპროტესტო დემონსტრაციები. გაუწიეთ კანტროლი და გამოუცხადეთ ბოიკოტი სამხედრო იარაღებისა, ამუნიციისა და ჯარების გადაყვანის საქმეს" (ადს).

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

რიგა, 1 ივნისი. ინგლის - საბჭოთა კავშირის კონფლიქტის შესახებ ჟურნალისტებთან გამართულ საუბარში ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ცელენსმა განაცხადა:

— აშკარაა, რომ საბჭოთა კავშირსა და ინგლის შორის სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტით, ლატვია მიიღებს სხვადასხვა ეკონომიური ხასიათის სარგებლობას. **ჩვენი გეოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობა მოითხოვს, რომ დავიცვათ უსასტიკესი ნეიტრალიტეტი დიდ სახელმწიფოებს შორის მომხდარ უთანხმოებებში** (ადს).

თავდასხმა კომუნისტურ სტამბაზე

ბერლინი, 1 ივნისი. ვოლფის სააგენტო იტყობინება:

„პოლიციის პრეზიდენტის ცნობის თანახმად, დღეს ქალაქ - ბალის მუშათა კოლონიაში პოლიტიკური პოლიციის მოხელეებმა აღმოაჩინეს და კონფისკაცია უყვეს კარგათ მოწყობილ სტამბას, რომელშიაც იბეჭდებოდა მხოლოდ კომუნისტური ლიტერატურა; ამ ლიტერატურას მიზანი იყო პოლიციის და რეიხსვერის გახრწნა. ამ საიდუმლო სტამბაში იბეჭდებოდა, სხვათა შორის, ჟურნალი „როტერ გუმიკნიუპელ"-იც, რომელიც არა - ერთხელ დაუჭერიათ პოლიციას და რომელსაც ბრალად სდებდენ სახელმწიფო ღალატს. პოლიტიკურმა პოლიციამ, შემდეგ, სხვა სტამბებში დააკავა ბეჭდვითი ნაწარმოებები, რომლებიც დამზადებული იქნა აღნიშნულ საიდუმლო სტამბაში; ამასთანავე დაპატიმრებულ იქნა რამოდენიმე კაცი. სწარმოებს გამოძიება. (ადს).

სამთა კონფერენცია

ბერლინში, 31 მაისი. ამერიკის საელჩო ბერლინში ატყობინებს ერთა ლიგის სამდივნოს, რომ ინგლისის, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების და იაპონიის სამთა კონფერენცია საზღვაო განიარაღების საკითხის განსახილველათ გაიხსნება ჟენევაში 20 ივნისს. (ადს).

ხოჯესის გადადგომა

პარიზი, 31 მაისი. სამთამადნო მუშების საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სხდომამ, რომელიც პარიზში შესდგა, მიიღო ხოჯესის გადადგომა და დროებით მდივნად დანიშნა ბელგიელი დელატრი. ამის გამო აღმასკომის ბინა გადატანილ იქნა ბრიუსელში (ადს).

საბჭოთა სპორტსმენები სპარსეთში

თეირანი, 31 მაისი. მეშედში ჩამოსულმა ქალაქ ასხაბადის ფეხბურთელთა გუნდმა მოუგო მეშედის გუნდს. (ადს).

ინგლისის ესკადრა

ბალტიის ზღვაში

ჰელსინგფორსი, 31 მაისი. ფინური პრესა იუწყება, რომ ივნისის შუა რიცხვებში ბალტიის ზღვაში მოვა ინგლისის დიდი ესკადრა. ესკადრა დაყოფილი იქნება ესკადრილიებად, რომელნიც ინახულებენ ჰელსინგფორსს, რიგას, რეველს, სტოკჰოლმს და სხვა ნავთსადგურებს (ადს).

მუშათა ახალგ. ყრილობა

ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 31 მაისი. **29** მაისს შესდგა ჩეხო-სლოვაკიის მუშა ახალგაზრდობის ყრილობა, რომელიც ჩატარდა კომუნისტური ლოზუნგების ქვეშ: კაპიტალისტური რეაქციის წინააღმდეგ, ომის საფრთხის წინააღმდეგ და სხვ. არჩეულია მოქმედების კომიტეტი.

ყრილობამ მისალმება გაუგზავნა საბჭოთა კავშირის მშრომელ ახალგაზრდობას (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უმნიშვნელოვანესი რეზოლიუცია

„პრავდა"-ს გუშინდელ ნომერში მკითხველი ნახავს კომინტერნის აღმასკომის პლენუმის რეზოლიუციას ჩინეთის საკითხის შესახებ. ყოველმა კომუნისტმა, ყოველმა შეგნებულმა მუშამ არა თუ უნდა წაიკითხოს, არამედ საფუძვლიანად უნდა ჩაუფიქრდეს, რა სთქვა მსოფლიო პროლეტარიატის უზენაესმა ორგანომ მსოფლიო რევოლიუციის ამჟამად უმნიშვნელოვანეს საკითხის შესახებ.

ჩინეთის რევოლიუციის ხასიათის ვერ გაგებას, იმ ეტაპის ვერ გაგებას, რომელსაც ის ეხლა განიცდის, ბრძოლის სპეციფიურ სიძნელეების სათანადოთ შეუფასებლობას, რევოლიუციონურ დიალექტიურ მიდგომის უქონლობას ზოგიერთები (განსაკუთრებით ჩვენს ოპოზიციონერებს შორის, რომელთაც უცოდველ პაპებად მოაქვთ თავი ჩინეთის ამბების დარგში) მიჰყავდა, უკულმართ ბუნდოვან მოსაზრებებამდე, რომელთაც, რასაკვირველია, არც ლენინიზმთან, არც მარქსიზმთან, არაფერი საერთო არ აქვთ. ამ მოსაზრებების სიყალბე, რაც არსებითად მყვირალა, ნახევრად მენშევიკურ ლიკვიდატორობამდე მიდის, ამომწურავ სიცხადით გამომჟღავნებულია კომინტერნის რეზოლიუციაში.

მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას შემდეგ პუნქტებზე:

არ შეიძლება ბრძოლის ეხლანდელი ფაზისი ჩინეთში შეფასებულ იქნეს, როგორც გადამწყვეტი დამარცხება, როგორც მინუსი რევოლიუციისათვის. ჩან-კაი-შის მიერ მოხდენილი სისხლისმღვრელი გადატრიალება, რაც მოასწავებს ბურჟუაზიის განდგომას რევოლიუციისაგან, უსათუოდ, დიდი ზიანია რევოლიუციისათვის. ჩინეთის რევოლიუცია შევიდა კრიტიკულ სტადიაში. მაგრამ „ნაციონალურ - რევოლიუციონურ მოძრაობის კრიზისი" კი არ სპობს, არამედ სწორედ გულისხმობს ძალთა გადაჯგუფებას და რევოლიუციის გადასვლას უფრო მაღალ საფეხურზე.

„ჩინეთის რევოლიუციის ნაწილობრივ დამარცხების", მთელ რიგ ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციონურ გადატრიალებების (შანხაი, ნანკინი, კანტონი) საპასუხოდ ვხედავთ მასების აქტივობის არაჩვეულებრივ ზრდას, მუშების ბრძოლის გაძლიერებას ქალაქებში, აგრარული რევოლიუციის განვითარებას სოფლად, რევოლიუციონურ ჯარების სამხედრო გამარჯვებებს. რევოლიუცია ავიდა უმაღლეს საფეხურზე, მიუხედავად ნაწილობრივ დამარცხებისა. აი ამიტომ „კომინტერნის აღმასკომს თავიდან ბოლომდე შემცდარად მიაჩნია ლიკვიდატორული შეხედულება ჩინეთის რევოლიუციის ეხლანდელ კრიზისზე, როგორც მის გადამწყვეტ დამარცხებაზე, რომელიც ახალ საერთაშორისო პირობებს ქმნის".

არ შეიძლება ნაციონალური რევოლიუციის ამოცანების დაპირისპირება ჩინეთის პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის ამოცანებისადმი.

„ასეთი დაპირისპირება, — ვკითხულობთ რეზოლიუციაში, — რაც ახასიათებს ევროპაში, როგორც ულტრა-მემარცხენეებს, ისე სოციალ - დემოკრატებს, არის უარის თქმა პროლეტარიატის ჰეგემონიაზე ჩინეთის დემოკრატიულ რევოლიუციაში, უარის თქმა იმ ვითომ მუშური „ცხოვშჩინის" სასარგებლოდ, რომელიც პოლიტიკურად წარმოადგენს ოპორტიუნიზმის ერთ-ერთ სახეს და რომელიც პროლეტარიატს აქცევს დემოკრატიული ბანაკის ჯგუფებად. უნდა აღინიშნოს, რომ ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადასვლის შემდეგ პროლეტარიატი სულ უფრო და უფრო ხდება მთელი ნაციონალურ - რევოლიუციონური მოძრაობის აღიარებულ ჰეგემონად (ხელმძღვანელად, წინამძღოლად). ჩინეთის რევოლიუცია ვერ განვითარდება, ის ვერ შესძლებს გამარჯვებების მიღწევას, თუ არ გაიზარდა მუშათა კლასის, სწორედ, როგორც ამ ხელმძღვანელის როლი მთელს დემოკრატიულ რევოლიუციაში, რომლის დასრულება შეიძლება მხოლოდ ბურჟუაზიის წინაღმდეგ ბრძოლაში".

არ შეიძლება წამოსროლილ იქნეს ლოზუნგად ჩინეთის კომუნისტური პარტიის გამოსვლა გომინდანიდან. გომინდანიდან გამოსვლა, ნიშნავს ჩინეთის პროლეტარიატის სექტანტურ განცალკევებას. ეს ნიშნავს აგრეთვე პოზიციების ლიკვიდატორულ დათმობას.

ვინაიდან „არსებულ პირობებში პროლეტარიატს არ შეუძლია პრეტენზიები იქონიოს ჰეგემონის როლზე ქვეყანაში უიმისოდ, თუ მუშათა კლასის კომპარტიას პრეტენზია არ ექნება ჰეგემონის როლზე გომინდანის შიგნით".

ასევე არ შეიძლება ამჟამად ჩინელ კომუნისტების გამოსვლის მოთხოვნა უხანის რევოლიუციონურ მთავრობის შემადგენლობიდან. უხანის მთავრობაში მონაწილეობაზე უარის თქმაც ჩვენი დროის ლიკვიდატორების დროშაზეა დაწერილი. ნაციონალური მთავრობიდან გამოსვლის ლოზუნგი — ეს თავიდან ბოლომდე ყალბი არის.

უხანის მთავრობის „ბოიკოტისტებისათვის" უცხო არ არის რუს მენშევიკების შეცდომები 1917 წელს. მენშევიკებს, რომლებიც არსებითად ლიბერალურ ბურჟუაზიის მხოლოდ „მემარცხენე" დამატებას წარმოადგენდენ, შეუძლებლად მიაჩნდათ მონაწილეობა დროებით რევოლიუციონურ მთავრობაში.

„მენშევიკების პოზიციისათვის დამახასიათებელი იყო, რომ მათ უარი სთქვეს რევოლიუციონურ მთავრობაში მონაწილეობაზე და მონაწილეობა მიიღეს კონტრ - რევოლიუციონურ კოალიციებში".

ასეთივე არსებითად ლიკვიდატორული სიდამპლე „მემარცხენეობის" ნიღაბს ქვეშ იმალება ოპოზიციის დანარჩენ „მყვირალ - რევოლიუციონურ" დებულებებში, ლოზუნგებში და მოსაზრებებში. დაუყოვნებლივ საბჭოების შექმნის ლოზუნგი, რისთვისაც ჯერ კიდევ არ არსებობს ობიექტიური წინასწარი პირობები და რაც არ უნდა დაჯდეს აჯანყების ტაქტიკა, რომელიც სამართლიანად გაჰკიცხა თავის დროზე ლენინმა, ცრუმორწმუნეობრივი სიძულვილი ყოველივე მანევრებისა და კომპრომისისადმი, რაც თანამედროვე „ულტრა - მემარცხენე" სიბრძნიდან არის გადმოღებული, — ყოველივე ეს ლენინიზმის თვალსაზრისით შეფასებულია კომინტერნის აღმასკომის რეზოლიუციაში.

თვითეულმა პარტიულმა ამხანაგმა ზედმიწევნით უნდა განიხილოს და შეისწავლოს რეზოლიუცია ჩინეთის საკითხის შესახებ, ვინაიდან მასში ისინი ნახავენ ლენინიზმის პრინციპების გამოყენებს თანამედროვე დიდი ამბების განვითარებაში.

„პრავდა".

მოსკოვი, 1 ივნისი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სახალხო კავშირის მუშაკთა კავშირის ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 31 მაისი. 31 მაისს გაიმართა სახალხო კავშირის მუშაკთა კავშირის ახლად არჩეულ ცეკას პლენუმის სხდომა, რომელზედაც ცეკას თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ამხ. თავლობი, მდივნათ ამხ. მანცივოდი. (ადს).

საბჭოთა კავშირის ინჟინერების ექსკურსია გერმანიაში

მოსკოვი, 1 ივნისი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო საინჟინერო-ტექნიკურ ძალების ცენტრალურ ბიუროსთან ერთად აწყობს ინჟინერების ექსკურსიას გერმანიაში. ექსკურსიის მიზანია მიღწევების გაცნობა სამრეწველო და საბინაო აღმშენებლობის დარგში. პირველი ექსკურსია გაიმართება ივნისში. (ადს).

საბჭოთა კავშირის მინერალური წყლები იაპონიაში

მოსკოვი, 1 ივნისი. პიატიგორსკიდან იაპონიაში გაიგზავნა 2 ვაგონი მინერალური წყლები — ესენტუკი და ნარზანი (ადს).

ხილის გატანა საზღვარ-გარეთ

მოსკოვი, 1 ივნისი. წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი ხილის გატანა საზღვარ-გარეთ.

შარშან დიდძალი ხილი იგზავნებოდა ინგლისში; ამჟამად სხვა ქვეყნების შეკვეთა აღემატება ჩვენს საექსპორტო შესაძლებლობას. ამგვარად ინგლისში ხილის გაგზავნის შეწყვეტა არავითარ გავლენას არ მოახდენს (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ელექტრო-აღმშენებლობა

ბაქო, 31 მაისი. ნუხის და განჯის ელექტრო სადგურების დასამთავრებლად აზერბეიჯანის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა გადასდო 100.000 მანეთი. (ადს).

ხანძარი განჯაში

განჯა, 1 ივნისი. 1 ივნისს განჯაში ჯაფარიძის ქუჩაზე 2 საათის განმავლობაში დაიწვა 3 კერძო მაღაზია. დამწვარია 16.000 მანეთის საქონელი. (ადს).

სეტყვა

განჯა, 1 ივნისი. ნაბი-აგალის და შამქორის რაიონებში გადაიარა სეტყვამ, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა ნათესებს. ზარალი ჯერ კიდევ სავსებით არ არის გამორკვეული. (ადს).

11 წლის ბავშვის გახრწნა

ბაქო, 1 ივნისი. ბაქოს საოლქო სასამართლომ გაარჩია პეჩნიკოვის საქმე; პეჩნიკოვს ბრალად ედება 11 წლის გერის გახრწნა, რომელთანაც ის ერთი წლის განმავლობაში სცხოვრობდა. სასამართლომ დაამტკიცა, რომ ბავშვის გახრწნას ხელს უწყობდა მისი დედა. პეჩნიკოვს მიესაჯა 10 წლის ციხე, მის ცოლს 5 წლის სასტიკი იზოლიაციით. (ადს).

ბაქო-ბათომის ნავთსადენის აშენებისათვის

ბაქო, 1 ივნისი. აზნავთის მიერ დაწყებული მუშაობა ბაქო-ბათომის ნავთსადენის მოსაწყობათ წარმატებით მიმდინარეობს. დღეს ექსპერტთა კომისიამ შეამოწმა საქარხნო მილები. მილებმა გაუძლეს ჰიდრავლიურ ზეწოლას 175 ატმოსფერის რაოდენობით. ნავთსადენში წნევა 80 ატმოსფერაზე მეტი არ იქნება. (ადს).

სომხეთი

მეჯოგეობა

ერევანი, 1 ივნისი. მომთაბარეები დელიჟანიდან გადიან საზაფხულო საძოვრებზე. (ადს).

საორგანიზაციო განყოფილებანი აღმასკომებთან

ერევანი, 1 ივნისი. სომხეთის ცაკმა განიზრახა მოაწყოს ყველა სამაზრო აღმასკომებთან საორგანიზაციო განყოფილებანი. საკითხი გადაეცა მუშათა და გლეხთა ინსპექციას საბოლოოთ დასამუშავებლად. (ადს).

არქეოლოგიური აღმოჩენა

ერევანი, 1 ივნისი. მეორე გნუნის ქუჩაზე სარდაფში მიწის გათხრის დროს აღმოჩენილი იქნა რამდენიმე ქური დამარხული გვამებით. სიძველეთა დაცვის კომიტეტი შეუდგა ამ ადგილას გათხრას. აღმოჩენილია 4 სამარხი კარგად შენახული ნივთებით. ნივთები ეკუთვნის ბრინჯაოს ხანას. (ადს).

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოკვლა

სტეფანოვანი, 1 ივნისი. სოფ. აგარაკის მიდამოებში ნაპოვნია ადგილობრივ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის—გიორგი ვერმიკიანის გვამი. იქვეით შეპყრობილია 6 კაცი. კვლევა-ძიება სწარმოებს. (ადს).

ზენონის ხელთნაწერი

ერევანი, 1 ივნისი. ეჩმიაძინის მუზეუმის ხელთნაწერების განყოფილებაში ნერსეს მატიანმა აღმოაჩინა ერთ-ერთ ხელთნაწერთა კრებულში საბერძნეთის ფილოსოფოსის ზენონ ელეელის თხზულების სომხური თარგმანის 10 გვერდი. ეს ფილოსოფოსი სცხოვრობდა მე-5 საუკუნეში ქრისტემდე. ახლო მომავალში ეს ნაწყვეტი გამოცემული იქნება სომხურ ენაზე. (ადს).

უცხოეთში

მონარქიის აღდგენის ცდები უნგრეთში

იტალია-უნგრეთის ხელშეკრულების დადების შემდეგ უნგრეთში ჰაბსბურგების რესტავრაციის საკითხი უნგრეთის საზოგადოებრივი წრეების ყურადღების ცენტრშია. მიუხედავათ ბეტლენის განცხადებისა, რომ „რომში ტახტის საკითხი არ განხილულა", უკანასკნელი ამბები მოწმობენ რომ ზოგიერთი ნაბიჯები ჰაბსბურგების რესტავრაციისათვის გადადგმულია. ამჟამად უნგრეთის ტახტზე არის ორი პრეტენდენტი—ყოფ. მეფის კარლოსის შვილი ოტტო, უკიდურეს მონარქისტების კანდიდატი—და ერც-ჰერცოგი ალბრეხტი, უნგრეთის ახლანდელი დიქტატორის—ხორტისა და რასსენშიუტცლერების (უნგრელ ფაშისტების) კანდიდატი. არის აგრეთვე მესამე მიმდინარეობა, წარმოდგენილი მთავრობის კოალიციაში შემავალ მონარქისტებით, რომლებიც წინადადებას იძლევიან, რომ მეფეთ არჩეულ იქნას ოტტო იმ პირობით, თუ ამავე დროს ერც-ჰერცოგი ფრანც-იოსები დანიშნული იქნება რეგენტათ.

თუ რომელი გაიმარჯვებს ამ პროექტებიდან, თქმა ძნელია. გადაჭრით ამტკიცებენ, რომ რესტავრაცია მოხდება იტალიის დახმარებით. ამის დასამტკიცებლად მოყავთ ფაქტი ყოფ. დედოფლის ზიტას ძმის იოახიმის ჩასვლისა პარიზიდან ბუდაპეშტში მონარქისტებთან მოლაპარაკების მიზნით. ამტკიცებენ აგრეთვე, რომ პრინც სიქსტსა და უნგრეთის მთავრობას შორის სწარმოებს მოლაპარაკება იმ მიზნით, რათა ყოფ. დედოფალ ზიტასა და პრინც ოტტოს მიეცეს უნგრეთში დაბრუნების უფლება.

ბეტლენმა ბელგრადის გაზ. „პოლიტიკა"-ს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: „კონსტიტუციის აზრითა და მნიშვნელობით, უნგრეთი მონარქიაა. დღემდი შეუძლებელი იყო მონარქიის ყველა ორგანოების აღდგენა. ეს შეუძლებელი იქნება იმ დრომდე, სანამ გადაჭრილი არ არის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. ამიტომ ძნელია იმის განსაზღვრა, თუ როდის დადგება ხელსაყრელი მომენტი მონარქიის ყველა ფუნქციების აღსადგენათ უნგრეთში.

ოტტო და ყოფ. დედოფალი ზიტა უკვე გაემგზავრენ ესპანეთიდან და ამჟამად იმყოფებიან ლიუქსემბურგში. ლიუქსემბურგი წარმოადგენს თავშესაფარს ყველა პრინცებისას. აქედან იმბება ყველა ძაფები ჰაბსბურგების რესტავრაციის მიზნით უნგრეთსა და ბავარიაში.

ამერიკული „ცივილიზაციის" სიმბოლო



ამერიკის ბურჟუაზია ელექტრონის ენერგიით სარგებლობს არა მარტო ტეხნიკაში და მრეწველობაში, არამედ რევოლიუციონერებთან და ბურჟუაზიის „წმინდათა-წმინდის" კერძო საკუთრების მტრებთან ბრძოლის მიზნითაც. სურათზე ნაჩვენებია ელექტრონის სკამი სინგ-სინგის ციხეში. ბერკეტის ერთი მობრუნება დაუყონებლივ კლავს კაცს.

სასამართლოს რეორგანიზაციისათვის*)

სასამართლოს რეორგანიზაციისათვის*)

საქართველოს საბჭოთა მე-4 ყრილობაზე იუსტიციის სახალხო კომისარმა თავის სიტყვაში სხვათა შორის განაცხადა, რომ მთავრობას განზრახული აქვს სასამართლოს რეორგანიზაციით.

მართლაც, ჩვენ შემთხვევა გვქონდა გაგვეცნო ამ რეორგანიზაციის პროექტი.

სახელმწიფოს მმართველობის სფეროში არც ერთი დარგი არ არის ისე სათუთი, ისე მგრძნობიარე, როგორც იუსტიცია. აქ სასამართლოს წყობილების ცვლილება, არამც თუ რადიკალური, არამედ მცირედიც, ხელს უშლის სასურველ ტრადიციების შემუშავებას და სიმტკიცეს, რაც ასე საჭიროა მართლმსაჯულების საქმისათვის. ამიტომ ასეთი საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს, ყოველი მხრით გაშუქებას და აწონ-დაწონას. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა საკითხი იმ კაბინეტებიდან, სადაც განზრახულმა აზრმა ერთგვარი ფორმა მიიღო, გადატანილ იქნება განსახილველად ფართო კომპენტენტურ წრეებში, სამეცნიერო საზოგადოებაში (მაგ., იურიდიულ საზოგადოებაში) და უწინარეს ყოვლისა — პრესაში იმ მიზნით, რომ ცოცხალი გამოცდილების გამოძახილი გამოიწვიოს**).

ჩვენ გვსურს, შეძლებისდაგვარად, ჩვენი მცირე წვლილიც შევიტანოთ აღნიშნულ პრობლემის გაშუქებაში.

პროექტი, რომელზედაც ლაპარაკია, შეეხება უზენაეს სასამართლოსა და ოლქის სასამართლოებს.

I. უზენაეს სასამართლოს რეორგანიზაცია

პროექტში გატარებულია ის იდეა, რომ სასამართლოს დაწესებულებათა სათავეში უნდა იქნეს დაყენებული **ერთი საკასაციო ცენტრი,** რომელიც თვალყურს ადევნებს კანონების სწორ შეფარდებას, შექმნის ერთიან პრაქტიკას და ცხოვრებაში გაატარებს მტკიცე კლასიურ ხაზს. ეს უნდა იქნეს **უზენაესი სასამართლო.**

ეს იდეა ღირსია მხურვალე მისალმების ყველას მხრით, ვისაც გული შესტკივა იმისათვის, რომ სასამართლო სასურველ სიმაღლეზე დადგეს. ჩვენ დიდი ხანია ვწერდით და ვამტკიცებდით ამის საჭიროებას[1]).

მართლაც, ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე, მხედველობაში, რომ არ მივიღოთ აფხაზეთი, აჭარა და სამხრეთი ოსეთი, რომელთაც, თვითეულს, აქვთ თავისი საკუთარი საკასაციო ცენტრი, მაინც კიდევ არის სამი საკასაციო ინსტანცია:

ა) უზენაესი სასამართლო — იმ საქმეებისათვის, რომლებიც არსებითად ირჩევა ოლქის სასამართლოებში;

ბ) აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს საკასაციო განყოფილება —აქაურ სახალხო სასამართლოებისათვის და;

გ) დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს საკასაციო განყოფილება —იქაურ სახალხო სასამართლოებისათვის.

საკასაციო ინსტანციის დანიშნულება ის არის, რომ შეამოწმოს, დაინტერესებული მხარის საჩივარის გამო ან ზედამხედველობის წესით, 1-ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიული მხრით, განიხილოს, კანონიერათ იყო თუ არა ნაწარმოები საქმე, სათანადო კანონი იყო თუ არა შეფარდებული და სისწორით იყო თუ არა გაგებული კანონის აზრი. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ უნდა განუმარტოს დაქვემდებარებულ სასამართლოებს კანონის ნამდვილი აზრი, აუხსნას მთავარი პრინციპები, უჩვენოს საერთო ხაზი. ეს ქმნის სასამართლოს პრაქტიკის ერთიანობას, სისწორეს, ტრადიციას, ხოლო ყველა ეს ერთად ემსახურება რევოლიუციონური კანონიერების სინამდვილეში გატარებას.

თავის თავად ცხადია, რომ იქ სადაც, ერთი მეორის გვერდით, რამდენიმე საკასაციო ინსტანცია არის, **ერთიანი** ხელმძღვანელობა, ერთიანი პოლიტიკის შექმნა სასამართლოს სფეროში ყოვლად შეუძლებელია. ადვილი წარმოსადგენია და ეს ხშირადაც ხდება სინამდვილეში, რომ ერთი და იგივე კანონი ერთგვარ შემთხვევებში ქუთაისში განიმარტება ერთნაირად, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს საკასაციო განყოფილებაში მეორენაირად და უზენაეს სასამართლოში კიდევ სხვანაირად.

კიდევ მეტი: ასეთი მდგომარეობა რადიკალურად ეწინააღმდეგება იმ უმთავრეს პრინციპს, რომ სასამართლო, ისე, როგორც სახელმწიფოს ყველა სხვა ორგანო, უნდა ემსახურებოდეს მშრომელთა მასის ინტერესს. ჩვენში მუშათა და გლეხთა საქმეები ირჩევა სახალხო სასამართლოებსა და შრომის სასამართლოებში, ხოლო ამათთვის უკანასკნელი საკასაციო ინსტანცია არის ოლქის სასამართლოს საკასაციო განყოფილება. მაშასადამე, იმ საქმეების მასა, რაც განსაკუთრებით აინტერესებს მუშებსა და გლეხებს, მოკლებულია უზენაეს სასამართლოს — ამ უმაღლეს კვალიფიკაციის დაწესებულების — ხელმძღვანელობას. ის **იშვიათი** შემთხვევები, როცა სახალხო სასამართლოში გადაწყვეტილმა საქმემ შეიძლება მიაღწიოს უზენაეს სასამართლომდე ზედამხედველობის მეტად რთული წესით. რასაკვირველია, ანგარიშში მისაღები არ არის.

მართალია, საკასაციო ინსტანციათა სიმრავლე არსებობს რუსეთის ფედერაციაშიაც; სადაც ყოველ გუბერნიაში არსებობს ცალკე საკასაციო ინსტანცია (საგუბერნიო სასამართლოს საკასაციო განყოფილება). იქ მთლიანი საკასაციო წარმოების დაქუცმაცების საბუთად მოყავდათ ის მოსაზრება, რომ მთელ სახელმწიფოში მარტო ერთი საკასაციო ცენტრის შექმნა გამოიწვევდა საქმის დაბოლოვების ნამეტან დაგვიანებას და საკასაციო ინსტანციის ხალხისაგან ძალზე დაშორებას. მაგრამ იქაც კი ამ ბოლო დროს თავი იჩინა იმის მწვავე შეგნებამ, რომ ერთიანი საკასაციო ცენტრის უქონლობას თან სდევს ბევრი ცუდი მხარე:

„ჩვენო, — სწერს რუსეთის იუსტიციის კომისარიატის ბეჭდვითი ორგანო, —არასოდეს არ გვითქვამს უარი ერთიან საკასაციო ცენტრზე და მხოლოდ ჩვენგან დამოკიდებულ ობიექტიურ, ასე ვსთქვათ, **გეოგრაფიულ პირობების** გამო ვცანით შეუძლებლად ყველა საკასაციო საქმის განხილვა ერთ ცენტრში და მხოლოდ **აუცილებლობის** შედეგია ის, რომ საკასაციო ფუნქციები დავაკისრეთ საგუბერნიო სასამართლოებს... ჩვენ მტკიცედ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ უსათუოდ და აბსოლიუტურად გვესაჭიროება ერთიანი საკასაციო ინსტანცია, რომ ეს აუცილებელია სასამართლოს სწორი და შეთანხმებული პოლიტიკისათვის... პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპი მოითხოვს ერთიან ხელმძღვანელობას" (Еж. Сов. Юст. 26 г. № 15).

აქედან ცხადია, რომ, თუ რუსეთში ერთი საკასაციო ცენტრის შექმნას ხელი შეუშალა ამ თვალუწვდენელი ქვეყნის „გეოგრაფიულმა" პირობებმა, ჩვენი პატარა სახელმწიფო სრულიად თავისუფალია ამ დაბრკოლებებისაგან.

ამგვარად, საქართველოში ერთი საკასაციო ცენტრის იდეა უნდა ჩაითვალოს აქსიომასავით უდავო დებულებად. მაგრამ პროექტში ერთია იდეა და სულ სხვაა ის, რასაც იძლევა მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის განზრახული ორგანიზაცია. პროექტის აზრით, ქუთაისში უნდა დაარსდეს უზენაესი სასამართლოს **მუდმივი სესია,** შემდგარი ექვსი წევრისა და ერთი თავმჯდომარისაგან, ანუ, უკეთ; რომ ვსთქვათ, ცალკე განყოფილება თავისი კანცელარიით. ერთი სიტყვით, ფაქტიურად ისევ იქნება ორი საკასაციო ცენტრი: ერთი თბილისში და მეორე ქუთაისში. იმ გარემოებას, რომ ქუთაისის საკასაციო ინსტანციას დაერქმევა „მუდმივი სესია", არსებითად არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან ორივე ცენტრი ფაქტიურად იმოქმედებს სრულიად დამოუკიდებლად. არა აქვს მნიშვნელობა არც იმას, რომ ქუთაისის სესიის თავმჯდომარეს მიეთვისება სახელი: „უზენაესი სასამართლოს რწმუნებული". აქვე უნდა ვსთქვათ ფრჩხილებში, რომ ცნება „რწმუნებული" აქ სრულიად უადგილოა, რადგან სასამართლოს სფეროში მოსამართლე, ისე, როგორც ყოველი თანამდებობის პირი, ასრულებს თავის მოვალეობას კანონის ძალით და არა რომელიმე ორგანოს რწმუნებულებით.

რა საჭიროა ეს „მუდმივი სესია" ქუთაისში? ერთად-ერთი მოსაზრება, რომელიც შეიძლება მოვიყვანოთ ამის გასამართლებლად, არის ის, რომ საკასაციო ინსტანცია არ დაშორდეს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას. მაგრამ ქუთაისიდან თბილისამდე არის სულ 10 საათის სავალი გზა. მაშასადამე, თბილისი არც ისე დაშორებულია. ვინც ამა თუ იმ კუთხიდან ქუთაისში ჩავა სასამართლოს სხდომაზე დასასწრებლად, იგი უეჭველია, არ დაიშურებს 3—4 მანეთის დახარჯვას, რომ თბილისშიდაც ჩამოვიდეს,—ოღონდ საქმე სამართლიანად გადაწყდეს. ეს ერთის მხრით. მეორეს მხრით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, თუ დაინტერესებულ პირის დასწრება საჭიროა 1-ლი ინსტანციის სასამართლოში, სადაც საქმე არსებითად ირჩევა, საქმის **ფაქტიური გარემოების** სისწორით გამორკვევისათვის, მისი დასწრება უზენაეს სასამართლოში, რომელსაც ეკუთვნის უმთავრესად იმ იურიდიული დასკვნის შემოწმება, რაც გამომდინარეობს 1-ლი ინსტანციის მიერ გამორკვეულ ფაქტიურ გარემოებიდან,—ჩვენ ვფიქრობთ, არც იმდენ საჭიროებას წარმოადგენს.

ქუთაისში უზენაეს სასამართლოს განყოფილების დაარსების განზრახვა მით უფრო გასაკვირია, რომ, პროექტის მიხედვით, ქუთაისის მუდმივი სესიის სამი წევრი **ყოველ თვე** თბილისში უნდა ჩამოვიდეს უზენაეს სასამართლოს პლენარულ სხდომებზე დასასწრებლად. ჩვენის აზრით, გაცილებით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ, პირიქით, უზენაესმა სასამართლომ თბილისიდან გაავზავნოს ქუთაისში სესიები, თუნდაც ყოველთვე, სამი წევრის შემადგენლობით. განსხვავება ერთი ის იქნება, რომ აქედან წასასვლელი სესია აქაურ პირობებში უკეთ მომზადება საქმეების ჯეროვან გადასაწყვეტად და მეორეც ის, რომ ეს უფრო იაფად დაუჯდება სახელმწიფოს, ვიდრე ქუთაისში მუდმივი დაწესებულების შენახვა (1 თავმჯდომარე, 6 წევრი, კანცელარია და სხვა).

ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქუთაისში „მუდმივი სესიის" დაარსების აზრი უარყოფილი იქნება და მართლა **ერთი** საკასაციო ცენტრი დაარსდება.

ს. ჯაფარიძე.

(დასასრული იქნება).

---

*) საკითხის განხილვის წესით.

რედ.

**) ეს წერილი შედგენილი იყო ამხ. ვარძიელის წერილის დაბეჭდვამდე („კომუნისტი" № 122).

[1] იხ. ჩვენი წიგნი „სამოქალაქო პროცესი", გვ. 16—18.

აღმოსავლეთში

ინგლისის იმპერიალიზმის დაბრკოლებანი ეგვიპტეში

მთელი ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ეგვიპტის საკითხი თითქო მივიწყებული იყო. ორი წლის წინათ, გენერალ- ლი-სტეკის მოკვლის შემდეგ, მარშალ ალენბის ტლანქმა გენერალურმა შეძახილმა და ინგლისის სამხედრო მუშტის ამოძრავებამ თითქოს რამდენიმე ხნით „გადასწყვიტა" ეგვიპტის საკითხი. მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა.

მასების ზეგავლენით გადადგა ინგლისელების ლაქიის—ზივარ-ფაშას მთავრობა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის ხიშტებზე და ადგილობრივ მემამულეებზე ეყრდნობოდა. მაგრამ მასების მდგომარეობა ვერ შეამსუბუქა ვერც ახალმა „ნაციონალურმა" მთავრობამ, რომელმაც ზივარ-ფაშის კაბინეტის ადგილი დაიკავა. მებამბეობის საშინელი კრიზისი მძიმე ტვირთად აწვება მთელ მოსახლეობას. მარტო უკანასკნელი წლის განმავლობაში ეგვიპტემ 150 მილიონი მანეთი იზარალა ბამბაზე ფასების დაცემის გამო. შედეგი: ათეული ათასი გლეხის გაკოტრება, უმუშევრობა და სიძვირის ზრდა ქალაქში, ყრუ უკმაყოფილება მასებში.

ახალი „ნაციონალური" მთავრობა წარმოადგენს ინტერესებს ბურჟუაზიისა და მემამულეებისას, რომლებსაც მიყვება (ჯერჯერობით) წვრილი ბურჟუაზია და ინტელიგენცია. ამ მთავრობას, რასაკვირველია, არ შეუძლია გატარება ფართე სოციალური რეფორმების, რომლებიც ერთად-ერთ საშუალებას წარმოადგენენ ქვეყნის გამოსაყვანად შექმნილ მდგომარეობიდან. ამით აიხსნება მთავრობის ენერგიული ცდა მიაღწიოს რაიმე ხელშესახებ შედეგებს საგარეო პოლიტიკაში, რათა ამით მაინც გაამტკიცოს თავისი მეტად მერყევი მდგომარეობა.

მეორე მხრივ: საგრძნობად შეირყა ეგვიპტის მფლობელის—ინგლისის საგარეო მდგომარეობა. ჩინეთის რევოლიუცია—ეს სასიკვდილო ლახვარის ჩაცემაა ინგლისის ბატონობისათვის შორეულ აღმოსავლეთში და ამიტომ ინგლისი ცდილობს გაინთავისუფლოს ხელები, სადაც კი ეს შესაძლებელია, რომ მთელი ენერგია მოახმაროს შორეულ აღმოსავლეთში თავისი პოზიციების შენარჩუნებას.

აი რით აიხსნება ის გარემოება, რომ ინგლისში უკვე აღარ იწვევს ასეთ აღშფოთებას ეგვიპტის ზომიერ ნაციონალისტების მოთხოვნილებანი (ეს ნაციონალისტები 3-4 წლის წინათ ფაქტიურათ კანონს გარეშე იყვნენ გამოცხადებული).

როცა 1922 წ. 28 თებერვალს ინგლისი მძლავრი ნაციონალურ-რევოლიუციონური ტალღის ზეგავლენით დასთანხმდა ეგვიპტის „დამოუკიდებლობის" გამოცხადებაზე, ამ „დამოუკიდებლობას" იმდენი შემზღუდველი პირობები ჰქონდა დართული, რომ სულ არარაობამდი იქნა დაყვანილი მთელი მისი შინაარსი.

ამ „პირობების" თანახმად ინგლისის მთავრობის კომპეტენციაში დარჩა შემდეგი საკითხები:

1) ინგლისის იმპერიის გამოსვლის გზების უშიშროება ეგვიპტის ტერიტორიაზე (ე. ი. კონტროლი სუეცის არხზე და ეგვიპტის რკინისგზებზე).

2) ეგვიპტის „დაცვა" ყოველგვარ გარეშე საფრთხისაგან და პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩარევისაგან მის საქმეებში, რითვისაც ინგლისმა დაიტოვა ეგვიპტეში საოკუპაციო ჯარების ყოლის უფლება.

3) უცხოელთა ინტერესების და უმცირესობათა უფლებების დაცვა ეგვიპტეში.

4) სუდანი მთლიანად ინგლისს ემორჩილება.

ყველა ეს პირობები ყოველგვარ ნიადაგს აცლიდენ ეგვიპტის ეკონომიური განვითარების პერსპექტივებს. ეგვიპტის ბურჟუაზიამ თავისი უძლიერესი პარტიის „ვაფდის" სახით და თავისი ავტორიტეტული ლიდერის ზაგლულ-ფაშას პირით მაშინვე განაცხადა, რომ არ შეურიგდება ამ პირობებს და თავის დროშაზე დააწერა ბრძოლა ეგვიპტისა და სუდანის სრულ დამოუკიდებლობამდე.

ჯერ კიდევ წარსულ წელს გავრცელდა ხმები, ეგვიპტის ახალი მთავრობის საიდუმლო მოლაპარაკების შესახებ ინგლისთან. ამბობდენ, რომ ეგვიპტე პირდებოდა ინგლისს სინაისა და სუეცის მარცხენა ნაპირის დათმობას ეგვიპტიდან ინგლისის ჯარების გაყვანის სამაგიეროდ. მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინ ნიადაგი საკმაოდ მომზადებული არ აღმოჩნდა და მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა.

ახლა მდგომარეობა გართულებულია ორივე მხარესათვის. აი რით არის გამოწვეული, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოჩენილი მოხელე და ჟურნალისტი ვალტერ ტიბელი, ცნობილი „ავგურის" ფსევდონიმით, მოულოდნელად გაიმსჭვალა ინტერესით ეგვიპტის პირამიდებისადმი და სასწრაფოდ გაემგზავრა ქაირში.

ზაგლულ-ფაშას მომხრეები მას შემდეგი გამზადებული პროგრამით ელოდებიან:

1) ინგლისის ჯარების ევაკუაცია სუეცის არხიდან აღმოსავლეთით მდებარე ზონიდან,

2) ინგლისელი მრჩეველები უნდა გადადგენ, რისთვისაც მათ ეძლევათ დამაკმაყოფილებელი „კომპენსაცია".

3) ეგვიპტეს ენიჭება სრული თავისუფლება მოლაპარაკების დასაწყებათ სხვა სახელმწიფოებთან კაპიტულიაციის გაუქმების შესახებ.

4) სუდანში მოხელეებსა და ოფიცრებს ნიშნავს ეგვიპტის მთავრობა, და მრავალი სხვ.

ასეთია ეგვიპტის ახლანდელი მმართველების პოლიტიკური სიბრძნის „მწვერვალები". ამ „მოთხოვნილებებით" აპირებენ ისინი მასების მოხიბვლას, თავის დაღწევას კრიზისიდან, პოლიტიკური კაპიტალის შეძენას.

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად მოახერხებენ ზაგლულისტები თავიანთ „ბრძნული" გეგმის განხორციელებას. ეგვიპტის ფართე მასები უკვე ხედავენ განსხვავებას თავისი ბურჟუაზიის სიტყვასა და საქმეს შორის. უკვე არის ზოგიერთი ნიშნები იმის, რომ ეგვიპტეში ისახება ახალი ძალა, რომელიც უფრო გაბედულ ნაციონალურ-რევოლიუციონური ბრძოლის გზას დაადგება.

ეგვიპტეში შექმნილი მდგომარეობა კიდევ იმით არის საინტერესო, რომ ნათელყოფს, თუ რამდენად არის შერყეული ინგლისის კოლონიალური ბატონობა, მისი საერთაშორისო მდგომარეობა. ინგლისი ახლა იძულებულია ლმობიერებით მოისმინოს ისეთი „მოთხოვნილებები", რომელთა წინააღმდეგ ერთი-ორი წლის წინათ, ზარბაზნებსა და ტყვიის მფრქვეველებს ალაპარაკებდა.

ა. ბ—ლ.

აპარატის რაციონალიზაცია

ვაჭრობის სახ. კომისარიატში

(საუბარი ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რაციონალიზაციის ბიუროს გამგე—ამხ. ფრიშმანთან)

ამას წინად დამთავრდა ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების გაერთიანება. გაერთიანებული სახალხო კომისარიატის რაციონალიზაციის ბიუროს გამგემ—ამხ. **ფრიშმანმა** კომისარიატში აპარატის რაციონალიზაციისათვის ჩატარებულ მუშაობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

— გეგმიანი მუშაობა ორივე კომისარიატებში აპარატის რაციონალიზაციისათვის დაიწყო თებერვლიდან, როდესაც ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით დაარსდა რაციონალიზაციის ბიურო. უკანასკნელმა თავის გეგმაში შეიტანა ისეთი საკითხები, რომელთა რაციონალიზაცია აუცილებელი იყო ყოველ მიზეზს გარეშე.

მუშაობა სწარმოებს შემდეგი ძირითადი ხაზით: ეკონომიური პრობლემების რაციონალიზაცია, საშტატო - სასტრუქტურო საკითხები, ანგარიშწარმოება და ოპერატიული აღრიცხვა.

ჩვენ ამჟამად დავამთავრეთ მუშაობა ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს სტრუქტურის რაციონალიზაციისათვის; სტრუქტურის პროექტი აგებულია შტატების შემოკლებაზე და იმაზე, რომ გამგეობის წევრები იმავე დროს იყვნენ გამგეობის საოპერაციო დირექტორატების გამგეებიც; ჩატარებულია აგრეთვე კალკულიაციის ანალიზი („ზაკუტილ სირიე"-ში) ზედნადები ხარჯების შემცირების თვალსაზრისით, საიმპორტო საქონლის ოპერატიული აღრიცხვა, ხალიჩების დამზადებასთან დაკავშირებული ცალკე საკითხების რაციონალიზაცია, ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ცენტრალური ბუხჰალტერიის გამოკვლევა და სხვა.

რაციონალიზაციის ბიუროს მიერ წამოყენებული ღონისძიებების გატარებამ გამოიღო შედეგები: აღრიცხვის ფორმები საიმპორტო კანტორაში შემცირდა 75 პროც., მოხდა ანგარიშწარმოების ფორმების უნიფიკაცია და სხვა ფულადი მომჭირნეობა გამოიხატება 20.000 მანეთში ყოველ წლიურად; ამას გარდა, ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს სტრუქტურის რაციონალიზაციის გატარებისაგან წადში.

რაციონალიზაციის ბიუროს მუშაობა სწარმოებს მჭიდრო კონტაქტში საქ. კ. პ. (ბ) უჯრედთან და ეკონომთათბირთან, რითაც უზრუნველყოფილია საქმიანი კრიტიკა და გაადვილებულია თანამშრომლების ფართო მასების ჩაბმა რაციონალიზაციის პრაქტიკულ მუშაობაში.

პარტიული ცხოვრება

ამიერ-კავკასიის საბჭოთა უჯრედების თათბირი

გუშინ პროფკავშირთა მცირე დარბაზში გაიხსნა ა.-კ. საბჭოთა უჯრედების თათბირი. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) უჯრედების მორიგი ამოცანები საბჭოთა დაწესებულებათა მუშაობაში. 2) მოხსენებები ადგილებიდან და 3) ა.-კ. საკ. კომ. და მუშ-გლეხინის მოხსენება:

თათბირი გახსნა ამხ. **რუბენმა.** ამიერ-კავკასიის მასშტაბით, სთქვა ამხ. რუბენმა,—ჩვენ პირველად ვიკრიბებით; რათა ჯამი გაუკეთოთ საბჭოთა უჯრედების მუშაობას და შევამოწმოთ თუ რამდენათ ატარებენ ისინი პარტიის დირექტივას. ჩვენს წინაშე სდგას ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და აპარატის რაციონალიზაციის ამოცანა. ჩვენ ამ ამოცანის გადაჭრა შეგვიძლია ჩვენ იმ ძირითად პარტიულ ორგანიზაციების საშუალებით, რომელნიც უშუალოდ მუშაობენ დაწესებულებებში. ამხ. რუბენის სიტყვის შემდეგ პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს

ამხ. მამია ორახელაშვილი

— საბჭოთა უჯრედების მუშაობა, ამბობს მომხსენებელი პირველი შეხედვით თითქოს არ არის რთული. სინამდვილეში კი ის ძირითადი საკითხია ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს მშენებლობისათვის. სახელმწიფო აპარატის დაპყრობის საკითხი წარსულშივე იყო ჩვენი გადაუდებელი ამოცანა. ჩვენ განვლეთ რამოდენიმე პერიოდი, როდესაც ვებრძოდით საბოტაჟს, გაფიცვებს და ჩვენს მტრებს, რომელთაც არ სურდათ კეთილსინდისიერი მუშაობა საბჭ. დაწესებულებებში და სხვა. ეხლა საბჭოთა აპარატი ჩვენი ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება. მაგრამ იმის თქმა, რომ იგი სავსებით პროლეტარული გავლენის ქვეშაა და ეთანხმება პროლეტარულ სახელმწიფოს ამოცანებს, ჯერ არ შეიძლება. რა საკითხებია დღეს დასმული ჩვენი საბჭოთა უჯრედების წინაშე?

დღეს პარტიის მთავარი ყურადღება მიმართულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ, ინდუსტრიალიზაცია შეუძლებელია გარეშე რაციონალიზაციის, ჩვენ რაციონალიზაცია უნდა გავატაროთ არა მარტო წარმოებაში, არამედ საბჭოთა და სახელმწიფოებრივ აპარატშიც. რაციონალიზაციის სწორათ გატარება მოგვცემს ხარჯების საგრძნობ შემცირებას. საბჭოთა უჯრედის გადაუდებელი ამოცანაა რაციონალიზაციის გატარება, ბრძოლა ბიუროკრატიზმის ნაშთებთან. საბჭოთა უჯრედი არ უნდა ერეოდეს უშუალოდ მმართველ აპარატის მუშაობაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი პასუხისმგებელი არ არის დაწესებულების საერთო საქმიანობისათვის. ამ ნიადაგზე ხშირად გვხვდება სიძნელენი და გაუგებრობანი, მაგრამ საკ. კ. კ. პ. (ბ) ცეკა გარკვეულ პასუხს იძლევა ამის შესახებ,—უშუალოდ დაწესებულებათა მუშაობისათვის პასუხისმგებელი არის—ნათქვამია რეზოლიუციაში: ხელმძღვანელი ამხანაგი, ან კოლეგია, ხოლო მეორე რიგში კი პასუხისმგებლობა კომუჯრედს ეკისრება.

ეს იმას ნიშნავს, რომ დაწესებულების ხელმძღვანელსა და უჯრედს შორის უნდა სწარმოებდეს შეთანხმებული მუშაობა.

ეხება რა რაციონალიზაციის საკითხს, მომხსენებელი ამბობს, რომ შესაძლებელია მან მოითხოვოს მრავალი მსხვერპლი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ უახლოვეს ხანებში ჩვენ რაციონალიზაციის საშუალებით დავაგროვებთ ათეულ მილიონებს, რითაც ხელს შევუწყობთ მძიმე ინდუსტრიის განვითარებას.

გადადის რა დაწინაურებულთა საკითხზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დაწინაურება ქვედა ფენებიდან, მუშაკის შერჩევა ამა თუ იმ თანამდებობაზე უჯრედის უმთავრესი ამოცანათაგანია. დაწინაურებულთა შორის მუშაობა დაწესებულებებში უნდა იკისროს საბჭოთა უჯრედმა

დასასრულს მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჩვენ პანიკას არ ვძლევით, ჩვენ დავამტკიცებთ, რომ საკუთარი ძალებით შეგვიძლია სვლა და პროლეტარული სახელმწიფოს შენება,—აცხადებს დასასრულ ორატორი.

ამხ. ორახელაშვილის სიტყვით დაიხურა სალამოს სხდომა.

ვ. დ.

ფართო მუშათა კონფერენციის მოწვევის შესახებ

ყველა რაიკომებს, კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, კომპარტიის უჯრედებს და ფაბქარხკომებს

იმ მიზნით, რომ მუშათა ფართო მასები გაეცნონ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობას და ჩვენი აღმშენებლობის მორიგ ამოცანებს, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტმა და საქართველოს პროფესიონალური კავშირების საბჭომ დაადგინა, რომ ივნისში ქალ. თბილისში მოწვეულ იქნას მუშათა ფართო რაიონული კონფერენციები.

საბჭოთა კავშირის გართულებულმა საერთაშორისო მდგომარეობამ ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, უნდა მიიქციოს მშრომელთა მასების ყურადღება. საერთაშორისო იმპერიალიზმი კვლავ ახდენს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის პროვოკაციის ცდას. მშრომელმა მასებმა ნათლად უნდა წარმოიდგინონ ომის საფრთხის შექმნილი პირობები, ისინი მზად უნდა იყვნენ, რომ სათანადო პასუხი გასცენ იმპერიალისტების ყოველგვარ ცდას, მიმართულს ჩვენი მშვიდობიანობის დარღვევისაკენ.

ჩვენი ამოცანაა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცება და მისი სამეურნეო ძლიერების შემდგომი გამაგრება.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, აპარატის და წარმოების რაციონალიზაცია და ფასების დაკლება ეხლა სოციალისტური აღმშენებლობის ძირითადი საკითხია. ამ ამოცანების შესრულება დამოკიდებულია თვით მშრომელთა აქტიურ მონაწილეობისაგან აღმშენებლობაში. ფასების დაკლება, სადაც თავს იყრის საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ძირითადი პრობლემები აღმშენებლობის ეხლანდელ პერიოდში მნიშვნელოვანი საკითხია ყოველი მუშისათვის.

იღებენ რა ამას მხედველობაში, თბილისის კომიტეტი და პროფსაბჭო ასეთი დღის წესრიგის მიღებას სცნობენ კონფერენციების მუშაობისათვის.

1) საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა, 2) ფასების დაკლება (შინავაჭრობის მოხსენება, მუშათა კომისიების თანამოხსენება ფასების დაკლების შემოწმების შესახებ).

კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევის ვადა წარმოებებსა და დაწესებულებებში დაწესებულია ა.-წ. 10 ივნისიდან, კონფერენციების მოწვევის ვადა 10-დან 16 ივნისამდე.

კონფერენციებზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნების მომზადება და პრაქტიკული გატარება ეკისრება კავშირების ცენტრალურ გამგეობებს და ფაბქარხკომებს კომპარტიის (ბ) უჯრედებისა და რაიკომების აქტიური მონაწილეობით.

დელეგატების არჩევნებში წარმოებებსა და დაწესებულებებში მიზიდულ უნდა იქნან ყველა მუშები და მოსამსახურეები. კონფერენციის დელეგატების შემადგენლობაში უმთავრესად შეყვანილ უნდა იქნან წარმოების მუშები.

კონფერენციების შემდეგ წარმოებებსა და დაწესებულებებში ჩატარებულ უნდა იქნას დელეგატების მოხსენებანი კონფერენციის შედეგების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი და საქართველოს პროფკავშირთა საბჭო.

თათბირი პოლიტ-ცოდნის შესახებ

31 მაისს განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა საქართველოს და მასში შემავალ ავტონომიური რესპუბლიკების პოლიტცოდნის მოძრავ სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი; რომელიც მოწვეულია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებისა და პოლიტ-განათლების სამმართველოს მიერ.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: მოხსენებები ადგილებიდან; მოხსენებები მეცადინეობის მეთოდის შესახებ, პოლიტცოდნის სკოლათა პროგრამის და საზოგადოებრივი მუშაობის შესახებ, პოლიტცოდნის სკოლების კურსდამთავრებულთა ყრილობის მოწვევის შესახებ და საორგანიზაციო საკითხები.

პირველი ორი დღის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან. მომხსენებლებმა დაახასიათეს პოლიტცოდნის სკოლათა მუშაობა და ის პირობები; რომელშიდაც მათ უხდებოდათ მუშაობა.

ლეჩხუმის სამპარტკომის მუშაობა

სამაზრო კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობა უმთავრესად მიმართული იყო იქეთკენ, რომ ღირსეულად ყოფილიყო ჩატარებული 1927 წლის საბჭოთა ხელახალი გადარჩევები.

ამ საქმეში—მართლაც შედეგიც კარგი მივიღეთ. გარდა ამისა უმთავრესი ყურადღება ექცეოდა და ექცევა ღარიბთა შორის მუშაობას. ამ მიზნით ქვემდებარე პარტ. ორგანოებს მიეცათ მთელი რიგი მითითებანი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული იქნა პარტ-აღწერა, რამაც მოგვცა ნათელი სურათი ადგილებზე პარტ-ორგანიზაციის მდგომარეობისა.

კომუჯრედების მუშაობისადმი სწორი ხელმძღვანელობის მიზნით—საორგანიზაციო კოლეგიის სხდომაზე ხდება კომუჯრედების მდივნების გამოძახება მოხსენებების გასაკეთებლად, რომლებთაც ეძლევათ მითითებანი და დირექტივები. ორგ-კოლეგიის უკანასკნელ თათბირზე მოსმენილ იქნა ორბელის თემკომის მდივნის მოხსენება და სამაზ. ინსტრუქტორის თანამოხსენება—თემში პარტორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ თემში პარტორგანიზაცია სუსტად მუშაობს და საერთოდ არ სწარმოებს გეგმიანი მუშაობა. თათბირმა გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი თემში მუშაობის გასაჯანსაღებლად.

თემკომის (ორბელი) მდივანი მივლინებულ იქნა მოკლე ვადიან კურსებზე მოსამზადებლად.

სამაზრკომის საგიტ-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. განყოფილების გამგეს უხდებოდა ადგილობრივ 9 წლედში საზოგადოებათ-მეცნიერების მასწავლებლობა, რომლის დროსაც განყოფილებაში ხანდახან ფერხდებოდა მუშაობა. ეს მდგომარეობა სულ ცოტა ხანს იყო. საანგარიშო პერიოდში განყოფილებამ ჩაატარა შემდეგი კომპანიები: 9 იანვარი (სისხლიანი კვირა), 25 თებერვალი, 8 მარტი, 12 მარტი, თვითმპყრობელობის დამხობის დღე, პარიზის კომუნა და სხვა. ამ კამპანიების ჩასატარებლად წინასწარ იწერებოდა თეზისები და ეგზავნებოდა როგორც ადგილებს, ისე მივლინებულ ამხანაგებს.

გარდა ამისა მაზრაში სწარმოებდა მუშაობა პარტ-განათლების საკითხების მოსაგვარებლადაც, აქ მუშაობდა მოძრავი პოლიტ-სკოლის 1 ხელმძღვანელი, რომელმაც იმუშავა ორბელის, ლაილაშის და ოყურეშის თემებში.

მომავლისათვის საჭიროა ცეკამ მოგვცეს 2 ხელმძღვანელი.

ადგილობრივი საშუალებებით გაიხსნა სტაციონალური სკოლები, სულ 3-დე. ამ სკოლების მუშაობა დამაკმაყოფილებელია. თვითგანვითარებითი მუშაობის გაღრმავებისათვის აგიტპროპთან მოეწყო აგიტ-პროპ-კაბინეტი, რომლის მუშაობის შედეგებზე ჯერ არაფერს ვიტყვი. მომავლისათვის საჭირო იქნება მთელი ყურადღების მიპყრობა პარტ-წევრებში წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციისაკენ.

ამ ბოლო ხანს ქალთა შორის მუშაობაც გაუმჯობესებულია. მაგრამ სამწუხაროთ კომუჯრედებში დღესაც ნაკლებ ხელმძღვანელობას უწევენ სადელეგატო პუნქტებს. საანგარიშო პერიოდში ქალთა განყოფილებამ ჩაატარა ქალთა შორის მომუშავეთა თათბირი, რომელმაც გაარკვია მუშაობის ყველა მხარეები. თვით ცაგერში—სადელეგატო პუნქტების მუშაობა დამაკმაყოფილებელია. შემდეგისათვის საჭიროა კომუჯრედების მიერ აქტიური დახმარების აღმოჩენა სადელეგატო პუნქტებისადმი.

პ. ფრუიძე.

ჩვენი უჯრედის მუშაობა

ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოს კომუჯრედი შესდგება 100 წევრისა და 40 კანდიდატისაგან. უჯრედის ზრდა ნელი ტემპით მიმდინარეობს. მაგალითად წარსული წლის 1-ლ იანვრიდან 1-ლ აგვისტომდე შემოვიდა 20 განცხადება, ხოლო მიღებულია 5 კაცი. დისციპლინა უჯრედში მტკიცეა. ძალიან იშვიათი მოვლენაა კრებებზე დაუსწრებლობა. ამ რამოდენიმე ხნის წინად მწვავედ იდგა საკითხი სპეციალისტებთან დამოკიდებულების შესახებ: ადგილი ჰქონდა არანორმალურ დამოკიდებულებას ცალკე პირებს შორის; ამჟამად კი უპარტიო სპეციალისტი გრძნობს პარტიულის დახმარებას, და მასთან უსამართლოდ მოპყრობის შემთხვევაში ის დახმარებისათვის მიმართავს პარტიულს ან მთლიანად უჯრედს.

უჯრედის მუშაობის უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს უპარტიოთა სუსტი ჩაბმა აქტიურ მუშაობაში. ერთი თვის წინად შეწყდა ყველა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობა. ეს აიხსნება, ერთის მხრივ, ადგილკომის სუსტი მუშაობით, ხოლო მეორეს მხრივ ფრაქციის უინიციატივობით.

კარგ დონეზეა დაყენებული საშეფო მუშაობა. სოფ. ტაშის-კარში უჯრედმა გახსნა სამკითხველო რომელსაც აწვდის ჟურნალ-გაზეთებს. უქმე დღეებში იქ მიემგზავრებიან გამოცდილი პარტმუშაკები, რომლებიც გლეხებთან მართავენ საუბრებს. საშეფო კომისიამ თავისი საკუთარი საშუალებებით მოაწყო გლეხების ექსკურსია სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. გლეხების თხოვნით, რკ. გზის გამგეობამ გაგზავნა ტეხნიკოსები, რომლებმაც ადგილობრივ დაამუშავეს წყალსადენის გაყვანის საკითხი. უჯრედში ვერ არის კარგად დაყენებული დატვირთვის საქმე. ზოგიერთი პარტიულები, 8 მოვალეობას ასრულებენ. ამავე დროს პარტიულების 2 მესამედი არავითარი მოვალეობით არ არის დატვირთული. ამჟამად ბიუროს აღებული აქვს კურსი პარტმოვალეობათა თანაბარ განაწილებაზე.

კარგად არის დაყენებული მუშაობა ნებაყოფლობითი საზოგადოებებში. საშეფო საზოგადოებაში ირიცხება 570 კაცი; თავდაცვის ხელის შემწყობ-ავიაქიმის საზოგადოებაში—480, რემედასში—1.100 კაცი, ბავშის მეგობართა საზოგადოებაში—584. კოოპერაციაში გაერთიანებულია პარტიულთა 66.7 პროცენტი.

უჯრედის ბიუროსთან მუშაობს ქალთა კომისია. სადელეგატო კრებებში გაერთიანებულია 400 ქალი. მათ შორის პარტიის წევრი—24. დელეგატ კრებებში მუშაობს 22 დელეგატი ქალი და 13 ქალორგანიზატორი. კრებები მუდამ გავსებულია.

უჯრედის კარგ მუშაობას ხელს უწყობს რაიკომის უშუალო ხელმძღვანელობა და სამმართველოს ხელმძღვანელი ამხანაგების ყურადღება.

ა. სტრიჟკო.

კომკავშირელთა პარტიაში გადარიცხვა [illegible]

კომკავშირელთა პარტიაში გადარიცხვას ადგილებზე თავისი მტკივნეული მხარეები აქვს. გარდა იმისა რომ პარტიაში მიღების დროს კომკავშირელს საკანდ. სტაჟის მხრივ არავითარი შეღავათი არ ეძლევა—ადგილი აქვს ზოგიერთ ყოვლად დაუშვებელ მოვლენებს.

პირველ ყოვლისა თვით კომკავშირის უჯრ. ბიუროები ვერ იჩენენ საჭირო უნარს ამ საკითხში. იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს შემთხვევა, როცა უჯრედში ირიცხება 1923—24—25 წლის კომკავშირელები—განსაკუთრებით სოფლად. ბიუროები არც კი ზრუნავენ ჰასაკ გადაცილებული ამხანაგების პარტიაში გადარიცხვაზე.

თუ კომკავშირელი სცნობს თავს მომზადებულად, მას შემოაქვს განცხადება პარტიაში გადარიცხვის შესახებ. მაგრამ ხშირად მას წინ ეღობება დაბრკოლებანი: ჯერ თვით კომკავშირის უჯრედი აჭიანურებს განცხადების განხილვას—დახასიათების მიცემას. გარდა ამისა, პარტუჯრედი ზოგჯერ არ უწევს ანგარიშს კომკავშირელის სურვილს, და საკითხის გადაწყვეტა გადააქვს დღეიდან-ხვალამდე, ამ თვიდან მეორე თვემდე და ასე შემდეგ. „ჯერ მაინც ახალგაზრდა ხარ, კომკავშირში იმუშავე, პარტიაში შესვლას მოასწრებო", ასეთია მათი პასუხი.

თუ საკითხი ქვედა საფეხურებს გასცილდა—ხშირად უკეთესი დღე არ მოელის კომკავშირელთა პარტიაში გადარიცხვის საქმეს—ზედა ინსტანციებში.

სათემო, სამაზრო და შემდეგი მიმღები კომისიები [illegible] აგვიანებენ საკითხების განხილვას; გარდა ამისა ზოგჯერ სრულიად უბრალოდ უარს ეუბნებიან კომკავშირელს პარტიაში მიღებაზე.

მოვიყვან ერთ მაგალითს:

ამ სამიოდე თვის წინად კომ. უნივერსიტეტის პარტუჯრედის სხდომაზე გადარიცხულ იქნა პარტიის კანდიდატად ძველი კომკავშირელი—კომკავშირის უჯრედის პ.-მ. მდივანი. ამხ. არის კ. კ. წევრი 1919 წლიდან, ჰყავს რეკომენდატორები არალეგალური პარტსტაჟით, ყველა ფორმალური მხარეები შესრულებულია, ამხანაგს აქვს დახასიათება, როგორც პარტიის ცალკე წევრებიდან, ისე კ. კ. ორგანიზაციებიდანაც. უჯრედმა ყველა მასალები დამტკიცებული საერთო კრების მიერ გადაუგზავნა რაიკომს. საკითხი დღემდე არ ყოფილა განხილული. უკანასკნელად ამ ამხანაგს გამოუცხადეს, რომ ის არ იქნა დამტკიცებული. მხოლოდ „არ ვიცნობთ"-ო, ამ მოტივით. ამ მდგომარეობამ უკმაყოფილება გამოიწვია. რაიკომი ინსტრუქტორის საშუალებით იკვლევს ამხანაგის ვინაობას და მის მუშაობას. ჯერ არ ვიცით, როგორი იქნება საბოლოო დასკვნა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთი შეცდომები შეუწყნარებელია. მით უმეტეს ასეთი მოვლენები ერთი და ორი არ არის, რაც იწვევს ძვ. მომუშავე ამხანაგების შეღონებას, აქტიურ კომკავშირელთა პასიობას.

„უკეთესი იყო სულ არ შევსულიყავი კომკავშირში, როგორც უპარტიო, უფრო იოლად შევიდოდი პარტიაში", ხშირად გაიგონებთ ამ ნიადაგზე საყვედურებს კომკავშირელებისაგან.

ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

კომკავშირის უჯრედებმა და განსაკუთრებით მიმღებმა კომისიებმა ბოლო უნდა მოუღონ საკითხის განხილვის გაჭიანურებას—მისი რამოდენიმე თვეობით დაგვიანებას.

ძველი მომუშავე ამხ. ამხ. აქტიური კომკავშირელები თავის დროზე უნდა იქნან პარტიაში გადარიცხული, ამას მოითხოვენ საერთო ინტერესები, ამას მოითხოვს სწორი პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირზე.

მ. ბარამია.

პარტგანათლება

ქუთაისის მაზრაში

ქუთაისისა და ქუთაისის მაზრაში პოლიტცოდნის სკოლებმა მუშაობა დაიწყეს 1926 წლის სექტემბრიდან და დაამთავრეს 1927 წლის მაისში. ქუთაისში და მის მაზრაში მუშაობდა სულ 12 მოძრავი პოლიტსკოლა და 35 სტაციონალური სკოლა. მოძრავმა პოლიტსკოლამ გამოუშვა სულ 349 კაცი. აქედან ს. კ. პ. (ბ) წევრია 93, კომკავშირელი 137 ს. კ. პ. კანდიდატი 61, უპარტიო 58, ვაჟია 285, ქალი 64, სოციალური მდგომარეობის მიხედვით: მუშა 115; გლეხი 180; მოსამსახურე 54.

სტაციონალური პოლიტსკოლები დაამთავრა 904 კაცმა; აქედან ს. კ. პ. წევრია 260; კანდიდატი 271, კომკავშირელი 364, უპარტიო 208, ვაჟი 946, ქალი 138, სოციალური მდგომარეობით: მუშა 227, გლეხი 732, მოსამსახურე 145.

ყველა პოლიტსკოლებში მეცადინეობა სწარმოებდა ცენტრიდან მიღებული პროგრამის მიხედვით. პროგრამა ორივე ტიპის სკოლებში ერთი და იგივე იყო. მსმენელთა დასწრება მეცადინეობაზე დამაკმაყოფილებელი იყო. მეცადინეობა სკოლებში სწარმოებდა კითხვა-პასუხის მიხედვით. მსმენელები უზრუნველყოფილი იყვნენ სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით.

კურსდამთავრებულთა თითქმის 80 პროცენტი უკვე ჩაბმულია საზოგადოებრივ საქმიანობაში და უფრო მეტ აქტივობას იჩენენ, ვიდრე სკოლის დამთავრებამდე.

სხვებს არ ჩამოვრჩებით

(დ. ჩხარი, შორ. მაზრა)

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩვენი ცენტრალური კომუჯრედიც ღებულობს მონაწილეობას. მაგ. გზების შეკეთება, და მის კეთილმოწყობა, საბჭოებში და სხვა საბჭოთა აპარატების წინ წაწევის, მიზნიდ რაიმე წვლილის გაღება, კომუჯრედის ყველა წევრს თავის საქმეთ მიაჩნია. კრებები ხდება სისტემატიურად, კვირაში ერთხელ. ჩვენს ღია სხდომებს უპარტიო გლეხებიც და ღარიბი ხელოსნებიც ესწრებიან. უჯრედი ნელ-ნელა იზრდება როგორც რიცხვობრივად, ისე თვისობრივადაც. თვითგანვითარების და საერთოდ პოლიტცოდნის მიღების მიზნით დანიშნული გვაქ კვირაში ერთი დღე. ამ დღეს მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად. ვეხმარებით წითელ არმიელების და ქვრივ ობლების ოჯახებს.

ამას წინად წითელ არმიელ აბულაძეს პარტიის და კომკავშირის ცენტრალურმა უჯრედებმა გაუთოხნეს ვენახი. ამან გლეხობა აღფრთოვანებაში მოიყვანა. კომკავშირის ორგანიზაციაც ძლიერია. პარტიის უჯრედებმაც, რომ ცოტა მეტი ხელმძღვანელობა გაუწიოს კომკავშირს, უკეთესი იქნება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პარტიის თემკომი უფრო მეტ უნარიანობას გამოიჩენს და ხალისით განაგრძობს მუშაობას მომავალშიაც.

დათიკო.

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
ივნისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 81—8

1927 წლის 8 მაისს ქ. თბილისში სასახლის წითელ დარბაზში მოწვეულია

ამიერ-კავკასიის ცაკის სესია

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) ფასების დაკლების კამპანიის შედეგები ამიერ-კავკასიაში—მომხსენებელი ა. კ. ს. ფ. ს. რ. ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. **ა. ბეკზადიანი** თანამომხსენებელი—ა. კ. ს. ფ. ს. რ. მ. | გ. ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. **ა. ნაზარეტიანი.**

2) ა. კ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის შედგენა.

3. საორგანიზაციო საკითხები.

ა. კ. ცაკის მდივანი ა. შავერდოვი.

ქართული ცხენოსანი ლეგიონის 6 წლის თავი

წინად და ეხლა

ქართული წითელი ჯარის ბრძოლების ისტორიაში ცხენოსან ლეგიონს უკავია საპატიო ადგილი.

ცხენოსან ლეგიონს ჩაეყარა საძირკველი იმ დროს, როდესაც საქართველოში ბლომათ იყვნენ დარჩენილნი ბნელი ელემენტები, რომელნიც ცდილობდენ ამა თუ იმ გზით მიეყენებიათ ზიანი ნორჩ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის.

ქართული წითელი ჯარის ახლად ჩამოყალიბებულ ნაწილებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან საქართველოში, უხდებოდათ ბრძოლების წარმოება იმ შინაურ მტრებთან, რომელნიც იარაღით ხელში გამოდიოდნენ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში უახლოეს მონაწილეობას იღებდა ქართული ცხენოსანი ლეგიონი.

ქართული ცხენოსანი ლეგიონი ყოველთვის მტკიცედ იდგა მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე და თავგანწირვით ებრძოდა მის მტრებს. როდესაც კი მოუწოდებდა მას საბჭოთა მთავრობა ბრძოლისაკენ, ცხენოსანი ლეგიონი სრულის შეგნებით მიდიოდა ბრძოლის ველისაკენ და პირნათლად ასრულებდა დავალებებს.

უაღრესად ცუდ პირობებში მიმდინარეობდა, პირველ ხანებში, ლეგიონის ცხოვრება და მზადება. ლეგიონს არ მოეპოებოდა შესაფერისი ბინები, ის არ იყო დაკმაყოფილებული საჭირო ნივთებით, ხელსაწყოებით, არ იყო მოგვარებული კვების საკითხი; მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ლეგიონი ყოველთვის მზად იყო საბრძოლველად და არ ყოფილა შემთხვევა, რომ წითელ არმიელებს გამოეთქვათ რაიმე უკმაყოფილება. ლეგიონის მთელი შემადგენლობა მამაცად იტანდა ყოველივე გაჭირვებას, რადგან კარგად ჰქონდა გათვალისწინებული საბჭოთა სახელმწიფოს მდგომარეობა.

ამავე პირობებში ლეგიონს უხდებოდა წითელარმიელთა მომზადება სამხედრო და პოლიტიკურ დარგში. აქაც ლეგიონი გამოდიოდა გამარჯვებული. წითელარმიელთა შორის, რომელნიც მსახურებდნენ ცხენოსან ლეგიონში, მოიპოებიან კარგად გაწვრთნილნი ცხენოსნები და სამხედრო საქმის კარგად მცოდნენი.

სხვა ქართულ ნაწილებს შორის ლეგიონს მუდამ ეჭირა საპატიო ადგილი კულტურულ და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის მხრივ.

დღიდან დაარსებისა ლეგიონმა მრავალ ასეულ ახალგაზრდას შეასწავლა წერა-კითხვა, გაათვითცნობიერა ისინი და დააყენა სწორ გზაზე.

ლეგიონს მოსდის მრავალი წერილი გრძელვადიან შვებულებაში მყოფ წითელარმიელებისაგან, სადაც ისინი სიყვარულით იგონებენ ყაზარმაში გატარებულ დროს და უთვლიან მადლობას ლეგიონის შემადგენლობას, რომელმაც მისცა საშუალება მათ სწავლებისა და ამ სწავლის გამოყენებისა ყაზარმის გარეთ.

ორი წელიწადი უხდებათ ყოფნა წითელარმიელებს ყაზარმაში და ამ ხნის განმავლობაში ისინი იძენენ მრავალ ცოდნას, რომელიც საჭიროა შემდეგ ცხოვრებაში. საქართველოს ყველა კუთხეში შეხვდებით ცხენოსანი ლეგიონის ყოფილ წითელარმიელს, რომელნიც დღეს-დღეობით მუშაობენ სხვადასხვა დაწესებულებებში და სარგებლობენ იყენებენ ყაზარმაში მიღებულ ცოდნას.

ამხ. გ. მაყაშვილი

ცხენოსან ლეგიონის მეთაური

ცხენოსან ლეგიონს აქვს გაბმული კავშირი როგორც მუშებთან, ისე გლეხებთან. მეოთხე წელიწადია, რაც ლეგიონი დაუკავშირდა საპონ-ზეთის ტრესტის მუშებს. ეს კავშირი ყოველთვის იყო და არის მეგობრული; მის საშუალებით მუშები ეცნობიან წითელი არმიის ცხოვრებას და, რაც მთავარია, სწავლობენ სამხედრო საქმეს. გლეხობაში ლეგიონს შეაქვს სამხედრო ცოდნა და აწარმოებს კულტურულ მუშაობას.

დღეს, თავის არსებობის ექვსი წლის თავზე, ლეგიონს შეუძლიან თამამად სთქვას, რომ იგი იყო და შემდეგშიაც იქნება მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მტკიცე დამცველი.

დღეს ლეგიონს უხდება მუშაობის წარმოება საუკეთესო პირობებში. იგი სავსებით დაკმაყოფილებულია ბინებით, ლეგიონს აქვს კარგი კლუბი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, პოლიტგანმანათლებელი კაბინეტი.

ლეგიონი უზრუნველყოფილია ყველა საჭირო მასალით, რომელიც აუცილებელია სწავლებისათვის. და თუ იმ დროს, როდესაც ლეგიონი განიცდიდა გაჭირვებას, იგი მაინც მიდიოდა წინ მამაცად, ეხლა ის, დაკმაყოფილებული ყოველაფრით, პირნათლად და წარმატებით შეასრულებს მშრომელთა ყოველივე დავალებებს.

შ. ხ.

ჩვენი პარტორგანიზაცია

1921 წელს ლეგიონში კომუნისტური უჯრედი არსებობდა მაგრამ, როგორც რიცხობრივათ, ისე ხარისხითაც ვერ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნილებას, რომელიც ჰქონდა მაშინ პარტორგანიზაციას.

ლეგიონი 1923 წლის აპრილში ღებულობს 1901 წელში დაბადებულ ახალ წვეულებს, აგრეთვე უფრო ადრე ე. ი. 1922 წლის დეკემბერში ღებულობს ახალ წითელ მეთაურებს და სწორეთ აქედან ლეგიონი და ლეგიონის პარტორგანიზაციაც ნორმალურად ყალიბდება. ლეგიონში დაარსებული იქნა პარტ-ბიურო, რომელიც აერთიანებდა სამ კომუჯრედს, კომუჯრედები იყო ჩამოყალიბებული 1-ლ, მე-2 და მე-3 ესკადრონებთან.

კომკავშირის მუშაობა ლეგიონში როგორც ასეთი ცალკე არ არსებობდა, ის იყო გათქვეფილი პარტიულ მუშაობაში, კომკავშირელებიც შედიოდენ ერთ უჯრედში, სადაც მდივნობდა ან პარტ-წევრი და ზოგან კი კომკავშირის წევრიც.

1924 წლის შემოდგომიდან ყველა იმ დეფექტებს, როგორიც არის კომკავშირელის მიერ ან პარტ-კანდიდატის მიერ კომუჯრედში მდივნობა, კომკავშირელების გათქვეფა პარტუჯრედში და სხვა, ბოლო მოეღო. დაიწყო რეგულიარული მუშაობა; დაყენებული იქნა თავის დონეზე უჯრედის ზრდის მოწესრიგების საქმეც. დაარსებული იქნა ცალკე კომკავშირის ჯგუფიც, რომლის ხელმძღვანელობა დაყენებული იქნა თავის დონეზე.

1925 წლის შემოდგომიდან დაარსებული იქნა, ახლად გამოყოფილ უნცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლაში კომუჯრედი და ამავე წლიდან ლეგიონის პარტ-ბიუროს მიეცა მუდმივი მომუშავე. დაიწყო სისტემატიური მუშაობა.

ჩვენი ლეგიონის პარტ-ორგანიზაციამ გაიარა ბევრი დაბრკოლებები, მაგრამ 1927 წლისათვის ის ძლიერია რიცხობრივათ. ძლიერია ხარისხითაც და წარმოადგენს ნამდვილ ჯანსაღ ორგანიზაციას, რომელიც თავის მოვალეობას წ. ჯარში პირნათლად ასრულებს. უკანასკნელად ლეგიონის პარტ-ბიურო აერთიანებს ექვს კომუჯრედს ე. ი. თითქმის ყველა ერთეულებში არსებობს კომუჯრედი, ვინაიდან წ. არმიელთა აქტივობა და კულტურული მოთხოვნილება გაიზარდა და ამას კი წ. ჯარში ხელმძღვანელობს პარტ-ბიურო და კომუჯრედები.

ამხ ა. ქაჯაია

ლეგიონის სამხედრო კომისარი

კომკავშირის ორგანიზაციაც საგრძნობლად გაიზარდა და თავისი ქსელი გაბმული აქვს ყველა ერთეულებში. კომკავშირის ორგანიზაცია ისე როგორც ლეგიონის პარტ-ორგანიზაცია ღებულობს აქტიურ მონაწილეობას ლეგიონის ცხოვრებაში. ლეგიონის პარტორგანიზაცია ყურადღებას აქცევს წითელარმიელთა მოთხოვნილებას და ღებულობს ზომებს მის დასაკმაყოფილებლად.

პარტორგანიზაციის გავლენა ჩვენს ნაწილში კარგია და მას ჰყავს დარაზმული თავის გარშემო თითქმის მთელი უპარტიოთა მასა, რისი დამამტკიცებელიც არის დიდი ლტოლვა როგორც პარტიის, ისე კომკავშირისაკენ.

კომუნისტები და კომკავშირელები შეადგენენ ლეგიონში თითქმის 50 პროც. და ლეგიონის მთელი შემადგენლობა მუშების და გლეხების შვილები. დარწმუნებული ვართ, რომ შევასრულებთ ჩვენ მოვალეობას საბჭოთა კავშირის მუშების მიმართ.

ამ გლეხებს იარაღით და წიგნით ხელში ვერ შეაშინებენ ბოლდუინები და ხიკსები, ეს ვაჟბატონები ვერას გახდებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელსაც იცავს წ.თ. ლაშქარი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ამ ლაშქარის ერთ-ერთ უჯრედს შეადგენს ქართული ცხენოსანი ლეგიონი.

ქვანია.

ქართული ცხენოსანი ლეგიონი

(მოკლე ისტორია)

1921 წელს მარტში მენშევიკების უკუქცევის დროს უკან დახეულ ცხენოსან ნაწილებიდან დაბა ქობულეთში შესდგა ორი ქართული ცხენოსანი ლეგიონი, რომელნიც იყვნენ მე18-ე ცხენოსან დივიზიის მეთაურის ამხ. ულობას განკარგულებაში.

ქობულეთის ცხენოსანი ნაწილები გადადიან თბილისში და თავსდებიან ყოფ. გვარდიელთა ყაზარმებში ორთაჭალაში. ამ ხანში ლეგიონების შემადგენლობაში ხდება ცვლილება. გამოყოფილ იქნა ერთი ლეგიონი სახელწოდებით „1-ლი საბჭოთა ქართული ცხენოსანი ლეგიონი“.

რათა ლეგიონს ჰქონოდა შესაძლებლობა წარმატებით ეწარმოებია მუშაობა წითელ არმიელთა მოსამზადებლათ, იგი დაბანაკდა ჯერ ყვარელში, შემდეგ კი თუქურმიშაში.

1922 წელს თებერვალში ლეგიონი ბრუნდება თბილისში. ამ წლის მეორე ნახევრიდან იწყება გაცხოველებული მუშაობა ლეგიონის მოწყობად. ეწყობა კლუბი, შენდება თავლები. ამავე დროს ლეგიონს ემატება ახალი მეთაურები.

1922 წელს ლეგიონი იღებს მონაწილეობას ბანდიტებთან ბრძოლაში ოზურგეთსა და სიღნაღის მაზრაში.

1923 წელს ლეგიონი ღებულობს ახალ ცხენებს და იწყება ნორმალური მეცადინეობა ცხენოსნობაში.

1924 წელს აგვისტოში ლეგიონი იღებს მონაწილეობას მენშევიკურ ავანტიურის ლიკვიდაციაში. აქ იგი პირნათლად ასრულებს მუშათა კლასის დავალებას.

1926 წელს ლეგიონის სკოლიდან გამოშვებულ იქნენ უნცროსი მეთაურები, რამაც ხელი შეუწყო წითელ არმიელების აღზრდის საქმეს. ამავე წელს ლეგიონი ღებულობს საბჭოთა კავშირის სამხ.-რევოლიუც. საბჭოსაგან საჩუქრად 200 ცხენს, რითაც იგი უზრუნველყოფილ იქნა ცხენებით.

დღეს ყველა დაბრკოლებები გადალახულია და ლეგიონი წარმოადგენს მთლიანს ერთეულს, რომელიც ყოველთვის შესძლებს გასცეს მტერს სათანადო პასუხი.

ე. ეფრემიძე.

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მეორე პლენუმი

მეორე დღე

სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. მარიამ ორახელაშვილი.

პლენუმის მეორე დღის სხდომაზე სწარმოებდა კამათი მოსმენილ მოხსენებების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო ცაკთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა კომისიის წარმომადგენელმა — ამხ. დომიევმა, ცაკადან ამხ. გუზა გოლდმა, ქალთა განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. ესაიანმა, ცაკასთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა განყოფილებიდან ამხ. ცეემა, ბორჩალოს მაზრიდან ამხ. რასულ-ზადემ, თურქთა წარმომადგენელმა ამხ. ნაჯაფოვმა („ენოფიკარის“ რედაქტორი), სამხრეთ-ოსეთიდან — ამხ. თედეევმა და სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა. კამათში მონაწილენი აღნიშნავდენ, რომ ადგილებზე ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს და შედეგებიც დამაკმაყოფილებელია. ამჟამად მცირე ეროვნებათა სკოლები თითქმის უზრუნველყოფილნი არიან სახელმძღვანელოებით. კამათის დროს საერთოდ გამოირკვა, რომ განსაკუთრებით ადგილებზე სხვადასხვა ეროვნებათა შორის მუშაობა კულტურულსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო დარგში ფრიად დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. ორატორები აგრეთვე მიუთითებდენ ზოგიერთ ნაკლულევანებებზე.

კამათის დასასრულ სიტყვით გამოვიდა ამხ. **მარიამ ორახელაშვილი,** რომელმაც უპასუხა რა კამათში მონაწილე ორატორებს, აღუთქვა მათ, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მომავალში გადადგმული იქნება სათანადო ნაბიჯები ადგილებზე ეროვნებათა შორის მუშაობაში შემჩნეულ ნაკლთა გამოსასწორებლად.

დაბოლოს ამხ. მარიამ ორახელაშვილის წინადადებით პლენუმმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ამხ. **აშოტ ხუმარიანი.**

ამის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ.

მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა შორის

(საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მე-2 პლენუმის შედეგები)

გუშინ დასრულდა საქართველოს სახ. განათლების კომისარიატთან გამართული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მე-2 პლენუმი.

პლენუმი წელს გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე შარშან და ძალიან გაცხოველებით ჩატარდა.

პლენუმის წევრები მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ეროვნულ უმცირესობათა შორის სახალხო განათლების მდგომარეობის საკითხების განხილვაში. სჩანს, რომ წელს დიდი ნაბიჯია გადადგმული ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმეში ფართო მასების ჩაბმისათვის. პლენუმზე მოსმენილი იყო მოხსენებები ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს განყოფილების, პროფესიონალურ განათლების მთავარი სამმართველოს, პოლიტგანათლების სამმართველოს მოქმედების შესახებ და აგრეთვე საინფორმაციო მოხსენება კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ეროვნულ უმცირესობათა შორის. ყველა მოხსენებები დიდი ინტერესით იყო მოსმენილი.

პლენუმმა აღნიშნა მთელი რიგი მიღწევებისა სოციალური აღზრდის, პროფტეხნიკური განათლების და პოლიტ-განათლების დარგში.

ყველა ეროვნულ უმცირესობას, მცირე რიცხოვანებსაც კი აქვთ სკოლები: ზოგიერთებს მხოლოდ პირველი საფეხურის (აისორებს, ქურთებს), დანარჩენებს მეორე საფეხურისაც. ეროვნული უმცირესობათა კულტურული მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არსებობს აგრეთვე უმაღლესი სასწავლებელი — ლენინის სახელობის პოლიტეხნიკუმი და ტეხნიკუმები: ქიმიური — რუსებისათვის, სამრეწველო-ეკონომიური — სომხებისათვის და პედაგოგიური — თათრებისათვის.

წელს გაიხსნა ხუთი სკოლა გლეხთა ახალგაზრდობისათვის, ორი სომხებისათვის, ორი თათრებისათვის და ერთი ბერძნებისათვის.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასაწევათ წარსულ წლების მიხედვით მოწყობილია გადასამზადებელი კურსები. მოგვარებული იქნება საკითხი ეროვნულ უმცირესობისსკოლებისათვის სახელმძღვანელოების მიწოდების შესახებ აზერბეიჯანიდან, სომხეთიდან, საბჭოთა რუსეთიდან და სხვ.

მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ საქართველოს ზოგიერთი ეროვნული უმცირესობანი, როგორც მაგალითად, — სომხები, რუსები საკითხი ეროვნულ უმცირესობის სკოლებისა როგორც პედაგოგიურ პერსონალით, ისე სათანადო ლიტერატურით, პლენუმმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია განსაკუთრებით ჩამორჩენილ ეროვნულ უმცირესობათა, როგორც მაგ., თათრების და აისორების მდგომარეობას.

ვინაიდან მდგომარეობა აისორების და თათრების სკოლებში არა სავსებით დამაკმაყოფილებელია, პლენუმმა დაადგინა სთხოვოს სახ. განათლების კომისარიატს, რათა უკანასკნელმა სწავლება ამ ოთხწლედებში გაადიდოს 1 წლით.

რადგან ოსების, ბერძნების და სხვების მე-2 საფეხურის სკოლებში სწავლება დროებით რუსულ ენაზე სწარმოებს და დედა-ენას ასწავლიან, როგორც საგანს, პლენუმმა საჭიროთ ჩასთვალა მოეწყოს მე-2 საფეხურის ინტერნაციონალური სკოლა პედაგოგიური განხრით, იმისათვის, რათა ახლო მომავალში მოემზადონ ამ ეროვნებათა მასწავლებლები. ამ სკოლაში მიიღებიან ქურთების და აისორების მოწაფეებიც, რომლებმაც დაამთავრეს პირველი საფეხურის სკოლები.

პლენუმმა დიდი ყურადღება მიაქცია კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას თათრებს შორის. ვინაიდან თათართა მოსახლეობა ყველაზე უფრო ჩამორჩენილია, რასაც ამტკიცებს სკოლებში მოწაფეთა რიცხვის სიმცირე (სწავლობს სასკოლო ჰასაკის ბავშვთა სულ 25 პროცენტი), და აგრეთვე მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია, პლენუმმა დაადგინა სთხოვოს სახ. განათლების კომისარიატს უზრუნველჰყოს თათრების სკოლები მასწავლებელთა საჭირო კადრით მოკლე-ვადიანი კურსების გახსნით და პედაგოგიური ტეხნიკუმისათვის მოსამზადებელი ჯგუფების დაარსებით.

რათა სკოლებში რაც შეიძლება მეტი თათარი ბავშვები, განსაკუთრებით, ქალები იქნენ გაერთიანებული, პლენუმს საჭიროთ მიაჩნია დაბალი საფეხურის სასოფლო-სამეურნეო სკოლების და პროფესიონალურ სკოლების გახსნა.

გარდა ამისა პლენუმი საჭიროთ სთვლის პედაგოგიურ ტეხნიკუმებში ადგილები განაწილებული იქნას ეროვნულ უმცირესობათა შორის მაზრების მიხედვით გლეხთა ბავშვების მიზიდვის მიზნით.

სომხეთის სახ. განათლების კომისარიატმა გამოჰყო 20 ადგილი ერევნის უმაღლეს სასწავლებელში. პლენუმმა დაადგინა სთხოვოს სომხეთის განათლების კომისარიატს, რათა აღნიშნულ უნივერსიტეტში ადგილების რიცხვი აყვანილ იქნას 50-დე.

საქალაქო და სამაზრო სკოლებისათვის სახელმძღვანელოების მიწოდების მიზნით, საჭიროა საქართველოს სახელგამთან მოეწყოს ეროვნულ უმცირესობათა ლიტერატურის განყოფილება.

აი, დაახლოვებით ის მუშაობა, რომელიც ჩაატარა პლენუმმა 3 დღის განმავლობაში. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მე-2 პლენუმის ყველა დადგენილებანი ცხოვრებაში იქნება გატარებული.

ნ. მახარაძე.

ქალთა ყოფა-ცხოვრების და შრომის გაუმჯობესება

ღონისძიებები საქ. ცაკთან არსებულ მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების და შრომის გამაუმჯობესებელ კომისიის მუშაობის გასაფართოებლად

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა ცაკთან არსებულ მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების და შრომის გამაუმჯობესებელ კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობა მოიწონა და კომისიის მუშაობის გასაღრმავებლად და გასაფართოებლად მიიღო შემდეგი ღონისძიებანი:

კომისიამ თავის მთავარ ამოცანად უნდა დაისახოს ისეთი დაწესებულებათა და წარმოებათა გახსნა, რომელნიც, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობენ ქალთა შრომის კვალიფიკაციის ამაღლებას (ქალები ჩაბმული უნდა იქნენ წარმოების ისეთ დარგებში, სადაც შესაძლებელი იქნება მათი შრომის გამოყენება, მაგალითად, ტყავეულობის, ქიმიური სალებავების, ფეხსაცმელების, ნოხების და სხვა წარმოებაში), მეორეს მხრივ კი გააუმჯობესებენ მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრებას და გაუკაფავენ მათ გზას დამოუკიდებელ ცხოვრებისაკენ (ბავშვთა ბაგეები, ბაღები, საზოგადო სამრეცხველოები, სასადილოები და სხვა).

თანხები, რომლებიც კომისიის მიერ გადაცემული იყო ბუფეტებისა და სასადილოების მოსაწყობად, თანდათანობით უნდა დაუბრუნდეს კომისიას; წინადადება უნდა მიეცეს ბუფეტებისა და სასადილოების გამგეებს გადავიდენ სამეურნეო ხარჯზე.

ვინაიდან ბუფეტები იძლევა შემოსავალს და მათი მოწყობის საქმე კარგათ არის დაყენებული, სასურველად იქნეს ცნობილი ბუფეტების ქსელის გაფართოვება. გამოყოფილი იქნეს სათანადო თანხა და გადაეცეს ბუფეტების კოლექტივებს ინვენტარის, სპეცტანისამოსის და სხვ. შესაძენად.

წინადადება მიეცეს მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიას აწარმოოს იმ ქალების ეროვნებისა და სოციალური მდგომარეობის აღრიცხვა, რომლებიც კომისიის მიერ იგზავნებიან სამუშაოზე, ან მიმართავენ უკანასკნელს დახმარებისათვის.

საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ მშრომელი ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის გამაუმჯობესებელ კომისიამ გადასცეს სათანადო თანხები მაზრებს, იქ არსებულ იმ ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა დასახმარებლად, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა კვალიფიკაციის ამაღლებას და აგრეთვე აძლევენ მათ დამოუკიდებელ ცხოვრების შესაძლებლობას.

მოწყობილი იქნეს თბილისის მაზრაში მებოსტნეობისა და მებაღეობის სასოფლო-სამეურნეო არტელები.

საქართველოს ცაკში

დახმარება გლეხის სახლს

ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ 1 ივნისს დახმარებათ მისცა ახალციხის სამაზრო გლეხის სახლს ხუთასი (500 მ.) მანეთი.

საინვალიდო სახლები

მაისში სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ ქალაქ თბილისში არსებული საინვალიდო სახლების შესანახათ დახარჯა 5.165 მანეთი და 70 კაპიკი.

გლეხის სახლში

სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით: 1926 წლის პირველ ოქტომბრიდან 1927 წლის პირველ მაისამდე თელავის სამაზრო გლეხის სახლში სხვადასხვა სოფლებიდან და თემებიდან ჩამოვიდა და ღამე გაათია 3229 გლეხმა. მათ შორის ამ დროის განმავლობაში უფასოთ გაათევინეს ღამე 368 ღარიბ გლეხს. თელავის გლეხის სახლის ბაკით ისარგებლა — 1084 გლეხმა. გლეხებისათვის პოპულიარულ და გასაგებ ენაზე სახლში მოეწყო ლექციები და საუბრები 56-ჯერ და აქვე უფასოთ აჩვენეს კინო-სურათები 1329 გლეხს. თელავის გლეხის სახლში უფასოთ აღმოუჩინეს იურიდიული რჩევა-დარიგება და დაუწერეს სხვადასხვა დაწესებულებების სახელზე განცხადებები 449 გლეხს.

სეტყვის წინააღმდეგ

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ საქართველოს მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატთან შეთანხმებით გადასდო დიდი თანხა სეტყვასთან საბრძოლველად. ამ მიზნით, გარდა ჩვეულებრივი მაშხალებისა, შეძენილია და უკვე შემოტანილია საზღვარგარეთიდან ახალი კონსტრუქციის 15 აპარატი. ე. წ. ვილიეჟუშარის მანქანები, რომლებიც ამჟამად იდგმება იმ ადგილებში, სადაც ხშირია სეტყვა.

საჭიროა მეტი სიფხიზლე

— ქუთაისის მაზრის საბჭოების უკანასკნელ ყრილობაზე, როცა კამათი გაიხსნა ქუთაისის მაზრის აღმასკომის საანგარიშო მოხსენების ირგვლივ, ერთმა დელეგატმა განაცხადა, რომ ტყიბულის რაიონში არიან ისეთი პირები, რომელთაც აქეთ ნორმაზე მეტი მიწები. ამ განცხადების გამო დარბაზში ასტყდა დიდი ხმაურობა. როდესაც მე დავინტერესდი და ამის შესახებ გამოვიკითხე საქმის ვითარება, პასუხათ მითხრეს, რომ ეს არ არის მართალი, მეც სხდომაზე ამტყდარი ხმაურობის დროს, წამოვიძახე, რომ **ეს არ იქნება მართალი მეთქი.**

დელეგატის ამ განცხადებას მაშინ სათანადო და ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ქუთაისის მაზრის აღმასკომმა და დანიშნა საგანგებო კომისია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენათ სწორი იყო ის განცხადება, რომელიც შემოიტანა ყრილობაზე ზემოაღნიშნულ საკითხზე ერთმა დელეგატმა.

რა გამოირკვა?.. გამოირკვა, რომ 19 პირს ტყიბულის რაიონში მართლა ჰქონებია **35—300 ქცევა მიწა.** აი, მაგალითად: მღვდელ მიქაუტაძეს ჰქონია 300 ქცევა, კულაკ ბოჭორიშვილს — 260 ქცევა მიწა და სხვა. რას გველაპარაკება ეს ფაქტი?!. იმას, რომ **ადგილობრივი ხელისუფლება არ არის ფხიზლათ.**

სად არის გარანტია იმისი, რომ ასეთი ამბები არ არის სხვა მაზრებში? ამიტომ საჭიროა ადგილობრივ ორგანოებმა: სოფლის საბჭოებმა, თემის აღმასკომებმა, კომუჯრედებმა, კოოპერატივებმა, გლეხკომებმა და მოწინავე ელემენტებმა სასტიკად ადევნონ ასეთ მოვლენებს თვალყური და დროზე აცნობონ ამაზე, სადაც საჭირო არის.

ვინ დაიჯერებს, რომ 1923 წელში, როცა საქართველოში **დაკვრითი წესით** ჩატარდა მიწების ჩამორთმევა, არავის შეუნიშნავს ტყიბულის რაიონში **მიქაუტაძეები და ბოჭორიშვილები,** რომელნიც ფლობდენ 300 ქცევა მიწას! ეს წარმოუდგენელი და დაუჯერებელია, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ ერთი — მაშინ ვერაფერს ამბობდენ, მეორენი გულგრილად უყურებდენ ამ საქმეს და მესამენი კიდევ მიწების განაწილების საქმეში ნათლობა, ძმა-ბიჭობას იჩენდენ.

საჭიროა ამ უკანონობის და უმგზავსობის ჩვენი ცხოვრებიდან აღმოსაფხვრელად **მეტი სიფხიზლე, მეტი აქტივობა გამოვიჩინოთ.**

კ. ხომერიკი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ჭალადიდის ჭაობების ამოშრობა

ფოთი, 1 ივნისი. ჭალადიდის ჭაობების ამოსაშრობად ამჟამად სწარმოებს მუშაობა რიონის მარჯვენა ნაპირებზე. 4 აპრილიდან — 1 ივნისამდე გათხრილია 2.675 კუბ. საჟენი მიწა. მუშაობას ხელს უშლიდა ხშირი წვიმები და მინდვრის სამუშაოები. მუშაობაში ჩაბმულია 170-დე მუშა. (ადს.)

ქიმიური მომზადება

ფოთი, 1 ივნისი. გაიხსნა სამთვიანი კურსები ქალაქის მილიციის საკომანდო შემადგენლობის და დაბალ მოსამსახურეთა მოსამზადებლად ქიმიაში. (ადს).

დოღი

ფოთი, 1 ივნისი. გაიმართა დოღი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გლეხთა ცხენებმა სენაკიდან, ზუგდიდიდან და სხვა ადგილებიდან. (ადს).

ფასების დაწევა

ქუთაისი, 1 ივნისი. გაიმართა ქუთაისის და მისი მაზრის ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცეკავშირის, საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ტრესტების კანტორების, ქუთაისის აღმასკომის სავაჭრო განყოფილების, ქალაქის და მაზრის პარტიულ უჯრედების წარმომადგენლებმა. დღის წესრიგში დასმული იყო ფასების დაწევის საკითხი. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ფასების დაკლება ქუთაისში და მაზრაში გატარებულია საშუალოთ 3.45 პროც. კრებამ მიიღო მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებათა სამეურნეო, ადმინისტრატიულ და სხვა ზედნადებ ხარჯების და აგრეთვე მისავლინებელ ხარჯების შესამცირებლად. დადგენილია პასუხისგებაში მიეცეს ის პირი, რომელიც დაარღვევს შრომის და თავდაცვის საბჭოს დირექტივებს ფასების დაკლების შესახებ. მმართველ აპარატების ხარჯების შემცირების მიზნით დადგენილია შესწავლილი იქნას მთელ რიგ სასოფლო კოოპერატივების გაერთიანების საკითხი. (ადს.)

წერილები

დამსახურებული მასწავლებელი

(ცაიშის-კახათი, ზუგდიდის მაზრა)

სოფლის მასწავლებელს მეტად მძიმე მოვალეობა აწევს კისრად. მასწავლებლის მოვალეობა სოფლად არ შემოიფარგლება მხოლოდ მასწავლებლობით, არამედ ის არის სოფლის მოსახლეობის მასწავლებელი და სოფლის საზოგადოებრივ და კულტურული საქმის უშუალო მონაწილე და ხელმძღვანელიც.

ასეთია ცაიშის-კახათის შვიდწლედის გამგე, მასწავლებელი თეიმურაზ ჰეჭინაძე. მან უკანასკნელი ოცდათუთხმეტი წელი მოახმარა ხალხში კულტურის და განათლების შემოტანას. ის სასტიკი პროტესტანტი იყო თვითმპყრობელობისა, და ხალხში აღვიძებდა რევოლიუციონურ სულს. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1905 წლის რევოლიუციაში, რის შემდეგ ის როგორც „არა სიმედო“ და „ხალხის ამჯანყებელი“ პირი, რამოდენიმე წელი დაპატიმრებული იყო და შემდეგ გადაასახლეს. იქიდან დაბრუნების შემდეგ მან კვლავ განაგრძო მასწავლებლობა ისევ ს. ცაიშის-კახათში. მას შემდეგ მას ერთი წუთითაც არ გაუგდია ხელიდან თავისი საყვარელი საქმე.

გასაბჭოების შემდეგ თეიმურაზი უფრო აქტიურად ჩაება მუშაობაში. რასაკვირველია ამაში თვით ხელისუფლებაც უწყობდა ხელს. მისი მეცადინეობით ცაიშის-კახათის ოთხწლედი გადაკეთდა შვიდწლედათ, შემდეგ შვიდწლედი კი მისივე მეცადინეობით და ხელისუფლების დახმარებით 1926 წ. გადაკეთდა სოფლის ახალგაზრდობის სკოლად.

თეიმურაზი ეხლა როგორც ახალგაზრდობის ისე მთელი მოსახლეობის საყვარელი მრჩეველი და მასწავლებელია. თეიმურაზს, როგორც საზოგადოებრივ საქმის აქტიურ მონაწილეს, გლეხობა ირჩევს თემის საბჭოში, გლეხკომში, კოოპერატივის გამგეობაში და სხვა ორგანიზაციებში, თეიმურაზიც ამართლებს გლეხობის ნდობას.

მოსახლეობამაც დააფასა ჭაღარა მასწავლებლის მოღვაწეობა. ცაიშის-კახათის საბჭოს სხდომამ, სადაც ესწრებოდა საქ. მიწათმოქმედების სახ. კომისარი ამხ. ალ. გეგეჭკორი, ამხ. ალ. გეგეჭკორის წინადადებით დაადგინა მიმდინარე წლის შემოდგომაზე დამსახურებულ მასწავლებელ თეიმურაზ ჰეჭინაძეს გადაეხადოს მას საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის ოცდათუთმეტი წლის იუბილე.

ი. შ—გია.

ჩვენი მიღწევები

(მარნის თემი, სენაკის მაზრა)

ეს თემი არ ჩამოუვარდება თავისი განვითარებით სხვა კუთხეს. აქ არსებობს ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხანა; რომელიც იმდენად გაიზარდა, რომ მას, დღეს საქართველოში პირველი ადგილი უკავია.

აქ არსებობს თვით ქარხნის მუშების მიერ აშენებული საზაფხულო კლუბი, რომელიც ამ დღეებში გაიხსნება.

ეს თემი აერთიანებს რამოდენიმე პატარა სოფელს, და რომლის მცხოვრებლები ორი ათას კომლამდის აღწევს. ამ თემის ერთმა კუთხემ — მეორე ილორმა თავისი შრომით გადააკეთა ეკლესია სკოლად, რომელშიაც დღეს რამოდენიმე ასეული მოწაფე იძენს ცოდნას. აგრეთვე ამ თემში შენდება საავადმყოფო, რომელიც ამ დღეებში მოთავდება.

შ. ვაჩეიშვილი.

გახსენით საწრეტი არხი

(სოფ. ახალი ქოლობანი, სენაკის მაზრა)

არა ერთხელ მიუმართავს ამ სოფლის მცხოვრებლებს ადგილობრივი ხელისუფლებისადმი, რომ გაჭრილიყო წყლის საწრეტი ძველი არხი, რომელიც დიდი ხანია დაკეტილია.

ზოგიერთი პიროვნების წყალობით დღეს ხვლიობით გადის დრო და 65 მოსახლის სახნავ-სათესი მიწები და ეზოები ნაწვიმარი წყლით იფარება თითო კვირაობით, რაც დიდ ზარალს აყენებს მოსახლეობას.

გზებიც საშინელ მდგომარეობაშია. ზოგიერთ გზებზე ზაფხულშიაც კი ვერ გაივლის კაცი.

თვალი.

წერილებიდან

— **მინდვრისთვის საჭიროა თხრილები.** (კარდანახი, სიღნაღის მაზ.). სოფლის ბოლოს გვაქვს საყანე მინდვრები, როდესაც წვიმა მოდის ღვარები გადადის ყანებზე და სრულიად აოხრებს. თხრილები იყო გაყვანილი ღვარებისათვის, მაგრამ ამოივსო. ადგილობრივმა საბჭომ ამ თავითვე უნდა იზრუნოს თხრილების გასაჭრელად, თუარა ნიაღვრები სრულიად გააფუჭებს ყანებს.

ვ. მათიაშვილი.

— **სუსტი კოოპერატივი.** (თერჯოლა, შორაპნის მაზ.). თერჯოლაში არის ჩხარის კოოპერატივის განყოფილება, რომელშიც საქონელი ბლომად არის. მაგრამ კოოპერატივი მიყრუებულ ადგილას არის, ხალხი მას ვერ უდგება, თუ გულდაგულ არ მივიდა მუშტარი, გამვლელ გამომვლელი მას არ უდგება. მეორე კიდევ, რაც მთავარია 2.400 კომლიდან კოოპერატივს 117 წევრი ყავს. თემსაბჭომ მიაქცია ამას ყურადღება და მთელი რიგი დადგენილებები გამოიტანა კოოპერატივის გასაჯანსაღებლად.

ვალ—ია.

— **ძველ ნაშთებს დაცვა უნდა.** (სიღნაღი). სიღნაღის მაზრაში სიძველეთა დაცვა დავალებული აქვს გურჯაანის სახალხო მოსამართლეს ილიკო მხეიძეს. მან ამ დღეებში აღმოაჩინა ერთ ფუთამდე უძველესი დროის ხელით მოჭრილი შავი ფული, რომელიც ერთ მჭედელს ეყიდა და გადადნობას უპირებდა. ფული სპილენძის ორკაპიკიანების ოდენაა, ზედ შვილდ-ისარი ახატია, აქვს ხუცური წარწერა.

არხოტიონი.

— **ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** (თერჯოლა, შორაპნის მაზ.). 19 მაისიდან თერჯოლაში სამაზრო აღმწერლები სოფლის მიერ ამორჩეულ კომისიასთან ერთად შეუდგენ სასოფლო-სამეურნეო აღწერას. გასულ წელს ბევრი შეძლებული გლეხი იქნა განთავისუფლებული და ღარიბმა კი გადაიხადა. წელს მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული, რომ შეძლებული არ გაძვრეს და გადასახადი ისევ ღარიბს და საშუალოს არ დააწვეს. დღევანდელი საგადასახადო კანონი ყურადღებას აქცევს მეკომურის სულადობას და მუშა-ხელის რაოდენობას ოჯახში.

ვალ—ია.

სოფლის ქრონიკა

— **კედლის გაზეთი.** ოზურგეთის თემის ქოხ-სამკითხველოს საბჭო შეუდგა კედლის გაზეთის გამოცემას.

— **ქუთაისის რკინისგზელთა კლუბთან დაარსდა მომღერალთა გუნდი და ფიზკულტურის წრე.**

— **თეატრი.** შუა-სურების (ოზურგეთის მაზრა) გლეხებმა ნასაყდრალზე ააგეს სახალხო თეატრი, რომლის აგება სოფელს დაუჯდა 3 ათას მანეთზე მეტი.

— **გზის შეკეთება.** გამოჩინებულის თემაღმასკომი გლეხების დახმარებით შეუდგა გზების შეკეთებას.

— **ელსადგური.** ხარაგოულში (შორ. მაზრა) შეუდგენ ელსადგურის აგებას.

— **ქოხ-სამკითხველოსათვის** სოფ. მაიდანში სამიქაოს თემაღმასკომის მიერ აგებულ იქნა ახალი ქვის შენობა.

— **საგარეჯოში** სარწყავი წყალის წესიერათ გასანაწილებლათ გლეხებმა აირჩიეს კომისია.

აბასთუმანის საკურორტო ტყეების მდგომარეობა

(სეზონის დაწყებისათვის)

გაზეთ „რაბოჩაია პრავდა“-ში მოთავსებული იყო აბასთუმანიდან კორესპონდენცია, რომელშიაც იწერებოდენ, რომ აბასთუმნის სატყეოში არაზინდოს და ზოგიერთ სხვა ნაკვეთებში გაჩენილია კანიჭამია ხოჭო, რომელიც ტყეს დიდ ზარალს აძლევსო.

საკურორტო სამმართველომ ამ კითხვის გამოსარკვევათ გაგზავნა სპეციალური კომისია, რომელშიც შევიდნენ პროფესორი ზაიცევი, როგორც ენტომოლოგი და პროფ. ქურდიანი, როგორც მეტყევე. კომისიაში მიიღეს მონაწილეობა საკურორტო ტყეების გამგემ ნანეიშვილმა, აბასთუმნის ტყის გამგემ უგრელიძემ, ტყის გამგის თანაშემწემ ლებედევმა, სანატორიუმ არაზინდოს დირექტორმა სერედამ და აბასთუმანის ტყის დარაჯებმა. კომისიამ დაათვალიერა ყველა ის ადგილები, რომელიც საეჭვო იყო კანიჭამია ხოჭოს მხრივ — ის ადგილები, რომელიც ნაჩვენები იყო კორესპონდენციაში.

ვიდრე განვიხილავთ კომისიის დასკვნას საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველს გაუზიაროთ ის ცნობები, რომელიც მიღებული იყო ტყის აგეგმამოწყობის დროს 1925-26 წლის განმავლობაში. აბასთუმნის სატყეოს მთელი არე თანახმად ამ აგეგმისა უდრის 20.699 ჰექტარს. ეს არე დანაწილებულია შემდეგნაირად: ტყეებს (კორომებს) უჭირავს 11.996 ჰექტარი, ან 58 პროც., მეჩხარს (ფრიად თხელ ტყეს) 3.833 ჰექტარი, ან 18 პროც., ნახანძრევს — 681 ჰექტარი, ან 3,5 პროც., ბელოტს (ტყის ველებს) 81 ჰექტარი — 0,5 პროც., საძოვრებს, გზებს და მდინარეებს 3.595 ჰექ. ან 17 პროც. და უვარგის ადგილებს (კლდეებს, ნამქვლევებს და სხ.) 511 ჰექ. ან 3 პროცენტი.

რომ უკეთესად წარმოსადგენი იყოს აბასთუმანის დანაწილება სხვადასხვა მიწების კატეგორიათ, შევადარებთ აბასთუმანის სატყეოს ჩვენ მეორე კურორტ ბორჯომს. ბორჯომის კორომებს თუმცა გაცილებით მეტი არე უჭირავთ, მაინც პროცენტულად კორომები შეადგენენ მთელი არის მხოლოდ 47 პროცენტს. ბორჯომის მეჩხარების პროცენტი (18 პროც.) იმდენივეა, რამდენიც აბასთუმანში. ნახანძრევი ბორჯომის რაიონში მეტია — 9 პროც., ვიდრე აბასთუმანში, საძოვრებს ბორჯომში 22 პროც. უჭირავს. აბასთუმანთან შედარებით მეტი დანარჩენ კატეგორიაში სამნიშვნელო განსხვავება არ არის.

კორომების ჯიშთა შემადგენლობა აბასთუმნის სატყეოში შემდეგნაირად ხასიათდება: ფიჭვს უჭირავს 6.729 ჰექტარი, ან 56 პროც., ბორჯომის რაიონში მხოლოდ 19 პროცენტია, ნაძვს აბასთუმანში — 4.723 ჰექტარი, ან 39 პრ., ბორჯომში — 24 პროც., სოჭს აბასთუმანში — 373 ჰექტ. ან 3 პროც., ბორჯომში — 6 პროც., ფოთლიან ჯიშებს 173 ჰექტარი, ან 2 პროც., ბორჯომის რაიონში კი 49 პროცენტი. ამნაირად აბასთუმნის სატყეო თითქმის წიწვიან ჯიშებისაგან შესდგება (98 პროც.), ბორჯომისა კი თითქმის ნახევრად წიწვიანია, ნახევრად ფოთლოვანი აბასთუმანის სატყეოში წიწვიანებთა შორის ფიჭვს პირველი ადგილი (56 პროც.) უჭირავს; ეს ჯიში სხვა ჯიშებთან შედარებით უფრო ხელს უწყობს ჰავის გაუმჯობესებას, რადგანაც ფისით უფრო მდიდარია, ამიტომ ამ ჯიშს უნდა მიეწეროს სხვა გარემოებასთან ერთად უმთავრესად ის დიდი სამკურნალო თვისებები, რომელიც აბასთუმანს აქვს, როგორც საუკეთესო კლიმატიურ კურორტს.

კორომები აბასთუმნის სატყეოში 25 წლის აღწერა-აგეგმის მიხედვით შედარებით კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ზრდის პირობები ნიადაგის მხრივ შემდეგია. მცირე ხარისხის ნიადაგებს უჭირავთ 24 პროც., საშუალოს 30 პრ., დანარჩენი კორომები (46 პროც.) იზრდება საუკეთესო ნიადაგზე, რომელიც ხელს უწყობს წიწვიან ჯიშების ზრდას. ხნოვანების მიხედვით სატყეოში სჭარბობს შემოსული კორომები (100 წლიდან 200 წლამდე), რომლის რაოდენობა 61 პროც. შეადგენს. გადაბერებულ კორომებს (200-300 წლამდე) უჭირავთ შედარებით მცირე არე — 3 პროც., შუახნის (60 წლიდგან 100 წლამდე) კორომების რაოდენობა უდრის 15 პროც., ახალგაზრდა (სამოც წლამდე) 11 პროცენტს.

ტყის მავნებლები

წიწვიანების ფართო გავრცელება აბასთუმნის სატყეოში დიდ დადებითი მხარეს შეადგენს და საუკეთესო ჰიგიენურ და კლიმატიურ პირობებს ქმნის. სამაგიეროდ დაცვის მხრივ ცეცხლისა და სხვადასხვა მავნებლებისაგან უფრო მეტ სიფრთხილეს მოითხოვს ვიდრე ფოთლიანი ტყე. ხანძართან საბრძოლველად აბასთუმნის სატყეოში უნდა იყოს მიღებული შემდეგი ღონისძიებანი: უნდა იყოს გაყვანილი ტელეფონის ქსელი ყველა უმაღლეს დამზვერავ ადგილებზე და აქ ზაფხულობით საჭიროა დარაჯების დასახლება, უნდა გაშენებული იქნას ხანძრის საწინააღმდეგო ფოთლიანი ჯიშები და, რაც ფრიად საჭიროა ტყეში ყიშლაღები უნდა მოიშალოს. ზემოთ ჩამოთვლილი ზომების გატარება საკურორტო სამმართველოს დასახული აქვს და ზოგს მათგანს უკვე ცხოვრებაში ატარებს (ზაფხულში სახანძრე დარაჯებს ამრავლებს). რაც შეეხება ყიშლაღების მოშლას, ამის შესახებ ერთი წელიწადი უკვე იქნება რაც შესაფერი დადგენილება გამოიტანა სახკომსაბჭომ. ამის ასრულება დავალებული აქვს ადგილობრივ ხელისუფლებას. ეს დადგენილება რაც შეიძლება მალე უნდა ასრულდეს, რომ ეს ჩვენი საუკეთესო კურორტი მუდამ განსაცდელში არ იქნეს.

წიწვიან ჯიშებს დიდი საფრთხე მოელის აგრეთვე კანიჭამია ხოჭოსა და ხოკოსაგან. ამ მავნებლებთან ბრძოლა შედარებით უფრო ადვილია, რადგანაც თავის დროზე მიღებულ ზომებით შესაძლებელია მათი იმდენად შემცირება, რომ სატყეო მეურნეობისათვის ეს მავნებლები საშიშარნი არ იქნებიან.

კომისიამ დაათვალიერა ის ადგილები, რომელიც ზემოხსენებული კორესპონდენციის აზრით უფრო დაზიანებული იყო კანიჭამია ხოჭოსაგან — არაზინდოს მიდამოები და მინერალურ წყლის ხევა. აღმოჩნდა, რომ **მასიურ დაზიანებას ადგილი აქ არსად არ ქონია,** ნაპოვნი იყო ხოჭოსაგან დაზიანებული ორი-სამი ხე, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო (დაჩრდილებით) დასუსტებული იყო და შემდეგ ხოჭო დაესია, რაც ბუნებრივია და არავითარ შიშს არ წარმოადგენს, რადგანაც ყველგან, ძალიან საღ ტყეშიაც, დასუსტებული ხე კანიჭამია ხოჭოს მსხვერპლი შეიქმნება ხოლმე.

ხოჭო მაშინ წარმოადგენს დიდ საფრთხეს, როცა იგე მეტის მეტად მრავლდება, ამ მოვლენას კი ადგილი აქვს ხოლმე ხანძრის შემდეგ თუ ნახანძრევი ხეები თავის დროზე ტყიდან არ იქნება გატანილი, აგრეთვე როცა ტყე ზიანდება ქარისა და თოვლისაგან, ან კიდევ ტყეკაფზედ ხეები ქერქისაგან არ იწმინდება ამ შემთხვევებში ხოჭო იმდენად მრავლდება, რომ შემდეგ ხოჭო საღ ხეზედაც გადადის. აბასთუმნის სატყეოში ამისთანა მოვლენას ადგილი არ ქონია.

რაც შეეხება სოკოს, ამ მხრივაც ტყე ნორმალურად საღი აღმოჩნდა. რასაკვირველია სოკოსაგან დაზიანებული ხეები არის, მაგრამ ესეც ჩვეულებრივი მოვლენაა ყველგან, სადაც ტყეში დაბერებული ხეები ბევრია.

ტყის სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კომისიამ მაინც საჭიროდ დაინახა პირველ რიგში სოკოსაგან დაზიანებული ხეებიან ტყის გაწმენდა.

ომის დროს ბევრი ზეხმელი, ქარნატეხი და წაქცეული ხე დაგროვილი იყო აბასთუმნის სატყეოში. ამნაირი ხეებიდან ტყე უკვე გაწმენდილია, მხოლოდ ზოგიერთ მიუდგომელ ადგილებში ნაყარი ხეები კიდევ დარჩენილია. კომისიამ ამისთანა ადგილების გაწმენდა სანიტარულ მოსაზრებით საჭიროდ დაინახა.

თუ ყველგან საქართველოში ჯერ-ჯერობით ტყის სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესება ძნელია, ეს მაინც უფრო შესაძლებელია საკურორტო ტყეებში სადაც სამეურნეო დევიზათ უნდა იყოს დასახული: **ტყეში რაც შეიძლება ნაკლები ავადმყოფი ხე და რაც შეიძლება ტყის მეტი სისაღე.** საკურორტო ტყეებში ეს თანდათან ტარდება, ამას ხელს უწყობს შედარებით საკმარისი რიცხვი სატყეო ადმინისტრაციისა, ამ ადმინისტრაციის მეტი მომზადება და მაღალი კვალიფიკაცია და აგრეთვე საკურორტო ტყეების უკეთესი ეკონომიური პირობები.

ტყის კულტურა

აბასთუმნის სატყეოში ომამდე ხელოვნურად მხოლოდ 15 ჰექტარი ტყე იყო გაშენებული. ტყის აგეგმის დროს გამოირკვა, რომ სატყეოში 1500 ჰექტარზედ მეტი ისეთი არე არის, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა გატყევდეს (ბელოტი, ნახანძრევი, ხელოვნური მეჩხარი გაუტყევებელი ტყეკაფი და სხვ.), რადგანაც უამისოდ ნიადაგი ამ არეზედ თანდათან ირეცხება და ტყის გაშენება აქ უფრო და უფრო გაძნელდება. გეგმაში გამოთქმული იყო სურვილი, რომ ეს ადგილები ამ ათი წლის განმავლობაში გატყევებულიყო.

როგორ ასრულებს სატყეო ადმინისტრაცია ამ ფრიად საპასუხისმგებლო დავალებას?

ბუნებრივ და ხელოვნურ გატყევებას ჩვენში უმთავრესად საქონლის ძოვება აფერხებს. ამიტომ ტყის გაშენება მომეტებულ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ მის შემდეგ, როცა გასატყევებელი ადგილი საქონლისაგან დაცული იქნება. ამ მიზნით აბასთუმნის სატყეოში ორპირის ხევაში მე-4 და 5 კვარტალში წელს 200 ჰექტარამდე არე იყო შემოღობილი, აქ დარგულია ფიჭვი 150 ჰექტარ არეზედ. დარგვა სწარმოებდა ჰორიზონტალურ რიგებში, ერთ-ორწლიანი ფიჭვის ნერგებით. კულტურა კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდა, გადარგულიდგან გაუხარებელი 4-5 პროც. არ აღემატება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ტყის დარგვა სწარმოებდა ძველ ნახანძრევზე, სადაც ნიადაგი ფრიად თხელია და გადარეცხილი, ეს შედეგები დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. კულტურის გასაიაფებლად სასურველია გატყევება სწარმოებდეს დათესვით და არა დარგვით. თუ გატყევება შემდეგშიაც ამ ნაბიჯით წავა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გეგმით დანიშნული გასატყევებელი ადგილი ათი წლის განმავლობაში ტყით დაიფარება. აქ წარმოებულ კულტურულ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა გვახსოვდეს, რომ ომამდის მთელ ამიერ-კავკასიაში გატყევებული იყო მხოლოდ 120 ჰექტარამდე (ბორჯომის რაიონში). გატყევება ამ მასშტაბით პირველია საქართველოში.

სატყეო საცდელი საქმე

ამ წლის აპრილში საკურორტო ტყეების გამგე ამხ. ნანეიშვილის ინიციატივით საკურორტო სამმართველოში შესდგა თათბირი სატყეო საცდელის საქმის მოწყობის შესახებ. თათბირზე დაესწრენ პროფ. ქურდიანი და მეტყევეები ზაქრაძე და მელენჩუკი. პროფ. ქურდიანმა გააკეთა მოხსენება სატყეო საცდელი საქმის საჭიროების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რთული ორგანიზმი, როგორიც არის ტყე საერთოდ და საკურორტო ტყე კერძოთ, სადაც ზრდის ბუნებრივი პირობები თითქმის ყოველ ნაბიჯზე იცვლება, უნდა შესწავლილი იყოს და ამ შესწავლაზე, როგორც საფუძველზე, უნდა დაემყაროს სამეურნეო და საკულტურო ღონისძიებანი. საფუძვლის გამონახვა — ტყის შესწავლა — ყველგან, სადაც კი სატყეო მეურნეობა განვითარებულია, საცდელი საქმის საშუალებით სწარმოებს. საცდელი საქმის საჭიროება ცხადი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ სოფლის მეურნეობამ უკვე დიდი ხანია, რაც საცდელი საქმე დაიწყო და მისი საშუალებით საკვირველი სისწრაფით ვითარდება. საცდელი საქმე სატყეო მეურნეობაში არა ნაკლებ საჭიროა, რადგანაც დაშვებული შეცდომები სატყეო მეურნეობაში მხოლოდ შემდეგში, რამდენიმე ათეული და ხან ასი წლის შემდეგ, იჩენს თავს და ამიტომ უფრო ძნელია შეცდომების გამოსწორება, ვიდრე სოფლის მეურნეობაში, სადაც შეცდომა ცხადდება ხოლმე მომეტებულ შემთხვევაში იმავე წელს. ამით აიხსნება, რომ სატყეო საცდელ საქმეს უკვე დიდი ხანია რაც ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში უდიდეს ყურადღებას აქცევენ. ომის წინაც თვით რუსეთში ეს საქმე შედარებით კარგათ იყო დაყენებული. ამიერ-კავკასიაში საცდელ საქმეს ადგილი არ ქონია, თუმცა ტყის პირობები აქ უფრო გაცილებით რთული და მრავალფეროვანია, ვიდრე რუსეთში, სადაც სწარმოებდა 12 საცდელი სატყეო. რევოლიუციის შემდეგ რუსეთში და უკრაინაში საცდელი საქმე არამც თუ განახლდა, არამედ უკვე ფრიად განვითარდა. მხოლოდ ამიერ-კავკასიაში სატყეო საცდელი საქმე აქამდის არ დაწყებულა, თუმცა წინ ათასი ფრიად მნიშვნელოვანი სატყეო ამოცანა გვიდგია.

თათბირმა მიიღო წარმოდგენილი პროგრამა. ის ნაწილობრივ უკვე ტარდება აბასთუმნის სატყეოში.

პროფ. ს. ქურდიანი.

ა.-კ. რადიოფიკაცია

ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობიდან დაბრუნდა „რადიო-პერედაჩა“-ს რწმუნებული ამიერ-კავკასიის რადიოფიკაციის დარგში ამხ. **გრიგოვი,** რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

— ამჟამად „რადიო-პერედაჩა“-მ, თანახმად ამიერ-კავკასიის ცაკთან დადებულ ხელშეკრულებისა, მოაწყო საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის სოფლებში 120 რადიო-მიმღები სადგური, რომლებიც სამსახურს გაუწევენ აუდიტორიას 50-150 კაცამდე.

პირველი ივლისისათვის დამთავრდება კიდევ 80 სადგურის დადგმა.

სამხრეთ-ოსეთში დამთავრდა 4 სადგურის დადგმა სოფლებში. დამთავრდა აგრეთვე მიმღებ აპარატების დადგმა ამიერ-კავკასიის ყველაზე უფრო მიუვალ კუთხეში — სვანეთში.

სოფლებში დადგმული 120 სადგური უკვე მუშაობენ და იღებენ რადიო-გადაცემას თბილისიდან, მოსკოვიდან, სტამბოლიდან, ბაქოდან და სხვა ქალაქებიდან.

ზოგიერთ ადგილებში რადიო-სადგურების დადგმის დროს გლეხობა, სამღვდელოების წაქეზებით, წინააღმდეგი იყო სადგურების მოწყობის. იყო შემთხვევები, როდესაც გლეხები მიყრუებული ადგილებიდან თავის წარმომადგენლებს გზავნიდენ თბილისში, რომ აქედან გაეგონათ მისი ხმა თავის მიმღებ აპარატში. ასეთი ცდების შემდეგ გლეხობა მრავლად აწყდება ქოხ-სამკითხველოებს, სადაც დადგმულია მიმღები აპარატები.

ბაქოს ნავთსადგურები

გუშინ თბილისში ჩამოვიდენ კასპიის ზღვის ნავთსადგურების სამმართველოს უფროსი ამხ. **გაგლაი,** კასპიის სანაოსნო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **ბოგუში** და ვოლგა-კასპიის არხის გასაყვან სამუშაოების სამმართველოს უფროსი ამხ. **გალანინი.**

მათი ჩამოსვლის მიზანია — ზოგიერთ იმ საკითხების გადაწყვეტა ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების სამმართველოში, რომლებიც დაკავშირებულია ნავთსადგურების მშენებლობასთან ბაქოში; ეს სამუშაოები გათვალისწინებულია ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმაში. მუშაობა დაიწყება მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრიდან.

ამას გარდა, ჩამოსულ ამხანაგების მონაწილეობით გადაწყვეტილი იქნება საკითხი ნაოსნობის მოწყობის შესახებ მდ. რიონზე და მტკვარზე (პეტროპავლოვსკის რაიონში, სალიანში და სხვა ადგილებში).

მუშათა ცხოვრება

ისევ არივ-დარიევ

„კომუნისტში“ იყო უკვე წერილი იმის შესახებ თუ რა დიდი ზარალი მოაქვს წარმოებისათვის შეუთანხმებელი ბრძანების გამოცემას.

დღეს კვლავ გვიხდება ამავე საკითხზე ლაპარაკი, რადგან ასეთი ამბავი განმეორდა რკინის გზის მთავარ სახელოსნოში. მიუხედავათ ადგილობრივი ადმინისტრაციის და ცენტრალური საწარმოო თათბირის წინააღმდეგობისა, ცხოვრებაში გატარებული იქნა ერთი ბრძანება, რომელიც ზიანის მეტს არას მოგვიტანს.

საქმე შემდეგშია: რკინის გზის მთავარ სახელოსნოში 2.800 მუშაა. მათი ყოველდღე საჭირო მასალით დაკმაყოფილების საქმე ვერ იდგა თავის დონეზე. ამ საქმის მოსაგვარებლათ საწარმოო თათბირზე დაისვა საკითხი ადგილობრივი საწყობების დაარსების შესახებ საამქროებში. ეს წინადადება იმ მიზნით იქნა შემოტანილი, რომ კვალიფიციურ მუშას საშუალება მისცემოდა საჭირო მასალა ამავე საწყობში მიეღო, ვინაიდან მთავარი საწყობი უშუალოთ ექვემდებარება სამასალო განყოფილებას. გარდა ამისა, ეს საწყობი მოთავსებულია მთავარ სახელოსნოს ბოლოში, ასე რომ იქედან მასალის მოტანაც აგვიანებდა საქმეს. ისიც სათქმელია, რომ ძალიან იშვიათად იპოვიდით საჭირო მასალას ამ საწყობში, იმიტომ, რომ ის მასალებს აწვდის ამიერ-კავკასიის მთელ ხაზს.

ამ პირობებმა აიძულა მთავარ სახელოსნოს ადმინისტრაცია დაეარსებია სამ ქროებში საწყობები. დღეს, როცა ეს საქმე რიგიანათ მოევარდა და თავის სიმაღლეზე დადგა, (ამ საწყობებს წელიწადში 12 მილიონის ბრუნვა ჰქონია, მაშინ, როდესაც მთავარ საწყობს სულ 18 მილიონის ბრუნვა აღმოაჩნდა) მზა-მზარეული საწყობები გზის უფროსის ბრძანებით სამასალო განყოფილებისათვის გადაუციათ. ამ ორი სამი წლის განმავლობაში საქმე კარგათ გვქონდა მოწყობილი. ახლა ამ ბრძანებით ისევ ხელი გვეშლება მუშაობაში. დანიშნულია რამდენიმე კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა მოახდინოს 6 მილიონი მანეთის ღირებულ მასალების გადაბარება. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ საქმეს საკმაოთ დიდი თანხა დასჭირდება. ამ ჟამად საქმე ისეა მოწყობილი, რომ თუ 8 საათამდის არ გამოიწერ, რაც გინდა, მერე ვეღარაფერს მიიღებ. 8 საათის შემდეგ კომისიას აღარ სცალია. მასალა კი ყოველთვის არის საჭირო.

ვის რათ დასჭირდა ამ საქმის არევ-დარევა?

ვ. ნ. ბ.

—:—

წყალი არ გვივარგა.

მარნის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში მუშაობენ დაახლოვებით 600-მდე მუშა-მოსამსახურე.

ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურეებს შორის 2 წელიწადია, რაც არსებობს დაუსრულებელი კონფლიქტი სასმელი წყალის უვარგისობის გამო. აქაური ყოფილი ადმინისტრაცია მუშა-მოსამსახურეებს ცუდ მდგომარეობაში აყენებდა — სასმელად მუშებს სრულებით უვარგის წყალს აწოდებდა. არ გასჭრა არც ექიმის, არც საგანგებო სანიტარულ კომისიის დადგენილებებმა და ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ აღმასკომი ჩაერია საქმეში. ხელმძღვანელი პირები გამოსცვალეს და ამჟამად ქარხანას განაგებს ენერგიული და პატიოსანი მუშაკი, მაგრამ მასაც ვერ მოუწესრიგებია ეს საკითხი. ერთი კვირის წინეთ ქარხანაში იყო საგანგებო კომისია. რომელმაც ექიმის თანადასწრებით აღნიშნა. რომ წყალი სასმელად სრულებით უვარგისია. საჭიროა ადმინისტრაციამ მიიღოს გადამჭრელი ზომები და მუშებს დასალევად სავარგისი წყალი მიაწოდოს.

კონა.

დაწინაურებული მუშა

პროფესიონალურ მუშაობის გაცხოველება დამოკიდებულია აგრეთვე ხელმძღვანელ აპარატის გამუშურებაზე. გამუშურების საქმეში რკინის გზას დიდი მიღწევები აქვს. მრავალი დაწინაურებული მუშა დღეს სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე რკინის გზაზე. დაწინაურებულთა რიცხვს ეკუთვნის ამხ. ვაჭარაძეც.



ამხ. ვაჭარაძე

—:—

ამხ. ვაჭარაძე დაიბადა 1898 წ. ქ. თბილისში, მცირე სწავლა მიიღო თბილისის სხელოსნოებში, რის შემდეგ მუშაობდა კერძო ქარხნებში. ამხ. ვაჭარაძემ რკინის გზებზე მუშაობა დაიწყო 1919 წლიდან, რონოდების ამწერის თანამდებობაზე. 1922 წ. ამხ. ვაჭარაძე მუშა-მოსამსახურეებმა აირჩიეს სადგურ ნავთლუღის ადგილკომის თავმჯდომარეთ. იგი, როგორც მუშა ყოველთვის იცავდა მუშების ინტერესებს. ამხ. ნიკო როგორც საქმის ზედმიწევნით მცოდნე კაცი ექვსჯერ იქნა არჩეული ადგილკომის თავმჯდომარეთ. უკანასკნელად კი ის აირჩიეს სად. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომის თავმჯდომარეთ. საგზაო კომიტეტმა მოახდინა აღნიშნულ ადგილკომის მუშაობის გამოკვლევა და მუშაობა სცნო ფრიად დამაკმაყოფილებლად.

რამოდენიმე ხნის წინ საგზაო კომიტეტმა ის დანიშნა საგზაო კომიტეტის ინსტრუქტორად და მიავლინა ხაშურში. ამ ჟამად ამხ. ნიკო ვაჭარაძე მუშობს ხაშურის საუბნო კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე.

მუშკორი ი. ჯ.

ჩვენი ადგილკომის ნაკლი

თბილისის საბავშვო ახალშენთან, რომელიც იმყოფება ქ. დუშეთში არსებობს განათლების კავშირის მეორე ადგილკომი, რომელიც აერთიანებს 65 თანამშრომელს. მაზრაში წევრთა რიცხვით ეს უდიდესი ადგილკომია, ის მუშაობითაც ყველა ადგილკომზე წინ სდგას, მაგრამ მასაც აქვს ნაკლი: ახალშენის მრეცხავებს უხდებათ მუშაობა სამრეცხაოში ანტი-ჰიგიენურ პირობებში. ადგილკომს დღემდე არ გადაუდგამს ნაბიჯი ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. თანამშრომლები ზედმეტ საათებს მუშაობენ, ხოლო კომპენსაციას არ იღებენ. მოისუსტებს აგრეთვე კულტმუშაობაც.

მახვილი.

რა გააკეთა ჩვენმა პროფკომმა

რკ. გზის მუშფაკში ირიცხება 300-მდე მსმენელი — 90 პროცენტი დაზგის მუშებია. მათ შორის კულტურული და პროფესიონალური მუშაობა უმთავრესად მუშფაკის კედლებში სწარმოებს. მსმენელებს ყავს არჩეული პროფკომი. პროფკომის მუშაობას წინად არ ქონდა ისეთი ფართო ხასიათი, როგორიც ეხლა. დღეს ჩვენი პროფკომის მუშაობა მაგალითის მაჩვენებელია სხვებისთვის. პროფკომმა შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე და მიიღო ათი სტიპენდია, რომელიც გაუნაწილა ღარიბებს და უნიჭიერეს სტუდენტებს. საუბნო და საგზაო კომიტეტის დახმარებით რამოდენიმე უმუშევრები იქნა გაგზავნილი სამუშაოზე. პროფკომმა სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მიიღო განსაზღვრული თანხა, რომლითაც შეიძინა მსმენელებისათვის საჭირო წიგნები, მთლიანად გადაკეთდა კლუბის დეკორაცია და სხვა. მუშფაკში დაარსებულ იქნა დრამატიული წრე, რომელმაც რამოდენიმე წარმოდგენა გამართა თვით მუშფაკში და პლეხანოვის კლუბში, არსებობს აგრეთვე მომღერალთა გუნდი, სალიტერატურო წრე და სხვა. უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში პროფკომმა ათჯერ მოაწყო ექსკურსია. პროფკომმა შუამდგომლობა აღძრა რკინის გზის ადმინისტრაციის წინაშე და დაითანხმა ის მესამე კურსის მსმენელების სამუშაოდან 1 საათით ადრე განთავისუფლებაზე და 30 კაცის 15 დღით განთავისუფლებაზე ჯამაგირის შენახვით მოსკოვ-ლენინგრადში ექსკურსიაზე წასასვლელათ. ამას წინად სტუდენტთა საერთო კრებამ მოისმინა პროფკომის მუშაობის ანგარიში და მუშაობა ფრიად დამაკმაყოფილებლად სცნო ერთხმად.

კ. ქვენობნელი.

—:—

საყურადღებო წვრილმანი

ადგილკომის თავმჯდომარეა თუ... ავჭალის წყალსადენის ადგილკომის თავმჯდომარე ბ. შათირაშვილი ძალიან უდიერად ეპყრობა მუშა-მოსამსახურეებს. მის შესახებ წერილი კედლის გაზეთშიც იყო. მაგრამ ის მაინც არ იშლის თავისას.

იქნება კავშირის გამგეობამ გაანთავისუფლოს ეს თავმჯდომარე „თავზე ჯდომისაგან“?

ხიდაბუნელი.

მილიციამ უნდა ალაგმოს. ეტაპის ქუჩაზე № 5 სცხოვრობს ვინმე გრიჭუროვის ოჯახი. ეს ოჯახი ყოველგვარ სისაძაგლეს სჩადის. ლანძღვა-გინებისა და უშვერი სიტყვებისაგან ხომ მოსვენება არა აქვთ მდგმურებს.

მილიციამ უნდა შეიხედოს ამ ეზოში. ის იქ ბევრ სისაძაგლეს გამოარკვევს.

ნაბ.

— **სამკითხველოა თუ ანგარანი?** მოძრაობის დარგის სამკითხველოში ძლიერი ხმაურობაა. მუშა-მოსამსახურეებს გაზეთის წაკითხვა უძნელდებათ ასეთ ხმაურობაში.

სამკითხველოა თუ ანგარანი?

ეკალი.

—:—

ჩვენი მიწერ-მოწერა

— **თელავი.** „დამსწრეს“. წერილი „კავშირის წევრობის ღირსი არ არის“ მოათავსეთ ადგილობრივ კედლის გაზეთში.

— **სენაკი.** „გამგეობის წევრს“. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. წვრილმანია.

— **მუშკოოპელს.** არ დაიბეჭდება.

— **ბორჯომი.** ციმაკურიძეს. თქვენი პასუხი მივიღეთ. სამედიატორო სასამართლო არ შესდგება. დაადასტუროს თქვენი წერილის შინაარსი რომელიმე ადგილობრივმა ორგანიზაციამ. მაშინ დავბეჭდავთ.

მუშები კურორტებზე

მიმდინარე საზაფხულო სეზონში ქუთაისის სამაზრო პროფბიურო დასასვენებელ სახლებში გზავნის 220 მუშასა და მოსამსახურეს. აქედან ქუთაისისა და მისი მაზრიდან გაიგზავნება 180, ხოლო ტყიბულიდან 40. სურამში იგზავნება 20 კაცი, ბორჯომში—26, წაღვერში—102 და ქობულეთში 12. კურორტებზე გაგზავნილი იქნება 115 მუშა და მოსამსახურე. აქედან ქუთაისის და მისი მაზრიდან 50, ტყიბულიდან 65, არაზინდოში გაიგზავნება 16 კაცი, აბასთუმანში 4, ქობულეთში 6, ბორჯომში 5, წაღვერში 5, კისლავოდსკში 2, ესენტუკში 1, ჟელეზნოვოდსკში 2 და წყალტუბოში 75.

ჭლექის სამდღიური

თბილისში

ხვალ 3 ივნისს თბილისში იწყება ტუბერკულიოზის სამდღიურის ჩატარება. საამისო სამზადისი ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ-საგანმანათლებლო ქვეგანყოფილების მიერ უკვე დამთავრებულია. დამზადებულია ყვავილებით მორთული კალათები, ფულის შესაკრები ყულაბები, სამდღიურის ნიშნები, და ლიტერატურა ქართულ, სომხურ; რუსულ და თურქულ ენებზე. ყულაბების დამტარებლებად მოწვეულნი არიან პიონერები, კომკავშირელები და წითელარმიელები.

სამდღიური გაგრძელდება 3 ივნისიდან 5 ივნისამდე ჩათვლით. ამ სამი დღის განმავლობაში კლუბებში საღამოობით გაიმართება ლექცია-მოხსენებები და კინო-სეანსები ტუბერკულოზის სამდღიურის მნიშვნელობის შესახებ. მოსახლეობას უფასოდ დაურიგდება დამზადებული ლიტერატურა. ქალაქს გარშემო იფრენენ ჰაეროპლანები, რომელნიც გადმოჰყრიან საავიტაციო ფურცლებს.

4 ივნისს გაიმართება ფიზკულტურის წრეების ალლუმი.

თბილისის მაზრაში

თბილისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებაში მიღებულ ცნობების თანახმად ჭლექის სამდღიური უკვე დაიწყო თბილისის მაზრის სხვადასხვა პუნქტებში. სამდღიურს ატარებს საექიმო პუნქტების პერსონალი მასწავლებლობის და ადგილობრივი ინტელიგენციის დახმარებით. მასალები სამდღიურისათვის—ლიტერატურა, პლაკატები, ნიშნები და სხვა წინასწარ დაეგზავნათ ადგილებს დიდი რაოდენობით.

კვირას სოფ. ავჭალაში გაიმართა კრება, რომელსაც დაესწრნენ წყალსადენის მუშები და გლეხები ახლო სოფლებიდან. ზემო-ავჭალის პუნქტის ექიმმა ამხ. ბაქრაძემ გააკეთა მოხსენება ტუბერკულოზის შესახებ.

დამსწრეთა შენიშვნებიდან სჩანდა, რომ მათ სურთ ჭლექის წინაამდეგ სისტემატიური ბრძოლის გაძლიერება.

შეკითხვებიდან სჩანდა, რომ სანიტარული განათლების იდეები ფართოთ იკიდებს ფეხს მასებში. გლეხებმა შეიგნეს, რომ ისეთ სენთან ბრძოლა, როგორიცაა ჭლექი, შეიძლება მხოლოდ საერთო ძალ-ღონით.

გრძელვადიანი კრედიტები

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობამ პრინციპიალურად გადასწყვიტა გაატაროს გრძელვადიანი კრედიტების მიცემა მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც ირიცხებიან კოოპერატივის წევრებათ. კრედიტების გაცემა ახლო მომავალში დაიწყება.

წინასწარ შემუშავებული გეგმით, განზრახულია კრედიტების მიცემა ყველა იმათთვის, ვინც 150 მანეთზე მეტს არ იღებს თვეში. კრედიტის ვადათ დაწესებულია 5 თვე. კრედიტის რაოდენობა — 100 მანეთი.

ნისიათ წაღება შეიძლება ყოველგვარი საქონლის — ფართლის, ჰურჭლის, საშინაო ნივთების და სხვა, გარდა სურსათ-სანოვაგისა.

კრედიტის საერთო თანხა 200.000 მანეთს გადააჭარბებს.

ბზიბის სატყეო აგარაკი

აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს განზრახული აქვს მოაწყოს ბზიბის ტყის აგარაკში მთელი რიგი საწარმოებისა, რომელნიც გაერთიანებული იქნება ერთ მძლავრ კომბინატში. ს. მ. უ. საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია ხსენებულ კომბინატის მოწყობა ისეთ მდიდარ რაიონისათვის, როგორიც არის ბზიბი. ბზიბის სატყეო აგარაკის არე უდრის 118.000 დესეტინას, სადაც ყოველწლიურად შესაძლებელია დამუშავდეს 10-12 მილიონი კუბ. ფ. მერქანი. გარდა ამისა ხსენებულ აგარაკის სივრცეზე მოიპოება ისეთი ძვირფასი საექსპორტო მასალა, როგორიცაა ბზა, რომლის არე უდრის 6.630 დესეტინას და საიდანაც შესაძლებელია ერთდროულად გატანილ იქნეს 200.000 ფუთი ბზა; ყოველწლიურად შეიძლება დამუშავდეს 25.000 ფ. ბზების ხე-ტყის ქარხნის აგება დაჯდება 700.000 მანეთი.

კონფლიქტები

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში შრომის კომისარიატის მომრიგებელმა კამერებმა განიხილა 91 შრომის კონფლიქტი. ეს კონფლიქტები შეიცავდა 257 სადაო მუხლს და ეხებოდა 9.500 დაქირავებულ მუშა-ხელს.

აქედან მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლოდ გადაწყდა სადაო მუხლების 51 პროცენტი, 35 პროცენტი გადაწყდა დამქირავებელთა სასარგებლოდ, ხოლო 14 პროცენტი დამთავრდა ორივე მხარის მორიგებით.

სადაო მუხლების მიხედვით, კონფლიქტები გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით: ხელფასის კოეფიციენტების საკითხს ეხებოდა 85 მუხლი, ადგილკომის და კულტფონდის ანარიცხებს—31 მუხლი, დათხოვნას და შვებულების კომპენსაციას—26, მიღება-დათხოვნას—20, შრომის დაცვას—34, კავშირის უფლებების დაცვას—6, ხელშეკრულების დადებას—16, მოზარდთა ჯავშანს—4, სხვადასხვა საკითხებს—35 მუხლი.

მერძევეთა ამხანაგობები

ხულოს მაზრაში მარადიდისა და მერისის თემებში მოწყობილია ორი ახალი მერძევეთა კოოპერატიული ამხანაგობა, რომელიც აერთიანებს სამასზე მეტ გლეხურ მეურნეობას. ამხანაგობათა მიერ კოოპერატიულ ორგანიზაციებთან დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალით იგი ვალდებულია მიაწოდოს მას თავისი პროდუქცია.

ქრონიკა

საქ. სამხედრო გზაზე.

გუშინ, 1 ივნისს, საქართველოს სამხედრო გზა გაიხსნა პირდაპირი მოძრაობისათვის. გზაზე ყოველდღე ივლიან ყოველგვარი ავტომანქანები თბილისიდან კავკავამდე.

თბ. ალმასკომში.

◆ **სახალხო ჯანმრთელობის დასაცავად** ჯანმრთელობის განყოფილებას დამატებით მიეცა 30.000 მანეთი.

◆ **ქალაქის ელექტროსადგურების** მუშა-მოსამსახურეებისათვის სალიკვიდაციოს მისაცემათ ალმასკომმა გადადო 30.000 მანეთი. სადგურები უქმდება ზაჰესის ამუშავების გამო.

◆ **არტელები.** ზოგიერთი აგურხანები გადაეცა შრომის არტელებს „აგურს" და „მშრომელს".

◆ **კონფერენცია.** საფინანსო კონტროლს დაევალა მოიწვიოს თემალმასკომებთან არსებულ სათემო სარევიზიო კომისიების კონფერენცია.

◆ **ტერიტორიალურ ნაწილებში** წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების მასწავლებლებისათვის უფასო ტრამვაის ბილეთების მისაცემათ გადაიდო 200 მანეთი.

◆ **გლეხის ბიუჯეტის** გამოსაკვლევად სტატისტიკურ განყოფილებას გადაეცა 81 მანეთი.

◆ **ქუჩის შეკეთება.** არაქელა ოქროშვილის სახელობის ქუჩის შესაკეთებლად გადაიდო 7.345 მანეთი.

◆ **სკოლების შეკეთება.** განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა ზაფხულის განმავლობაში საფუძვლიანათ შეაკეთოს ქალაქის სკოლები.

აგარაკები.

◆ **აგარაკების შეკეთება.** საკურორტო სამმართველოს ცნობით, დამთავრდა რესპუბლიკის ყველა აგარაკის კეთილმოწყობა და შეკეთება.

◆ **დასასვენებელ სახლებში** გუშინ გაიგზავნა მუშა-მოსამსახურეთა პირველი წყება.

◆ **რადიო-სადგურები.** სოციალზღვევის სამმართველომ წაღვერში და სურამში მოაწყო ძლიერი მიმღები რადიოსადგურები.

◆ **ქობულეთის დასასვენებელ სახლში** დაზღვეულთა პირველი წყება გაიგზავნება 1-ლ ივლისს.

სამეურნეო დაწესებულებებში.

◆ **ჭიათურის სამრეწველო** რაიონში მაღაროს მუშებისათვის ეწყობა დიდი სასადილო.

◆ **ხანძრის წინააღმდეგ.** თამბაქოს ტრესტი ყველა თამბაქოს ქარხნებთან შეუდგა ხანძრის საწინააღმდეგო ნაგებობათა მოწყობას.

◆ **ახალი სახლები.** ჭიათურის მაღაროს მუშებისათვის შენდება 5 ახალი სახლი.

◆ **ლითონის სახელოსნო.** ეკ. საბჭო შეუდგა ჭიათურაში ლითონის ქარხნის მოწყობის საქმეს.

სახალხო განათლება.

◆ **არდადეგები.** 4 ივნისს თბილისის ოთხწლედებში წყდება სწავლა.

◆ **სახ. უნივერსიტეტში** დამთავრდა ლექციების კითხვა. გამოცდები გაგრძელდება 20 ივნისამდე.

◆ **სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა** დაიხურება 15 ივნისიდან 15 აგვისტომდე.

სხვადასხვა.

◆ **ექიმთა საზოგადოებაში.** დღეს თბილისის ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებაში, საღამოს 8 საათზე, სოციალურ ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ., № 12) შესდგება საზოგადოების მორიგი ჩვეულებრივი კრება. მომხსენებელნი: **ა. უსტიაშვილი**—„ერიტროციტების დალექვის რეაქცია გინეკოლოგიურ კლინიკის მასალის მიხედვით", **პ. ნანეიშვილი** და **ე. ვართაზაროვი**—„თანდაყოლილი ათაშანგის საკითხისათვის" და **ლ. ელიაშვილი**—თამბაქოს წარმოების გავლენა ქალის სასქესო სფეროზე.

— მოხსენები წყალსადენ და სანიტტექნიკური ყრილობის შედეგების შესახებ. პარასკევს 3 ივნისს საღამოს შვიდ საათზე შრომის სასახლის დიდ დარბაზში შესდგება წყალსადენის და სანიტტექნიკურ დარგში მომუშავეთა ფართო კრება. კრებაზე მოწვეულნი არიან თბილისის ყველა ტექნიკური ძალები და ექიმები.

კრებაზე ინჟ. **დიასამიძე, ქურდიანი, ისააკოვი** და ექ. **ლ. წერეთელი** გააკეთებენ მოხსენებებს სრულიად საკავშირო მეორე საწყალსადენო და სანიტტექნიკური ყრილობის შედეგების შესახებ.

◆ **შაშკის მასიური ტურნირი.** 8 ივნისიდან საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების ფიზკულტურის ბიურო თბილისში აწყობს შაშკის მასიურ ტურნირს, რომელშიაც მონაწილეობის მიღება შეუძლია პროფკავშირების ყველა წევრებს და მათ კმაყოფაზე მყოფ პირებს.

ჩაწერა სწარმოებს ფიზკულტურის ბიუროში დილის 8 საათიდან 2-ნახევ. საათამდე და ჭადრაკის ცენტრალურ კლუბში (ყოფ. სამხედრო ტაძარი) ამხ. იცკოვიჩთან საღამოს 7—9 საათამდე.

ჩაუბარებელი დეპეშები

ტაშკენტიდან—მელუას, ბაქოდან—რაბინოვიჩს, წნორის-წყალიდან—ძამიაშვილს, მოსკოვიდან—რეტესკის, ზუგდიდიდან—ჯიქიას, დმიტროვსკიდან—კარნაცევიჩს, ანაგიდან—ფაღავას, ბათომიდან—ტერელაძეს, მოსკოვიდან—დიკს, ქულაშიდან—წულუკიძეს, როსტოვიდან—ბასტიერისას, ზუგდიდიდან—ხერგიანს, ნოვოგრადვოლარდიდან—რიტერს, სოხუმიდან—ვოლხოვსკის.

ხელოვნება

მუშა-მსახიობ ქვალიაშვილის იუბილე

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირმა ნება დართო რკინისგზელთა ხაშურის საუბნო კომიტეტს გაუმართოს მუშა-მსახიობ **ქვალიაშვილს** 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე.

იუბილეის დაესწრება კავშირის ცენტრალური გამგეობის წარმომადგენელი.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის საზაფხულო კლუბის გახსნა

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ვანო სარაჯიშვილის სახელობის საზაფხულო კლუბი (სახელმწიფო ოპერის თეატრის ბაღი) გაიხსნება შაბათს, 4 ივნისს.

სასეზონო ბილეთები საბჭოთა მუშაკების საზაფხულო კლუბში

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის დადგენილებით, კავშირის საზაფხულო კლუბის (კირკის ქ., ყოფ. „კრუჟოკი") სასეზონო ბილეთების ღირებულება გამოანგარიშებული იქნება კავშირის წევრების ფაქტიური ხელფასის მიხედვით.

კავშირის წევრები, რომლებიც თვეში იღებენ 50 მანეთამდე, სასეზონო ბილეთში გადაიხდიან 50 კაპ., ვინც იღებს 50—75 მანეთამდე—1 მანეთს, 75—100 მანეთამდე—1 მან. 50 კაპ., 100—150 მანეთამდე—2 მან. 50 კაპ., 150—210 მანეთამდე — 3 მან. 50 კაპ. და 210 მანეთზე ზევით—5 მანეთს.

სურათ „ამოკ"-ის ეპიზოდის გადაღება თბილისში

გუშინ, ღამის 11 საათიდან ოპერის თეატრთან იღებდენ სურათ „ამოკისათვის" საჭირო სცენებს. სურათის გადაღებისას თეატრთან თავი მოიყარა აურაცხელმა ხალხმა.

კინო ეპიზოდში მონაწილეობას იღებდენ თბილისელი „ინდოელები" „ევროპიელები" სმოკინგებში და სხვ. სურათის გადაღება გაგრძელდა ერთ საათამდე.

◆ **პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოში** მიმდინარე მიმდინარე გამოცდები დამთავრდა. პირველი კურსი დაასრულა 12 კაცმა, აქედან სამმა: გ. გიგაურმა, შ. ტურაბელიძემ და ვ. ჭრელაშვილმა მიიღო „პროლეტარულ დრამატიული სახელოსნო"-ს ლაბორანტ მსახიობის სახელწოდება.

◆ **„მისი უდიდებულესობის სოლისტკა".** ახლო ხანში თბილისის კინოებში აჩვენებენ ახალ სურათს—„მისი უდიდებულესობის სოლისტკა".

◆ **რიადნოვას სტუდიის საღამო.** დღეს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება რიადნოვას ვოკალური სტუდიის მოწაფეთა კონცერტი.

◆ **„ოტელლო".** შაბათს რუსთაველის თეატრში სომხურ ენაზე წარმოდგენილი იქნება „ოტელლო". ოტელლოს როლს შეასრულებს აბურ ხარაზიანი.

მატარებლების მიმოსვლა

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ თბილის-ბათომის შორის მავალი დაჩქარებული მატარებლის № 5 და 6 შემადგენლობა შემცირა ერთი ვაგონით.

ერთი კვირის შემდეგ ეს ვაგონი კვლავ ჩაითვლება მატარებელში; გარდა ამისა, ამ მატარებლებს მიებმება კიდევ ერთი პირდაპირი (მოსკოვი-ლენინგრადი-ბათომი) ვაგონი.

ბაკურიანის ხაზზე მოხსნილია 15 ივნისამდე ბორჯომ-ცემის შუა მოძრავი ერთი სახალხო მატარებელი.

15 ივნისს შემდეგ ამ ხაზზე გადიდდება მატარებელთა რიცხვი.

მუშკორთა კონფერენცია

ქუთაისში

ქუთაისში დამთავრდა მუშკორების, სამხედრო კორესპონდენტების და ახალგაზრდა კორესპონდენტების საქალაქო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 200-ზე მეტი მუშკორი, მრავალი მუშა და მოსამსახურე. კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები მუშკორთა ამოცანების, პროკურატურასა და მუშკორების, რედაქციებისა და მუშკორთა კავშირის შესახებ. გაცხოველებული კამათის შემდეგ კონფერენციამ აირჩია მუშკორთა ბიურო ხუთი კაცისაგან.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ მოხდა კედლის გაზეთების კონკურსი, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო 13 წარმოებამ და ორგანიზაციამ. პირველი პრემია ოცი მანეთის რაოდენობით მიესაჯა რკინისგზელ მუშკორთა ორგანო „რკინისგზელს". (დაწვრილებითი ანგარიში—შემდეგ).

მასწავლებ. გადამზადება

თბილისის ალმასკომის განათლების განყოფილების დადგენილების თანახმად მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ თბილისში დაიწყებს მუშაობას სპეციალური გადასამზადებელი კურსები თბილისის მაზრის სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებლად. კურსებზე ლექტორებად მოწვეულნი არიან თბილისის ცნობილი პედაგოგები. ამავე დროს მიმდინარე ზაფხულის თვეებში იწარმოებს მუშაობა ქალაქის სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებლად. ქალაქის სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებლად გამოყოფილია სპეციალური კაბინეტები, რომელნიც იმუშავებენ მთელი ზაფხულის განმავლობაში.

შემთხვევები

ხულიგანის დაპატიმრება.

მილიციამ ხულიგნობისათვის დააპატიმრა **პეტრე სიმონის ძე ბულანოვი.**

მხეცები.

69 წლის **მიხეილ ლაშხი** (ეორესის ქ., № 4) დაუახლოვდა მცირეწლოვან **თამარა, ტანია** და **ლიზა** კ—ს. დაჰყავდა ისინი კინოში, მიჰქონდა მათთვის საჩუქრად ტკბილეულობა და ელერსებოდა მათ. ზოგჯერ საღამოობით ბავშვები მიჰყავდა თავის ბინაზე და რყვნიდა. ბავშვების გარყვნას ეწეოდა აგრეთვე **ვლადიმერ ჯინჯარაძე** (23 წლისა).

გუშინ მეექვსე უბნის სახალხო გამომძიებლის ამხ. **ი. ადამიძის** განკარგულებით ლაშხი და ჯინჯარაძე დაპატიმრებული იქნენ.

ნაქურდალი ნივთები.

დაპატიმრებულია ქურდი-რეციდივისტი ავეტის ტერ-მელქისეტოვი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები: ვერცხლის საათი, ოქროს ბეჭედი, ოქროს საყურეები, ქარვა და სხვ. პატრონი უნდა გამოცხადდეს სისხლის სამართლის მილიციაში, ოთახი № 11, **ლ. ნადარეიშვილთან.**

◆ **ღიათ დარჩენილ** მარიამ შამაევის (სამხედრო ქ., № 13) ბინიდან მასთან მცხოვრებმა მარიამ ბალადნოვამ მოიპარა სხვადასხვა ნივთები და მიიმალა.

◆ **მორგებულ გასაღების** საშუალებით 31 მაისს რტიშჩევის ქ., № 17, ალექსანდრე კამოევის ბინიდან მოიპარეს ოქროს საათი და სხვადასხვა ნივთები.

◆ **გატეხილ ფანჯრიდან** გადაპარვის საშუალებით სერგო რუხაძეს ბინიდან მოიპარეს 130 მანეთის ნივთები.

◆ **რიყის ქუჩაზე** მოტოციკლეტმა გაიტანა მოქ. ალექსანდრე მახნიაშვილი. მოტოციკლეტის მმართველი გრიგოლ საკიანცი დააპატიმრეს.

◆ **ჯიბგირობა.** ტურგენევის და ნიკოლოზის ქუჩების კუთხეში აირაპეტ ტერ-პოლოსიანს ჯიბიდან ამოაცალეს 83 მანეთი.

◆ **თავის დაჭრა.** პლეხანოვის ქუჩაზე 31 მაისს რევოლვერით მძიმეთ დაიჭრა თავი ვასილ ვოლოსჩუკმა.

◆ **ცხენის ქურდი.** თიანეთის რაიონში დააპატიმრეს ალექსი ლომიძე, რომელმაც გიორგი ბუხრაშვილს მოჰპარა ცხენი.

◆ **ცენტრალურ ბაზარში** ოვაკიმ სარაბიანცისათვის შვიდი ცალი შარვლის მოპარვისათვის შეიპყრეს შალვა ბაროაშვილი.

◆ **ტრამვაიში** კირკასთან ალექსი ბულანოვისათვის ჯიბიდან 150 მან. ამოცლისათვის დააპატიმრეს ვალამ სტეპანიანცი.

◆ **ქურდობა.** 31 მაისს პლეხანოვის პრ., № 14, გაჰქურდეს შალვა სირაძის ბინა.

სასამართლო

ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა პროცესი.

მხარეთა კამათი.

გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ბრალდებულთა დამცველების სიტყვა.

ბაქრაძის დამცველები ა. ტატიშვილი და გუბელაძე დაეთანხმნენ სახელმწიფო ბრალმდებელს იმაში, რომ **ქავთარაძე, ბაქრაძე და გრიშაშვილი** წინასწარ შემუშავებული გეგმით მუშაობდენ სახაზინო ფულების მისათვისებლად. დამცველთ ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ბრალდებული ბაქრაძე ამ საქმეში არ იყო აქტიური მონაწილე. დამცველებმა ბრალდებულ ბაქრაძის მიმართ სასამართლოს სთხოვეს შეღავათიანი სასჯელის შეფარდება.

ბრალდებულ ქავთარაძის დამცველმა **პ. ქავთარაძემ** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ქავთარაძეს არ გაუფლანგავს სახაზინო ქონება და არც არავითარი კავშირი ჰქონია ბრალდებულ ბაქრაძესთან და გრიშაშვილთან. მას მხოლოდ ავანსები გაჰქონდა უკანონოდ.

დამცველმა შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე, რათა ქავთარაძეს შეეფარდოს მცირედი სასჯელი.

ბრალდებულ მელიავას დამცველმა **შ. დადიანმა** აღნიშნა, რომ მელიავამ სხვადასხვა პირებზე გასცა ფულები უხელწერილოდ, რომელიც შემდეგში აღარ დაუბრუნეს. მელიავას აკლია მხოლოდ 3.500 მანეთის საბუთები. შემდეგ ილაპარაკა დამცველმა **მ. ტატიშვილმა.**

ხულიგნობისათვის.

სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში ამხ. **ი. გაბუნიას** თავმჯდომარეობით გაირჩა **ვასილ ესტატეს ძე ლამბაშიძის, გიორგი სოლომონის ძე ღოღობერიძის** და **მიხეილ ივანეს ძე ოსკანოვის** საქმე. სამთავეს ბრალდებოდა ხულიგნობა.

სასამართლომ ლამბაშიძე დამნაშავედ სცნო საზოგადოებრივ წესრიგის დარღვევაში. რისთვისაც მიუსაჯა მას ორი თვით გამსახლში დაპატიმრება.

ღოღობერიძე და ოსკანოვი სასამართლომ გაამართლა.

ალ. ხუციშვილის საქმე.

ა. წ. 22 მაისს ალექ. ივანეს ძე ხუციშვილი ქეიფობდა სასადილოში ამხანაგებთან ერთად. როდესაც მოქეიფენი დაითვრენ, სასადილოს გამგემ აღარ მისცა მათ ღვინო. ამან გააბრაზა ხუციშვილი და მან ბოთლები დაუშინა სასადილოს თანამშრომლებს.

ბოლოს ის გამოვიდა პლეხანოვის პროსპექტზე, მივიდა პაპიროსის გამყიდავთან და უბრძანა პაპიროსის მორთმევა.

ხუციშვილმა გახსნა პაპიროსი, გააბოლა, შემდეგ კი ჰკრა წიხლი პაპიროსის ყუთს და ყირამალა გადააბრუნა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. გაჩნდა მილიცია.

ხუციშვილი დაერია მოქალაქეებს.

რის ვაი-ვაგლახით მიიყვანეს ის კომისარიატში.

კომისარიატში ხუციშვილი ლანძღვა-გინებით გაუმასპინძლდა თანამშრომლებს.

სასამართლომ ბრალდებულ ხუციშვილს მიუსაჯა 7 თვით დაპატიმრება.

მკვლელობა ანდრეევის ქუჩაზე.

ეს ამბავი მოხდა ამა წლის 29 მაისს. მესამე სამილიციო კომისარიატის უფროსი თანამშრომელი **სერგო სილაკაძე** დაპატიჟებული იყო ლხინში მეგობრისას (ანდრ. ქ., № 113).

დილის 5 საათზე სტუმრები დაიშალენ. რკინისგზის საავადმყოფოსთან სილაკაძემ ორჯერ რევოლვერი ესროლა მოქ. **გოგისვანიძეს.** ეს უკანასკნელი გარბოდა და შველას ითხოვდა.

გოგისვანიძის ყვირილზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი.

სილაკაძემ მესამეჯერ ესროლა გოგისვანიძეს, მაგრამ ააცილა.

მესამედ გასროლილი ტყვია მოხვდა რკინისგზის საავადმყოფოს სანიტარს მოქ. **ზურაბ მოსიკოვს.** მიღებული ჭრილობისაგან ის მეორე დღესვე გარდაიცვალა. სილაკაძე დააპატიმრეს. მან განაცხადა, რომ მკვლელობა ჩაიდინა თავდაცვის მიზნით: გოგისვანიძე ქეიფობის დროს თითქოს სიკვდილით დაემუქრა მას და სახლიდან გამოსვლის შემდეგ—ანდრეევის ქუჩაზე—მან (გოგისვანიძემ) განიზრახა მისი მოკვლა.

გოგისვანიძე გაჩხრეკილ იქნა შემთხვევის დღეს და გამოირკვა, რომ იარაღი მას არა ჰქონდა.

სახალხო გამომძიებელმა **ი. ადამიძემ** მოაწყო ამ საქმის გამოძიება. მისი განცხადებით, მთელ რიგ მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ სილაკაძემ ბოროტმოქმედება ჩაიდინა წინასწარ განზრახვით.

კვლევა-ძიება სწარმოებს.

2.864 მანეთის გაფლანგვა.

დასრულდა წინასწარი გამოძიება სადგურ ნავთლუღის ყოფილ მოლარის ლევან რევიას საქმეზე.

რევია სისტემატიურად ეწეოდა სახაზინო ფულების მითვისებას და ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად ადგენდა ყალბ საბუთებს. ამ გზით მან მიითვისა 2.864 მანეთი.

რევია დაპატიმრებულია.

სიფრთხილეს თავი არ სტკივა

არის შემთხვევები, როდესაც ოჯახებში მოსამსახურენი იპარავენ ნივთებს და ფულებს. გადაქცეულნი პროფესიონალურ ქურდებათ, ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ქალები, რომელნიც არ ატარებენ თავიანთ ნამდვილ გვარს და სახელს, დადიან სხვადასხვა ქალაქებში, ათასნაირ ხრიკებით. საბუთების უქონლად ან და ყალბი საბუთებით, ახერხებენ ამა თუ იმ ოჯახში მოსამსახურეების სახით მოწყობას. ასეთი პირები, როგორც ირკვევა, ეწყობიან შემდეგნაირად: ისინი ეცნობიან თბილისში „ღვთის მოყვარულ" მოხუც ქალებს, რომელნიც მათ აძლევენ რეკომენდაციებს ოჯახებში, რისთვისაც ისინი ღებულობენ ქრთამს, ვითომდა მოსამსახურეებისაგან გასამრჯელოს. ზოგიერთს მათგანს კი, როგორც ვსთქვით, აქვთ ყალბი, კეთილ-სინდისიერების დამადასტურებელი რეკომენდაციები.

ზემოხსენებულის გამო, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სასურველია მოქალაქეებმა ამა თუ იმ მოსამსახურის აყვანის დროს გამოარკვიონ მათი ვინაობა, ჩამოართვან მათ სათანადო პირადობის მოწმობა; გამორკვეულ უნდა იქნას, ჩაწერილია თუ არა ის სამისამართო მაგიდაში, და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არის თუ არა ის კავშირის წევრი და სხ.

გარდა ამისა, სასურველია ოჯახების პატრონებმა იქონიონ ამა თუ იმ საეჭვო მოსამსახურის ფოტო-სურათი.

ს. ს. მილიციის უფროსი **გ. თოფურია.**

ბიბლიოგრაფია

ა. ნ. ინწკირველი

ანგარიშმცოდნეობის საფუძვლები

კომერციული განათლების დამხმარე კომიტეტის გამოცემა, 1927 წ.

ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის საღ ნიადაგზე დაყენებისათვის ერთ აუცილებელ პირობად უნდა იქნეს მიჩნეული საანგარიშო ნაწილის მიზანშეწონილად მოწყობა. ამ საკითხის მოგვარებას თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს სახელმწიფოებრივი ორგანოები.

მისი სასურველად გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო დარგში მომუშავე საკმაო და საფუძვლიანი თეორეტიულ-პრაქტიკული ცოდნით იქნება აღჭურვილი.

ამ მიზნით არის შემოღებული კომერციული საგნების სწავლება უნივერსიტეტსა და სხვა საშუალო ტიპის სასწავლებლებში, მაგრამ აღნიშნულ საგნების საფუძვლიანად შესწავლა ჩვენს სკოლებში ბრკოლდება სათანადო სახელმძღვანელოების უქონლობით. ასეთ პირობებში არ შეიძლება განსაკუთრებული კმაყოფილებით არ მივეგებოთ აღნიშნულ სიძნელეთა დასაძლევად ყოველ გადადგმულ ნაბიჯს.

ა. ნ. ინწკირველის შრომა—„**ანგარიშმცოდნეობის საფუძვლები**" ჩვენს მეტად ღარიბ სპეციალურ ლიტერატურაში დიდ სამსახურს გაუწევს, როგორც სახელმძღვანელო, ანგარიშწარმოების შესწავლის მსურველთ.

სახელმძღვანელოში მარტივი, გასაგები ენით და საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ანგარიშმცოდნეობის ძირითადი საფუძვლები. მასალა თანდათანობით არის დალაგებული შესწავლის სიადვილისათვის და თანვე ეს შეთანხმებულია სკოლებში შემოღებულ სასწავლო პროგრამასთან.

ავტორი იწყებს ინვენტარის და დაწყებითი ბალანსის განხილვით, უჩვენებს მისი ცალკე ანგარიშად დაშლის საჭიროებას სამეურნეო ოპერაციების სანუსხავად და გადადის ცალკე ანგარიშების განხილვაზე. წიგნში საკმაოდ დაწვრილებით არის განხილული აქტივ-პასიური და სშედეგო ანგარიშების ბუნება და მისგან გამომდინარე დასკვნები. ყოველგვარი ანგარიშების და მუშაობის პროცესში წარმოშობილ სხვადასხვა შემთხვევების გარკვევის შემდეგ, ავტორი გადადის წლიური ანგარიშის შედგენის წესებზე. თვითეულ თავს დართული აქვს გასამეორებელი კითხვები, რაც საგნის შესწავლას ძლიერ აადვილებს.

საანგარიშო მეცნიერებათა დარგში ქართულ ენაზე ეს პირველი შრომაა, რომელიც თამამად შეიძლება შემოღებულ იქნეს, როგორც სახელმძღვანელო სკოლებისათვის, სადაც კი აღნიშნული დარგის საგნები ისწავლება.

წიგნი არ არის ინტერესმოკლებული სხვადასხვა დაწესებულებაში მომუშავე მოანგარიშეებისათვისაც თეორიული ცოდნის გაღრმავების და კვალიფიკაციის აწევის საქმეში მას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია.

წიგნში ძლიერ ცოტაა სავარჯიშო მაგალითები, რაიც საჭირო იყო, მით უმეტეს, ბუღალტერიაში, რომელიც ყველაზე პრაქტიკული მეცნიერებაა.

გ—ნი.

«СОВЕТСКОЕ ГОСУДАРСТВЕННОЕ ПРАВО». ПРОФ. АЛ. МАЛИЦКИЙ

307 გვ. ფასი 2 მანეთი

პროფ. ალ. მალიცკის შრომა წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფო სამართლის კურსს, წაკითხულს ხარკოვის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის სამართლის მეტყველების ფაკულტეტზე. ავტორი ძირითად მომენტებში სდგას თავის წიგნის „საბჭოთა კონსტიტუციის" საფუძვლებზე. მაგრამ აღნიშნულ შრომას ახასიათებს ერთი მხრით ბურჟუაზიული იურისპრუდენციის ფართო კრიტიკული ანალიზი მარქსისტული თვალსაზრისით, მეორე მხრით საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიული დასაბუთება ამ სახელმწიფოს სტრუქტურის გარკვევასთან ერთად.

ავტორს მთელ წიგნში მეტად საინტერესოდ აქვს გარჩეული დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის პრინციპები, პიროვნების თავისუფლებისა და ხალხის სუვერენიტეტის იდეა. ავტორი პიროვნების თავისუფლების ინდივიდუალისტურ გაგებას უკავშირებს საქონლის მეურნეობის წარმოშობას, რომელიც მოითხოვდა პიროვნების უფლებრივ განთავისუფლებას მის ქონებრივ მონობაში გადასასვლელად. ხალხის სუვერენიტეტის ცნება ჩნდება ჯერ კიდევ საშუალო საუკუნოებში, როდესაც სახელმწიფოში მეფის უფლებას ებრძვის სასულიერო ხელისუფლება და ფეოდალები და ყველა მებრძოლი ჯგუფები, მქონე გარკვეული კლასობრივი ინტერესის, დაინტერესებულნი ზედმეტი ღირებულების მითვისებით და ხალხის ხარჯზე ბატონობით, გამოდიან „ხალხის სუვერენიტეტის იდეით". შემდეგ ამავე იდეას ბურჟუაზია იყენებს ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ და სამართლის მეტყველების **ბუნებრივი სკოლა** თეორიულ გამართლებას აძლევს სუვერენიტეტის იდეას, საიდანაც საფუძველს იღებს საყოველთაო არჩევნების უფლება, როგორც დემოკრატიზმის ძირითადი პრინციპი. ბურჟუაზიული იურისპრუდენციაც „თეორიულად" „ასაბუთებს" იმ გარემოებას, რომ მოქალაქეს დაბადების ფაქტით არ ეძლევა პოლიტიკური უფლებები, ის არ შეადგენს მოქალაქის „ბუნებრივ უფლებას", არამედ სახელმწიფო თვით ანიჭებს მას ასეთი საჯარო უფლებას. აქედან სუვერენიტეტი ხალხის ჰქრება.

ამრიგად დემოკრატიზმის და პარლამენტარიზმის ჩარჩოებში ხალხის სუვერენიტეტის იდეა დეკორატიულ ლოზუნგის ხასიათს ატარებს. ავტორი არჩევს საბჭოთა სისტემის ძირითად პრინციპებს, ჩერდება როგორც მის კლასობრივ ბუნებაზე, ისე ხელისუფლების დანაწილების, არჩევნების სისტემის, დეპუტატთა და ამომრჩეველთა დამოკიდებულების (ნაკაზი, პასუხისმგებლობა დეპუტატის, მისი გამოწვევის შესაძლებლობა). საკითხზედაც დასასრულ ავტორი არკვევს საბჭოთა სახელმწ. ორგანო-[illegible] წყობას.

აღნიშნული წიგნი, საინტერესო ცნობებსა და მასალას იძლევა, როგორც ბურჟუაზიული იურისპრუდენციის კრიტიკულად შესწავლის ისე საბჭოთა სახელმწიფო სამართლის გაცნობისათვის. დღემდე არსებულ შრომათა შორის აღნიშნულ საკითხების შესახებ პროფ. მალიცკის შრომა უეჭველად პირველ რიგში უნდა იქნეს დაყენებული.—ეს შრომა ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელოთ არის აღიარებული სახელმწიფო და კომუნისტურ უნივერსიტეტში საბჭოთა სახელმწიფოს შესწავლისათვის. სასურველია ის იქნეს გამოცემული ქართულად.

ხ. ა.

მეფუტკრეობის კურსები

გორის მაზრაში მეფუტკრეობა გავრცელებულია უმთავრესად ბორჯომის ხეობაში, მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში და სამხრეთ-ოსეთში. უკანასკნელ დრომდე, იშვიათ გამონაკლისს გარდა, მოსახლეობა მეფუტკრეობას მისდევს პრიმიტიული წესით.

ამ ერთი კვირის წინად გორის სამაზრო ალმასკომის სადგილ-მამულო განყოფილებამ მეფუტკრეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოაწყო მოკლევადიანი კურსები, რომელზედაც მაზრის სხვადასხვა რაიონებიდან მოწვეული არიან მსმენელები—სულ 30 კაცამდე; მეცადინეობა კურსებზე დამთავრდება ივნისის პირველ რიცხვებში. ლექციების საკითხად მოწვეული არიან სპეციალისტები. მსმენელებთან სწარმოებს აგრეთვე პრაქტიკული მუშაობა მეფუტკრეობის დარგში.

მეთამბაქოობა

ნედლი თამბაქოს დამუშავება ახალი წესით.

მეთამბაქოობის დარგის სპეციალისტმა ლაკერბეიმ, რომელიც ამჟამად აფხაზეთის თამბაქოს საცდელ პლანტაციებში მუშაობს, გამოიგონა თამბაქოს ხელოვნური ფერმენტაციის ახალი წესი. უკანასკნელ ხანებში სწარმოებდა საცდელი მუშაობა იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ნაყოფს იძლევა ახალი გამოგონება. გამოირკვა, რომ ფერმენტაციის ახალი წესი თამბაქოს დამუშავების ვადას, რომელიც თამბაქოს ნატურალურ გახმობის დროს ერთი წელიწადით განისაზღვრება,—ამოკლებს ორ კვირამდე; თამბაქო გამოდის საუკეთესო ხარისხის და იძლევა დიდ ეკონომიას თამბაქოს მრეწველობაში. მაგ., თვითეული ფუთი ნედლი თამბაქოს დამუშავება ახალი წესით ჯდება 50 კაპ., ნატურალური წესით კი—მანეთნახევარი. ახალი წესით ფერმენტაცია გაუკეთდა უკვე 2000 ფუთ თამბაქოს.

მეცნიერება და ტექნიკა

მარსის ატმოსფერა

პლანეტის ატმოსფერის შესახებ ნაწილობრივ შეიძლება მსჯელობა, მის მიერ სინათლის უკუტყორცნის უნარის ანუ ე. წ. პლანეტის **ალბედოს** მიხედვით.

მარსის ხილული და ფოტოგრაფიული ალბედოს შესწავლის მიხედვით ამერიკელი ასტრონომი **მენზელი** იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რაოდენობა იმ ჰაერის, რომელიც მარსის განსაზღვრულ ერთეულზე მოდის, არ აღემატება დედამიწის ამავე სიდიდის ერთეულზე არსებული ჰაერის ერთ მეოთხედს.

თუ ეს ასეა, მარსის მიმზიდველობის ძალის პირობებში (მიმზიდველობის ძალა მარსზე დედამიწის მიმზიდველობის სამ. მერვედს უდრის), ატმოსფერის წოლვა იქ არ უნდა აღემატებოდეს სინდიყის მილის 50 მილიმეტრს რაც დედამიწის ატმოსფერაში შეესაბამება წოლვის სიძლიერეს 18 კილომეტრის სიმაღლეზე.

ქიმიური შემადგენლობის მხრივ მარსის ატმოსფერის ყოველმხრივ შესწავლას აწარმოებდენ მეცნიერები **ადამსი და სენ-ჯონი** მოუნტ-ვილსონის (ამერიკა) ობსერვატორიაში. ისინი მივიდენ იმ დასკვნამდე რომ წყლის ორთქლის რაოდენობა მარსის ატმოსფერაში არ აღემატება 3 პროც., ჟანგბადისა კი—13 პროც., ამ ნივთიერებათა ნორმალურ შემადგენლობასთან შედარებით დედამიწაზე.

ამრიგად, მარსის ატმოსფერა დედამიწის ატმოსფერისაგან განირჩევა არა მარტო თავისი სიმკვრივით, არამედ მის შემადგენელ ნაწილების შედარებითი რაოდენობითაც. მიუხედავად ამისა, დიდი გამბედაობა იქნებოდა თქმა იმის, რომ ამ ატმოსფერაში შეუძლებელია ცოცხალი ორგანიზმების არსებობა.

გვირაბი ლამანშის სრუტეს ქვეშ

ლამანშის სრუტეს ქვეშ გვირაბის გაყვანით საფრანგეთისა და ინგლისის დაკავშირების პროექტი დიდი ხანია რაც წარმოიშვა, განსაკუთრებით გაცხოველებული იყო მსჯელობა ამ საკითხის გარშემო იმპერიალისტური ომის დროს. დაარსებული იქნა სპეციალური „ინგლის-საფრანგეთის საზოგადოება გვირაბის პროექტების შესასწავლათ". საზოგადოებმ პრინციპიალურად შესაძლებლად აღიარა ასეთი გვირაბის გაყვანა. „ზავის" ჩამოგდების შემდეგ „მოკავშირეებს" შორის ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ ხელი შეუშალა პრაქტიკული ღონისძიებების მიღებას პროექტის განხორციელების მიზნით. ამ რამდენიმე ხნის წინათ, საფრანგეთის ყოფ. გზათა მინისტრი და ზემოხსენებული საზ-ბის ფრანგული სექციის წევრი ივ. ლე-ტროკერი კვლავ გადავიდა „შეტევაზე" — ინგლისელ ინჟინერების ინსტიტუტში ის გამოვიდა მოხსენებით გვირაბის გაყვანის აუცილებლობის შესახებ.

გვირაბის სიგრძე იქნება 39 კილომეტრი, ყველაზე ღრმა ადგილას იგი დაფარული იქნება 50 მეტრის სიღრმის წყალით. მუშაობა გვირაბის გასაყვანად დაჯდება 160 მილიონი მანეთი. დამთავრების შემდეგ, გვირაბი დღეში გაატარებს 100 ვაგონს თითეული მიმართულებით. სულ წლის განმავლობაში გვირაბით გადაყვანილი იქნება 25 მილიონი მგზავრი და გადატანილი—8 მილიონი ტონა ტვირთი.

ყველაზე საინტერესო ინგლის-საფრანგეთის „მეგობრული" ურთიერთობის დასახასიათებლად არის ლე-ტროკერის მოხსენების ის ნაწილი, როცა იგი არწმუნებდა ინგლისელებს, რომ გვირაბის გაყვანა არ წარმოადგენს არავითარ სამხედრო საფრთხეს ინგლისისათვის, რადგან გვირაბის ორივე გამოსავალს ადვილად მისწვდება დღეური ზარბაზნების ყუმბარები, და თუ ინგლისი ამ „არგუმენტს" საკმაოდ არ მიიჩნევს, მაშინ შეიძლება „ელექტრონული სადგური, რომელიც ელექტრო-ენერგიას მიაწვდის საფრანგეთიდან მომავალ მატარებლებს, მოთავსებული იქნეს ინგლისში, ინგლისიდან მომავალ მატარებლებისათვის ენერგიის მიმწოდებელი სადგური კი—საფრანგეთში".

ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია, მოახერხა თუ არა ლე-ტროკერმა ინგლისის „დარწმუნება".

მ. მ.

იურიდიული დახმარება

ვის აქვს საბჭოთა-საარჩევნო უფლებები

სოფელ ქვიშხეთის (გორის მაზრა) გლეხ კოლია ლონდაძეს

პასუხი

საბჭოთა საარჩევნო უფლებებით არსებულ კონსტიტუციის (სახელმწიფოს ძირითად კანონების მიხედვით) სარგებლობენ მხოლოდ მშრომელი ელემენტები: მუშები და გლეხები, რომელნიც ცხოვრობენ თავის საკუთარი შრომით (სხვის შრომის ყოველგვარ ექსპლოატაციის გარეშე); ვაჭრები, სოფლის „კულაკები" და სხვა მუქთახორები, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ფარული და გამოცხადებული მტრები და საარჩევნო უფლებებით არ სარგებლობენ.

მოქ. ნინა გოფაძე ბარკავასას

პასუხი

თუ კი განქორწინებულ მეუღლეთა შორის აღიძვრება დავა იმის შესახებ, თუ ვისთან უნდა დარჩენ ბავშვები, მაშინ დავას მათ შორის სწყვეტს ორივე მხარის ან და ერთ მათგანის მიმართვის თანახმად მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილება—„მმაჩი".

გირჩევთ თქვენც მიმართოთ აღნიშნულ ორგანოს სათანადო განცხადებით. (იხ. საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 27 თებერვლის დადგენილება № 23. გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტ"-ში 1927 წ. 6 მარტიდან).

გიორგი ჭეჭკაშვილს

პასუხი

უმუშევრებს ეძლევათ დახმარება პირველად მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში. ექვსი თვის შემდეგ, თუ უმუშევარი არ ჩადგება სამსახურში. მას უწყდება დახმარების გაცემა და შესაძლებელია მიეცეს მას ასეთი კვლავ მხოლოდ ექვსი თვის გასვლის შემდეგ. ამ საგანზე ასეთი წესები არსებობს, ამხანაგო. თქვენც ეგრე მოგსვლიათ. ამიტომ საყვედური არ ეკუთვნის არც შრომის ბირჟას და არც დამზღვევ სალაროს.

უმუშევარს, კავშირის წევრს, მოქ. ჩაგრაგანიძეს

პასუხი

დამქირავებელს აქვს (შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 38-ის თანახმად) უფლება სანამდის ახალი თანამშრომელი მუდმივ შტატში ჩაირიცხებოდეს, მიიღოს იგი პირობით „გამოცდაზე" ფიზიკური მუშა—არა უმეტეს ერთი კვირის განმავლობაში, კანტორის მოხელე—არა უმეტეს ორი კვირის ვადით და მაღალ კვალიფიკაციის და საპასუხისმგებლო სამუშაოზე—არა უგვიანეს ერთი თვისა. თუ კი აღნიშნულ ვადებში პირობით სამუშაოზე დაშვებული პირები გამოიჩენენ სათანადო ცოდნა-გამოცდილებას, როგორც თეორიტიულად, ისე პრაქტიკულად, რაშიაც დარწმუნდება თვით დამქირავებელი, მაშინ ეს უკანასკნელი ვალდებულია ჩაირიცხოს მუდმივ შტატის სამსახურში ზემოაღნიშნული პირები. თუ არა დაუყოვნებლივ უნდა მოხსნას ისინი სამუშაოდან ნამუშევარ დღეების სათანადო ჯამაგირის გაცემით იმ სატარიფო განაკვეთით, რომელიც დაწესებულია იმ თანამდებობისათვის, რომელზედაც ისინი დაშვებულ იქნენ გამოსაცდელად.

პარტიული კალენდარი

დღეს, ხუთშაბათს, 2 ივნისს, საღამოს 8 საათზე **მოწვეულია სახ. უნივ. სოც.-ეკონ. ფაკულტეტის [illegible] სხდომა.** დასწრება [illegible] სავალდებულოა, სხდომაზე გამოცხადდებიან აგრეთვე შემდეგი ამხანაგები: [illegible] ჟღენტი, მენაბდე გაბრიელ, [illegible] თამარა, ნუცუბიძე კონსტანტინე, ს. მგელაძე, სუპატაშვილი ერასტი და ძიძიგური გერასიმე.

დღეს, 2 ივნისს, დღის 12 საათზე, **მოწვეულია სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის მორიგი სხდომა;** ბიურო-კოლექტივის წევრთა და კანდიდატთა დასწრება აუცილებელია. აგრეთვე უნდა გამოცხადდენ პარტიაში გადასარიცხავად შემდეგი ამხანაგები: რუხაძე ივანე, კაპანაძე გრიგოლი, ბახტაძე ვარლამ, შაფაქიძე დიმიტრი, ჯაია სევერიანე, დავითაშვილი გიორგი, იაკობაშვილი ბიძინა; კომკავშირში მისაღები: კალტოზიშვილი აპოლონ, ტერიშვილი ილია, ადეიშვილი ვლადიმერ, ბილესიშვილი ვასილი, ყიფიანი ბაბო, სოხაძე პეტრე, ბაბელია კონსტანტინე, უშვერიძე გრიგოლი, პატარიძე ალექსი, ზაალიშვილი ვლადიმერ, მარუაშვილი მიხეილ, ჯიშმელეიშვილი გალ., კენჭაძე ნიკო.

ხუთშაბათს, 2 ივნისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის შენობაში **შესდგება ქალაქის რაიონის ქალთა ორგანიზატორების უჯრედთა თათბირი.**

საქართველოს ახალ. ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტი იტყობინება რომ პარასკევს, 3 ივნისს საღამოს 6 საათზე საქ. ახალგ. ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტის პოლიტგანათლების კაბინეტში (რუსთაველის პრ., № 21, შესავალი ეზოდან, მესამე სართული) მოწვეულია მე-14 მოწვევის მე-4 დახურული პლენუმი.

პლენუმის ყველა წევრებისა და კანდიდატების დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

ხუთშაბათს, 2 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში **შესდგება მეორე რაიონის ბავშვთა მეგობრების საზოგადოების კონფერენცია.**

სახ. უნ. პოლიტექნიკურ ფაკულტეტთან არსებული კომუჯრედის ბიურო დღეს, 2 ივნისს, საღამოს 7 საათზე, იწვევს ამავე ფაკულტეტის კომუჯრედის დახურულ კრებას.

განსახილველია საჩქარო საკითხები. სავალდებულოა ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება.

ქალაქისა და სოფლის კავშირის, საზოგადოების მეორე რაისაბჭო იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 2 ივნისს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში (პლეხანოვის პრ., № 96) შესდგება რაისაბჭოს სხდომა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 2 ივნისს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება არსრაიონის უჯრედების მდივნების თათბირი.

უჯრედების ყველა მდივნების დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

ოზურგეთის სამაზრო პოლიტბიუროს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 28 მაისს ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ენერგიული და დაუღალავი მუშაკი პ-ბ. თანამშრომელი ამხ.

ლადიკო სილიბისტროს-ძე

დოლიძე

დაკრძალვა მოხდა სამშაბათს 31 მაისს სოფ. კახურში. 1271

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: დედა ოლღა სიმონის ასული, მამა ალექსანდრე იესეს-ძე, და-ძმანი: თამარი, სპარტაკი, ნინო და დავითი, ბიძა დარისპანი, ბიცოლა სოფიო ხელაიები, ბებია ოლღა და ბიძანი—პავლე, კირილე, ალექსანდრე, მეთოდე, გოლა, ექვთიმე და ზაქარია კავილაძეები თავიანთი ოჯახით, მამიდა ნატალია ბარძიმიშვილისა, ბიცოლა სოფიო ყუფარაძისა, ბიძაშვილები: ემმა ჩხეიძისა და ფაცაია ნაზარიშვილისა თავიანთი ოჯახით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის უძვირფასეს, დაუვიწყარ და საყვარელ

ქეთუშა (ქეთო-ქეთუსია) ალექსანდრეს ასულ

ხელაიას

მოსაგონარად გადახდილი იქნება ორმოცი დღის თავზე პანაშვიდი 3 ივნისს ქ. ქუთაისში—ოლასკურას სასაფლაოზე, დღის 4 საათზე. 2902

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი შვილები: ბაბილინა, ნიკოლოზი შვილებით: ცაბურია, ბენედიქტე და პეტრე; რძლები: ოლღა და ნატალია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 30 მაისს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქალაქის პირველ საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი მამა

ვასილ გიგოს-ძე

ქაშაკაშვილი

გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავად. (ყოფილი მიხეილის) პროზექტურიდან, რკინის გზის სადგურზე—ქუთაისისაკენ ხუთშაბათს 2 ივნისს, ნაშუადღ. 7 საათზე; დაკრძალვა ბაღდათში კვირას 5 ივნისს 2901

უზომოთ მწუხარებაში მყოფნი მშობლები: დედა ელენე, მამა ივლიანე შვილებით: მელაშა, შალიკო და დიმიტრით აბაშიძეები, ბიძა ვანო მეუღლით ანიკათი, ბიძაშვილები: გრიშა გიორგისძე ოჯახით და მიშა გიორგისძე, ბიძები გიორგი ზურაბისძე, გიორგი პაატასძე, აბაშიძეები, მამიდა დესპინე ესტატეს ასული ამაშუკლისა, ანუშკი ესტატეს ასული, ბიძაშვილი ლადო ალექსანდრესძე აბაშიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი, უდროვოდ დაკარგულის

კოლია ივლიანეს-ძე

აბაშიძეს

მოსაგონად ორმოცი დღის თავზე სოფელ უბისაში (შორაპნის მაზრა) შაბათს 4 ივნისს იქნება გადახდილი სამოქალაქო პანაშვიდი. 2906

აპოლლო
ტელ. 7—61.
არფასტო
ტელ. № 19—22.
სოლეი
ტელ. 20—44.
დარბაზი
ტელ. 14—03.
0—20 ნ. 1094

საუკეთესო ტრიუკისტი ლუჩიანო ალბერტინი
შესანიშნავ „კაცი კომეტაზე" სურათში
გრანდიოზული დადგმა. თავბრუდამხვევი ტრიუკები

სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო სურათი
„სამთა სიყვარული"
რეჟ. ა. როომის დადგმა.
საერთოდ „სამთა სიყვარული" მოწმობს ჩვენი კინემატოგრაფიის ზრდას. ის უსწორდება, ფორმალური ღირსებით ბევრად წინ უსწრებს ამერიკის საუკეთესო ხელოვანთა ნაწარმოებებს.—„ლენინგრადსკაია პრავდა" 23-III-27 წ.

ამერიკული კინო-რომანი 6 სერიათ 35 ნაწ.
„ნიუ-იორკის საიდუმლოებანი"
მთავარ როლში პირლ უაიტ 3 და 4 სერია ერთად.

ანონსი: მალე 2 საუკეთესო სურათი „სამის სიყვარული" და „მისი უდიდებულესობის სოლისტი ქალი"

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

გამოვიდა
„თბილისის კომუნალური წყალსადენის წყლით სარგებლობის წესები"-ს წიგნი,
თავისი აგენტების საშუალებით წყალსადენის სამმართველო შეუდგა აბონენტებისათვის დარიგებას თვით ღირებულ ფასში.
ნ. 1263 2—1. წყ. დირექტორი ხოჯაევი.

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1889 თინა სვიმონის ასული მჭედლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2904

დაიკარგა პირადობის მოწმობა, გაცემული სოფ. ბარის ალმასკომის მიერ გიორგი სტეფანეს-ძე სხირტლაძის სახელზე, ჩ. გ. 2907

სად? როდის?
ამ
დღეებში
გაიხსნება
საუკეთესო
საზაფხულო
კინო
თვალყური
ადევნეთ
სად? როდის?
ნ. 1273

4 ივნისს დილის 11 საათზე ცეკავშირის შენობაში, შტაბის ქ. № 6 დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ერთ ეტლსა და ორი ცხენის გაყიდვაზე მისი მოწყობილობით. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ საქმეთა მმართველს. ნ. 1270

ქ. თბილ. მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 5 ივნისს 1927 წ. დღის 11 საათზე სახლში № 20 დავითაშვილის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის რაგამ ელიას-ოღლის ნახევარ სახლის უფლებას იუდა ფარლაგაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ალმას. საქ. ოლქის სახალხო სასამართლოსაგან 11 დეკ. 1924 წ. თარიღით, № 28258 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313, 314 მუხ. სამოქ. საპრ. სამმართ. კოდექსის და დაიწყება შეძლეულ შეფასებიდან. 2905

ქ. თბილისის მე-4 რაინ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 7 ივნისს, შუადღის 12 საათზე ნიკოლოზ მათეოსის-ძე სიმონიანცის ბინაზე, კალინინის ქუჩაზე, სახლი № 3, მარგარიტა სიმონიანცის ვალის დასაკმაყოფილებლად ის მე-2 **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ნიკოლოზ სიმონიანცის შემდეგ ნივთებს, რომლებიც გასასყიდათ შეფასებულია 425 მან.: ტახტი, სპილენძის ჰალი, სასადილო და ლომბერის მაგიდა, 6 ვენის სკამი, მაგიდაზე დასადგამი ლამფა, ნიკელის სამოვარი დასადგამით, საჩაიე მაგიდა, კაკლის „ტუმოჩკა", 6 ფრაკის დანა-ჩანგალი და სხვ. 2903

გარე-უბნის სასამართლოს აღმასრულ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 18 ივნისს 1927 წლ. საათის 2 სოფ. საგარეჯოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის აბრამ მარტიროზოვის მოძრავ ქონებას: შკაფს, კამოდს, ფარდაგს, ხავერდის ბალიშებს, ფარდაგს და გრამაფონს ფირფიტებით, შეფასებულს 234 მანეთად „ზაკგოსტორგი"-ს დასაკმაყოფილებლად.

ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ნ. 1269

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
გ. კ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის ა. წ. 6 ივნისს დღის 1 საათზე გოგოლის ქუჩაზე № 63, მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ყოფ. საზოგადოება „კახეთია„-ს უძრავ ქონებას: ორ სართულიან სარდაფს ზომით 3432 ოთხკუთხ არშინ. და ცხრამეტ სხვადასხვა განყოფილებებს; ამათში სამი განყოფილება ცალკეა აგებული. დახურულია კრამიტით და შეფასებულია 35644 მანეთად. გაიყიდება გემო-კვების კავშირის და სხვათა ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად შრომის სასამართლოს მიერ გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა №№ 980, 180, 368 და 987. ვაჭრობა დაიწყება შეძლეულ ფასებიდან და იწარმოებს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-311—312 მუხლების დაცვით. ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს 10 პროც. საწინდარი. ნ. 1272

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართ. აღმასრულებ.
გ. გ. ბარუტჩევი

აცხადებს, რომ 6 ივნისს, 1927 წ., 1 საათზე, გუნიბის ქუჩაზე, № 61 გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** გიორგი და შალვა რატიანების 2 სართულიანი სახლი, რომელშიაც მოთავსებულია 20 ოთახი, 4 სამზარეულო და 1 სამრეცხაო, ეს სახლი იმყოფება გუნიბის ქუჩ. № 61 და შეფასებულია 6000 მან., რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრო ზეგაყიდვა დანიშნულია ქალაქის ბანკის და ბორჯომის მინერალურ წყლის სამმართველოს პრეტენზიების დასაკმაყოფილებლათ—საერთო ჯამით 5124 მან. 52 კაპ. რაოდენობით.

ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს გათვალისწინებული სამ. საპრ. კოდ. მე-311 მუხ. ცნობები; გარდა ამისა უნდა ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს საწინდარი შეფასებულ ჯამის 10 პროც., ე. ი. 600 მან. 2990

დაიკარგა სამხედრო ნუსხა № 52, ბიქტორ მაქსიმეს-ძე შულაიას სახელზე, ჩ. გ. 2911

დაიკარგა პირადი წიგნაკი ფ. № 4, № 303, ლავრენტი გიორგის-ძე დანელიას სახელზე, ჩ. გ. 2911

დაიკარგა ფ.-ტ. პროფკავშირის და დამზღვევ სალაროს წიგნაკები იასონ გიორგაძის სახელზე, ჩ. გ. 2911

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 48, გაბრიელ ოთარის-ძე ჩხაიძეს სახელზე, ჩ. გ. 2911

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1810, მიხა რაჟდენის-ძე ტეტუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2911

დაიკარგა მოწმობა № 2, ბათუ ივას-ძე ნარსიას გარდაცვალების შესახებ, ჩ. გ. 2911

დაიკარგა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის წიგნაკი № 4800, დავით ჩარკვიანის სახელზე, ჩ. გ. 2910

დაიკარგა პირადობის მოწმობა ეიუბ მაშადი სალმანის-ძე ზეინალოვის სახელზე, ჩ. გ. 2908

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი სერგო აკულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2911

დაიკარგა სამხედრო წიგნაკი № 714 | 1902, ცხვედიანის სახელზე, ჩ. გ. 2911

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.